ოლიგარქების ექო რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში A2

ვინ აფარებს თავს კასპს - ერაყელები თუ ბურკინა-ფასოელები? A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 27 მარტი, 2003 წელი. №84 (296) ფასი 50 თეთრი

მეშვიდე დღე: უდაბნოს ქარიშხალი გრძელდება

მოლოდინი

REUTERS

ავტორი

ქარიშხალმა და ერაყელმა პარტიზანებმა გუშინ მოკავშირეთა წინსვლის შეჩერება შეძლეს. ბრძოლები ამჟამად ბაღდადის სამხრეთით, ნაჯაფთან და ნასირიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ აშ შატრასთან მიმდინარეობს.

გუშინ საღამოს საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოკავშირეთა დაზვერვამ შენიშნა ერაყის არმიის ორი კოლონა, რომელიც სამხრეთით მიემართება.

ბრიტანული სამხედრო წყაროების ცნობით, ბაღდადიდან გამოვიდა უზარმაზარი სამხედრო კოლონა, რომელშიც 1000-მდე ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი და სატვირთო მანქანაა. ისინი ნასირიასკენ მიემართებიან, ამერიკულ მესამე ქვეითთა დივიზიასთან შესახვედრად. მოკავშირეთა ცნობით, ერაყელებს, სავარაუდოდ, ევფრატის ხიდების ხელში ჩაგდება სურთ.

მეორე კოლონა, დაახლოებით 120 საბრძოლო მანქანის შემადგენლობით, ბასრადან გამოვიდა და სამხრეთით, უმ კასრისაკენ მიემართება.

ერაყელები კარგად სარგებლობენ იმ ფაქტით, რომ უდაბნოს ქარიშხალი ავიაციის ეფექტურობას მინიმუმამდე ამცირებს. გუშინ და გუშინწინ "აპაჩები", ამინდის გამო, ჰაერში ვერ აფრინდნენ. სამხედროების ცნობით, გუშინ გამოდარება დაიწყო და საფრონტო ავიაციის ნაწილი მოქმედებას შეუდგა. ისინი ინტენსიურად ბომბავენ ბასრადან გამოსულ კოლონას.

გუშინ მძიმე ბრძოლები გაიმართა ქალაქ ნაჯაფთან. მოკავშირეებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და მოწინააღმდეგის 700-მდე ჯარისკაცი გაანადგურეს.

მიუხედავად ამისა, ქარიშხალი ბაღდადის შტურმის დაწყებას, ჯერჯერობით, შეუძლებელს ხდის.

გაგრძელება A4 გვერდზე

ნიუ იორკში უშიშროების საბჭოს სხდომა მიმდინარეობს, ჩრდილოეთ ერაყში დესანტი გადასხეს

გუშინ, თბილისის დროით, ნაშუაღამევს ნიუ-იორკში გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა დაიწყო.

სხდომა არაბული ლიგის ინიციატივით მოიწვიეს და იგი ღიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი.

სხდომა კოფი ანანმა გახსნა. მან განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში ბევრ ადამიანს ეპარება ეჭვი სამხედრო ოპერაციის ლეგიტიმურობაში. კოფი ანანმა მოუწოდა მსოფლიოს ქვეყნებს, დაეხმარონ ერაყელ ხალხს ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევაში.

ანანის შემდეგ გამოვიდა ერაყის ელჩი გაეროში ალ-დური. თავის გამოსვლაში, რომელიც ამერიკულმა და ბრიტანულმა არხებმა პირდაპირ ეთერში გადასცეს, ერაყის ელჩმა ამ ორ ქვეყანას სულ ველურები და ბარბაროსები ეძახა, მათ მოქმედებას კი – "აშკარა აგრესია".

ალ-დურიმ, აგრეთვე, განაცხადა, რომ ახლა საუბარი უნდა იყოს ერაყისთვის არა წყლისა და საჭმლის მიწოდებაზე, არამედ აგრესიის შეჩერებაზე, რომელიც იწვევს ჰუმანიტარულ კრიზისს. უშიშროების საბჭოს სხდომის შედეგები დღეს გახდება ცნობილი.

■ ■ ■

ბოლო ინფორმაციით, გუშინ თბილისი დროით ღამის 3 საათზე 173-ე საჰაერო ბრიგადის 1000 ამერიკელი მედესანტე ჩრდილოეთ ერაყში გადასხეს. მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ისინი, სავარაუდოდ, პოზიციების დაკავებას შეეცდებიან, რათა მოკავშირეებმა რეგიონში დამატებითი ჯარების გადასხმა მოახერხონ. აქედან ისინი ან მოსულისა და კირკუკის ნავთობის საბადოების გაკონტროლებას შეეცდებიან, ან ბაღდადის შტურმის დროს, ქალაქს ჩრდილოეთიდან შეუტევენ.

"საქართველოს ელექტროკავშირი" ისევ ფარულად მზადდება საპრივატიზებოდ

გიორგი კალანდაძე

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში სააქციო საზოგადოება "საქართველოს ელექტროკავშირის" ბიზნეს-გეგმას იხილავენ. იგი, 200 ათას დოლარად, ნორვეგიული სატელეკომუნიკაციო კომპანიის "ტელენორის" ექსპერტებმა მოამზადეს. "ტელენორი" ერთადერთი კომპანიაა, რომელმაც ღიად გამოთქვა "საქართველოს ელექტროკავშირში" სამი წლით მართვის უფლებით შესვლის სურვილი. მსოფლიო ბანკი ქართულ მხარეს აჩქარებას არ ურჩევს. ბანკი მოითხოვს, რომ "ელექტროკავშირთან" დაკავშირებით მთავრობამ გადაწყვეტილება ღია ტენდერის საშუალებით მიიღოს.

დაახლოებით ორი კვირის წინ ქონების მართვის სამინისტროში "ელექტროკავშირის" განვითარების "ტელენორისეული" ბიზნეს-გეგმის განხილვა მოეწყო. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა ბიზნეს-გეგმა ექსპერტიზისთვის სამინისტროს იურიდიულ სამსახურს გადასცა. ჯერჯერობით დაუზუსტებელი ცნობით, სამინისტროში უკვე მზადდება კონტრაქტი საქართველოს მთავრობასა და ნორვეგიულ კომპანიას შორის "ელექტროკავშირის" მართვაში გადაცემის შესახებ. კონტრაქტის მიხედვით, "ტელენორმა" ქართული კომპანია, ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, სამი წლის განმავლობაში უნდა მართოს. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგება "საქართველოს ელექტროკავშირის" აქციათა 75 პროცენტის გაყიდვის საკითხი.

ქონების მართვის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროების მაღალჩინოსნები პირად საუბრებში ბიზნეს-გეგმის არსებობას არ უარყოფენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

ჩეჩნების ულტიმატუმი... ხიზარი ალდამოვის მიმართ

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ საკმაოდ საინტერესო საზოგადოება შეიკრიბა. მასპინძლის როლში სახალხო დამცველის მოადგილე თემურ ლომსაძე გახლდათ. სტუმრები - ჩეჩნეთიდან დევნილთა სახელით მოლაპარაკე დევნილთა კომიტეტის წარმომადგენლები, საქართველოში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

A2

ამინდი

თბილისი	5
ქუთაისი	9
ბათუმი	6
სოხუმი	7
ფოთი	7
თელავი	6
ზუგდიდი	9
გორი	3
ახმეტა	6
ჭიათურა	6
გაბრა	6
სამტრედია	8

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1351
ევრო	2.2835
გირვანქა სტერლინგი	3.3688
რუბლი	0.0680

გამჟრალ მილიონებს ნიკა ლომინაძის მკვლელობას უკავშირებენ

ახალი გარემოება "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის მკვლელობის საქმეში

ცოტა ხნის წინ, თბილისის ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის საჯარისო ნაწილების შტაბის სარჩელი შევიდა. რუსი სამხედროები "AES თელასის" წერილების საფუძველზე, ორი ქართული ფირმისთვის გადარიცხული რამდენიმე მილიონი ლარის გაქრობის გამო ჩივიან. "თელასში" მსგავსი წერილების გაგზავნის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ. ამასთან, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიებამ ამერიკული ენერგოკომპანიის ერთ-ერთი წერილის ასლი, ნიკა ლომინაძის მაგიდის დათვალიერებისას აღმოაჩინა.

სოფიკო ჩხაიძე

როგორც შევიტყვეთ, სწორედ რუსეთის ჯარებსა და "AES თელასს" შორის წამოჭრილი ფინანსური დავა გახლავთ "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის გამოძიებისას მიკვლეული ის გარემოება, რომელსაც გუშინწინ, ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებული დავით მჭედლიძის პატიმრობიდან გათავისუფლებისას, ახალი უწოდეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

სპეციალური ეკონომიკური ზონები - სახიფათო განდაგანა

"აღორძინების" მიერ ინიცირებულ კანონპროექტს "სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ" გუშინ პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმაც აუნთო მწვანე შუქი. ორი დღის წინ ეს კანონპროექტი გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტმა განიხილა და მოიწონა. შეგახსენებთ, რომ ახალი დოკუმენტი ოდნავი სახეცვლილებაა იმ კანონპროექტისა, რომლის დამტკიცებასაც "აღორძინება" 1995 წლიდან უშედეგოდ ცდილობს.

მაია ურუშაძე

"აღორძინება" ინტენსიურად ლობირებს კანონპროექტს "სპეციალური ეკონომიკური ზონების" შექმნის შესახებ. დოკუმენტი საქართველოში 50 წლის ვადით ოფშორული ზონების შექმნას გულისხმობს. ზონებში შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი იმოქმედებს, რაც, კანონპროექტის ინიციატორების აზრით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს და ქვეყნის ეკონომიკას სწრაფად განავითარებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

ალექსანდრე ჩივაძე: „ბრიტანელებთან ძველი ანგარიში გვაქვს"

ნაკრების მწვრთნელი ორ უახლოეს თამაშში 6 ქულას გეგმავს

ალექსანდრე ჩივაძე და მურთაზ ხურცილავა.

იური ელიზარაშვილის ფოტო

ინტერფრაქციული ჯგუფი გააქტიურდა

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ შეკრება დღის სამ საათზე იყო დანიშნული, დეპუტატებმა კონსულტაციები მხოლოდ ოთხის ნახევარზე დაიწყეს. ნახევარ საათში კი დაიშალნენ, რადგან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოცხადებული შესვენება სწორედ ამ დროისთვის დასრულდა.

ნახევარი საათით შეკრებილმა პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ზოგად პრინციპებსა და ცესკოსთვის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე მოასწრო მსჯელობა. უფრო კონკრეტული თემებისათვის დეპუტატებს დრო არ ეყოთ.

გუშინ გადაწყდა, რომ პარლამენტი უპირატესობას მიანიჭებს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და, მთლიანად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების პარტიულ პრინციპს. ეს კი ნიშნავს, რომ დეპუტატები თავად იტყვიან უარს წელიწადნახევრის წინ მათ მიერვე მიღებულ წესზე, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას გულისხმობს.

ამავე გადაწყვეტილებით, ინტერფრაქციულმა ჯგუფმა უარყო "მოქალაქეთა კავშირის" მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ორი ვარიანტიც, რომელიც კომისიების დაკომპლექტებას ეხება.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

თბილისში ლონდონის ლორდ-მერი არ ჩამოსულა

თბილისში ლონდონის ლორდ-მერი არ ჩამოსულა. გევინ არტური, რომელიც დედაქალაქში კვირის განმავლობაში იმყოფებოდა, ლონდონის ერთ-ერთი რაიონის მაღალი რანგის ხელმძღვანელია, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ლონდონელი სტუმარი თბილისში პრეზიდენტის მძახალმა გურამ ახვლედიანმა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დაპატიჟა, ხოლო გევინ არტური ბრიტანული ავიაკომპანიის ლობირების მიზნით ჩამოვიდა.

„მე თუ ჩავალ ლონდონში და მოვითხოვ ქართული ავიაკომპანიის დიდ ბრიტანეთში დაწესებული გადასახადებისგან გათავისუფლებას, მეორე დღესვე ციხეში აღმოვჩნდები. საქართველო კი უცხოელმა სტუმარმა ბანანის რესპუბლიკად ჩათვალა და უზარმაზარი მდიდარი ავიაკომპანიისთვის გადასახადების გაუქმება მოითხოვა,“ — განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, ბრიტანული ავიაკომპანიის ლობისტი საქართველოს პრეზიდენტმა დიდად „შეაფასა“ და უცხოელი სტუმარი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

მედია-ნიუსი

მოკლედ

თბილისი. ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი როიფ ეკეუსი აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების ადგილზე გასაცნობად გუშინ სოხუმს ეწვია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი უახლოესი ერთი თვის განმავლობაში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. საქართველოს ხელმძღვანელობასთან დაგეგმილ შეხვედრებზე მხარეები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებისა და თბილისში ნატო-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონური წარმომადგენლობის გახსნის საკითხებზე იმსჯელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში ოფიციალურ ვიზიტად საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს დელეგაცია იმყოფება, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე სერ ჰარი ჯონსონი ხელმძღვანელობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტრომ თანამდებობის პირთა იმუნიტეტების შეზღუდვასთან დაკავშირებით კანონპროექტი შეიმუშავა, რომლის მიხედვით, სახალხო დამცველს, გენპროკურორს და კონტროლის პალატის თავმჯდომარეს იმუნიტეტი შეეზღუდებათ, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატებს საერთოდ მოეხსნებათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” და “ტრადიციონალისტთა კავშირი” ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის შექმნისათვის საბოლოო შეთანხმების მისაღწევად “ტექნიკური ხასიათის” დეტალებზე მუშაობენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიცერთა ჯგუფი დამკვირვებლების სტატუსით მიწვეულია ტაქტიკურ სწავლებებზე, რომელსაც რუსი კოლეგები აპრილის მეორე დეკადაში კასპიისკში ჩაატარებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი.”სახალხო ფრონტის” ლიდერი ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ საქართველოს მიერ აშშ-სათვის აეროდრომების დათმობა რუსეთმა შესაძლოა დივერსიის მოსაწყობად გამოიყენოს. “რუსეთს ხელს აძლევს მოახდინოს ნებისმიერი სახის დივერსია, რაც შემდგომ თავისუფლად დაბრალდება ერაყის დიქტატორს სადამ ჰუსეინს”, - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი ალასანია შესაძლებლად მიიჩნევს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა გაზაფხულზე პანკისის ხეობაში ისევ შემოდევნონ ჩეჩნური შეიარაღებული ჯგუფები, როგორც ეს 1999 წელს მოხდა. როგორც ირაკლი ალასანიამ განაცხადა, ამის აღსაკვეთად პრევენციული ზომები უკვე ტარდება, შემუშავებულია კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, როგორც შს სამინისტროსთან, ასევე საზღვრის დაცვის დეპარტამენტსა და თავდაცვის სამინისტროსთან ერთად. **პრაიმ-ნიუსი**

ჩეჩნების ულტიმატუმი... ხიზრი ალდამოვის მიმართ

ლენა მიქაძე

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ საკმაოდ საინტერესო საზოგადოება შეიკრიბა. მასპინძლის როლში სახალხო დამცველის მოადგილე თემურ ლომსაძე გახლდათ. სტუმრები - ჩეჩნეთიდან დევნილთა სახელით მოლაპარაკე დევნილთა კომიტეტის წარმომადგენლები, საქართველოში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ხიზრი ალდამოვს ვერ გაუგია, რას ემართლებიან თანამემამულეები.

ბაქარ ბალავაძის ფოტო

“ბოლო დროს ჩეჩენი დევნილების მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა ძალოვანი სტრუქტურებისათვის კარტ-ბლანშის მინიჭებაში გამოიხატება... გარდა ამისა, გვსურს თქვენი ყურადღება იმ მრავალ კანონდარღვევას მივაპყროთ, რომელიც პანკისის ხეობაში ჩატარებული ე.წ. ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს არსებობდა... სამწუხაროდ, ბოლო დროს ქართველი ძალოვნების მოქმედებები ჩვენს სამშობლოში რუსი ოკუპანტების ბარბაროსულ ქმედებას სულ უფრო მეტად წააგავს. გვეშინია, რომ რუსეთის ნეოიმპერიული პოლიტიკის გავლენის ქვეშ აღმოჩენილი საქართველო საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, არამედ, საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობას. სულ უფრო გვიმტკიცდება ეჭვი, რომ ქართველი ძალოვნები დანაშაულებრივ შეთქმულებაში არიან რუსეთის სპეცსამსახურებთან,” - ასეთი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი განცხადება, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კავკასიური კავშირის ეკონომიკური პროგრამების დირექტორმა ბუაის (ვახა) ანზოროვმა გააცნო შეკრებილ საზოგადოებას. განცხადებაში ასევე საუბარია ჩეჩენი ეროვნების ორ მოქალაქეზე - ჰუსეინ იუსუპოვსა და ჰუსეინ ტალატოვზე, რომლებიც გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდნენ. მათ კვალს ქართველმა სამართალდამცველებმა დღემდე ვერ მიაგნეს. ჩეჩნეთიდან დევნილთა საინიციატივო კომიტეტის სახელით, რეზიუმეს სახით, იმავე განცხადებაში რამდენიმეპუნქტიანი მოთხოვნაა ჩამოყალიბებული: ჩეჩენი დევნილების ქართველი სამართალდამცველების მხრიდან განუკითხაობისაგან დაცვა. განუკითხაობის ფაქტებზე საქართველოსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ხელმძღვანელობის ყურადღების მიპყრობა, ამავე ფაქტებზე გაეროსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყურადღების გამახვილება და ა.შ.

ექსპერტი კავკასიურ საკითხებში მამუკა არეშიძე დაეთანხმა განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს, თუმცა არა თავად განცხადების ტონს.

"ჩეჩნეთიდან დევნილებს არა აქვთ ისეთი მდგომარეობა, რომ ულტიმატუმი წამოაყენონ," - აცხადებდა, თავის მხრივ, ხიზრი ალდამოვი. საქართველოში იჩქერიის წარმომადგენელმა შეკრებაზევე აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მითითებით, გაუჩინარებული ჩეჩნების ბედით და, საერთოდ, ჩეჩნებთან დაკავშირებული საკითხებით, უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე დაინტერესდა. **“ჩემთვის გაუგებარია დევნილთა კომიტეტის სახელით მომზადებული ამ წერილის შინაარსიც კი. რა ულტიმატუმებს აყენებენ. დანაშაული ყველა ერში ხდება. პანკისში კი ჩეჩნები, ქისტები, ქართველ ჯარისკაცებთან ერთად, დადიან სხვადასხვა ადგილების შესამოწმებლად."** - აცხადებდა ჩვენთან საუბარში ალდამოვი.

“ეს ულტიმატუმია ალდამოვისთვის და არა საქართველოს ხელისუფლებისათვის. ჩვენ მისი მუშაობით უკმაყოფილო არ ვართ, უბრალოდ გვინდა, რომ მან ჩეჩნეთიდან დევნილების ინტერესები უფრო აქტიურად დაიცვას, - აცხადებდა მოგვიანებით “24 საათთან” საუბრისას ვახა ანზოროვი. რაც შეეხება ჩვენი სამართალდამცველების რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირს, ანზოროვი განმარტავს, რომ **“რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებთან ერთად ატარებენ ერთობლივ ოპერაციებს პანკისში, საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებიან. კავშირები როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური სახისაა.”**

ხიზრი ალდამოვი ვერ ხვდება, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება დევნილი ჩეჩნების ინტერესების უფრო აქტიურად დასაცავად. ჩეჩნების უფლებების დამცველი არასამთავრობოები კი საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან.

ახალ საგადასახადო კოდექსს პარლამენტში პრობლემები არ შეექმნება

მაია ურუშაძე

გუშინ პარლამენტმა ახალი საგადასახადო კოდექსის პირველი მოსმენა დაასრულა. კოდექსის ახალ ვარიანტს პარლამენტის ყველა კომიტეტმა და ფრაქციამ დაუჭირა მხარი, თუმცა "აუცილებლად გასათვალისწინებელ შენიშვნებზე" ყველა საუბრობდა. ერთადერთი, ვინც კოდექსის პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა, "მოქალაქეთა ფრაქციის" ლიდერი ვიტალი ხაზარაძე იყო. მან სახელისუფლო ფრაქციის სახელით საუბარს თავი აარიდა და მხოლოდ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა: კოდექსის ახალი ვარიანტი ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას არევს.

"თუ კომიტეტი დარწმუნდება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ახალი კოდექსით მუშაობას შეძლებს, მაშინ მას მხარს დაუჭერს, – განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ, - **იმედი მაქვს, შეჯერება მოხდება, მაგრამ თუ მთავრობა არ დაეთანხმება ამ კანონს, ის უნდა გადადგეს."** კოდექსს მხარი დაუჭირეს შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემაც. როგორც დემურ გიორხელიძემ "24 საათთან" საუბრისას განმარტა: **"სრულფასოვანი კოდექსი არ არსებობს და მისი დამუშავება უდავოდ საჭირო იქნება."**

რაც შეეხება საპარლამენტო ფრაქციებს, ისინი მხარს უჭერენ კოდექსის პრონციპებს და, ძირითადად, "მეორე მოსმენისას გასათვალისწინებელი შენიშვნები" აქვთ.

მერია და საკრებულო "თბილგაზის" ხელში ჩაგდების მცდელობაში ერთმანეთს ადანაშაულებენ

"თბილგაზის" მართვის უფლებით გადაცემაზე ტენდერი ჩაიშალა და ეს თბილისის საკრებულოს ჩარევით მოხდა – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. მისივე თქმით, ტენდერში მონაწილე ფირმებს სხვადასხვა სახელისუფლო პარტიები ლობირებენ, რომლებსაც ამ საწარმოს ხელში ჩაგდება სურთ და მოსახლეობის ხარჯზე ფულის შოვნასა და გამდიდრებას აპირებენ.

"თბილგაზის" ტენდერზე გატანის საკითხი გუშინ თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტებმა" გააპროტესტა. პროტესტის ნიშნად, სატენდერო კომისია ორმა "ლეიბორისტმა" - კახა ძაგანიამ და პაატა ჯიბლაძემ დატოვა. მათი განცხადებით, „თბილგაზი“ ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტია და მისი გასხვისება კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. მათივე თქმით, `თბილგაზის" მართვა მხოლოდ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა ეკისრებოდეს. ძაგანია-ჯიბლაძის ინფორმაციით, სატენდერო კომისიის შემადგენლობაშიც სწორედ იმიტომ შევიდნენ, რომ წინ აღდგომოდნენ „თბილგაზის“ გასხვისების მცდელობას. მათი განცხადებით, ისინი უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლას სხვა მეთოდებით გააგრძელებენ. ლეიბორისტების მტკიცებით, კონკურსში მონაწილე ფირმების მიერ წარმოდგენილი წინადადებები არც ერთ საკონკურსო პირობას არ პასუხობს და არ ითვალისწინებს გაზმომარაგების გაუმჯობესებას, ქსელის რეაბილიტაციას.

ძაგანიასა და ჯიბლაძის საქციელს – კომისიის შემადგენლობიდან წასვლას – მერიაში სხვაგვარად ხსნიან. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ფრაქცია "ლეიბორისტები", რომელიც კონკურსში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს ლობირებს, იმ ფაქტმა დააფრთხო, რომ, ორი ქართული ფირმის პარალელურად, "თბილგაზით" ერთ-ერთი გერმანული კომპანიაც დაინტერესდა.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, თბილისის მერია "თბილგაზზე" პასუხისმგებლობას არ იხსნის. ამ ეტაპზე საუბარია არა "თბილგაზის" გასხვისებაზე, არამედ დროებით მმართველობაში გადაცემაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას კი, სამეთვალყურეო საბჭო გააკონტროლებს.

"თბილგაზის" ტენდერში მონაწილეობის მიღების სურვილი ორმა ფირმამ - "საქტრანსგაზმრეწველმა" და ამხანაგობამ "ახალი მენეჯმენტი" - გამოთქვა. სატენდერო პირობების მიხედვით, კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ, რომლის მფლობელობაში "თბილგაზი" 10 წლის ვადით გადავა, "თბილგაზის" ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრების მობილიზება და დედაქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა უნდა შეძლოს. ამისათვის სატენდერო კომისია 20-მილიონიანი გარანტიის წარმოდგენას ითხოვს. "თბილგაზის" ბედი ტენდერის უახლოეს ორ დღეში გადაწყდება.

"24 საათი"

ოლიგარქების ეძო რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

თუკი რუსეთის სახელმწიფო საათბერო რამდენიმე დღის წინ ამერიკისათვის ომის გამოცხადებასა და პანკისის ხეობის თავზე ვაკუუმური ბომბის ჩამოგდებას ითხოვდა, 26 მარტს ფედერაციათა საბჭოში მისულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა სენატორების მილიტარისტული ვნებები მოთოკა.

მინისტრმა ივანოვმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტის სახელზე ფედერაციათა საბჭოს საგანგებო განცხადებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას "სტრატეგიული ჯგუფის შექმნაზე", რომელშიც შევლენ პუტინის ადმინისტრაციის, უშიშროების საბჭოს, პარლამენტის ორივე პალატის, სამინისტროებისა და უწყებების, საქმიანი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. სტრატეგიული ჯგუფის ამოცანა იქნება ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ფედერაციის ინტერესების დაცვა-შენარჩუნების ზომების პროგრამა.

ერთადერთი, რაშიც საგარეო საქმეთა მინისტრი სენატორებს არ დაეთანხმა, ეს არის ტერმინი "ერაყში აშშ-ს აგრესია", რაც განცხადების ტექსტის პირველ ვარიანტში ფიგურირებდა. სენატორებმა მინისტრის რჩევა ყურად იღეს და კენჭი უყარეს განცხადების ტექსტს შემდეგი სათაურით: **“რესპუბლიკა ერაყის წინააღმდეგ შეიარაღებულ აქციასთან დაკავშირებით.”** ეს ფაქტი დამკვირვებლებმა უმალ შეაფასეს, როგორც მნიშვნელოვანი გარდატეხა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსში: დღეიდან, როგორი მკაცრი განცხადებებიც არ უნდა აკეთოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ, აშშ-ს სამხედრო აგრესიაზე საჯაროდ საუბარი ცუდ ტონად ჩაითვლება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რუსეთი, უნდა თუ არა, მაინც გაუწევს ანგარიშს კოალიციის ქმედებებს? ამაზე პასუხი პოლიტოლოგებმა უნდა გასცენ.

მაგრამ რუსეთის სენატის დარბაზში საყვედურები ისმოდა, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-სთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე ლექციას კითხულობდა.

"ერაყის კრიზისი ლოკალური კონფლიქტის ჩარჩოებიდან გამოვიდა და მსოფლიოს ემუქრება. რუსეთი, სხვა ქვეყნებთან ერთად, ყველაფერს აკეთებს ერაყის წინააღმდეგ მიმართული ომის თავიდან ასაცილებლად. ამ ომისათვის არ არსებობდა რეალური მიზეზები, ვერავინ დაამტკიცა, რომ ერაყი სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს. აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა პირველ პლანზე არა ერაყის განიარაღება, არამედ ამ ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა გამოიტანეს, ამას კი არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. თავისთავად, გაეროს უშიშროების საბჭოს 1441-ე რეზოლუცია გამორიცხავდა ომის დაწყებას," - განაცხადა იგორ ივანოვმა.

მინისტრის აზრით, ერაყის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრის საფრთხე ჩაითრევს სხვა სახელმწიფოებსაც. ივანოვს ეჭვიც არ ეპარება, რომ ამაზე მეტყველებს აშშ-ს მიმართვა მსოფლიოს სახელმწიფოებისადმი, ერაყთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტისა და საბანკო ანგარიშების გაყინვის მოთხოვნით.

რუსულ დიპლომატიას, ერაყში ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე, ყველა მიუტევებელ პასიურობაში ადანაშაულებდა. მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში ხმაც კი დაირხა, რომ პრეზიდენტის პოზიციას საგარეოპოლიტიკური უწყების კურსი არ ემთხვევა. ომის ყველაზე სისხლიანმა ფაზამ და ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილმა ფინალმა, განაპირობა ახლო აღმოსავლეთში რუსული დიპლომატიის გააქტიურება. მოსკოველი დამკვირვებლების აზრით, რუსეთის ფედერაციათა საბჭოს განცხადება არც მწვადს წვავს და არც შამფურს, რადგანაც: პირველი, ამერიკასთან ჩხუბს კრემლი არ აპირებს და მეორეც, რუსეთს სხვა არაფერი დარჩენია, ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გადარჩენაზე მაინც იფიქროს.

ხსენებულ განცხადებაში რუსი სენატორები დიდ სინანულს გამოთქვამენ სპარსეთის ყურეში მოვლენათა დრამატული განვითარების გამო და მოუწოდებენ მსოფლიოს პარლამენტარებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება კონფლიქტის შეჩერებისა და ერაყის პრობლემის გაერო-ს უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში გადასაწყვეტად.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თვის გამოსვლაში მოითხოვა, რომ ერაყის ბუნებრივი სიმდიდრეები ერაყელი ხალხის საკუთრებაში დარჩეს. **“როცა ჩვენ ომის წინააღმდეგ აქტიურ პოლიტიკას ვეწევით, ეს არ ნიშნავს ამერიკის მამხილებელი პოლიტიკის წარმოებას, ეს იმ ხალხის წინააღმდეგაა მიმართული, ვინც ეს ომი გააჩაღა,”** - აცხადებს საგარო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი და იქვე აღნიშნავს, რომ შეშფოთებას ინვევს აშშ-ს მცდელობა, ჩაითრიოს რუსეთი ერაყის წინააღმდეგ გაჩაღებულ ინფორმაციულ ომში. **"ერაყის კრიზისის შედეგების მინიმიზირებაზე უნდა ვიფიქროთ და ამ ფუნდამენტურ საკითხში ის ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ, ვინც ომს მხარს არ უჭერს",** - თქვა ივანოვმა.

რუსმა სენატორებმა უსმინეს მინისტრს, უსმინეს და ბოლოს ერთი რიტორიკული შეკითხვა მაინც შეჰკადრეს: **"რუსეთის ირგვლივ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წრეიკვრება, რკალი სულ უფრო გვიჭერს, ვინ იქნება შემდეგი?"** ივანოვმა ეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

რასაკვირველია, პუტინიცა და ივანოვიც დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ომის შედეგი გადაწყვეტილია. ამიტომ რუსეთს ერთი ნაბიჯიც აშორებს ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაკარგვისგან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში დღეს რუსეთის თვალუწვდენელი რეგიონების ოლიგარქი ლიდერები ან მათი წარმომადგენლები სხედან, იოლი მისახვედრიაა, თუ რატომ საუბრობს სენატი ასეთი ტონით.

დეპუტატთა ნაწილი საგარეო უწყებას უპირისპირდება

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს სარატიფიკაციოდ რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება წარუდგინა, რომელთაგანაც ორმა დეპუტატთა ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. საუბარია “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 ოქმთან (“ნებისმიერ გარემოებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ”) და “სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სპეციალურ ოქმთან” საქართველოს მიერთების ხელშეკრულებების თაობაზე.

საქმე ის არის, რომ ამ ხელშეკრულებებით, კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაზე პასუხისმგებლობას ქართული მხარე მხოლოდ იმ ტერიტორიებზე იღებს, სადაც ქვეყნის იურისდიქცია ვრცელდება.

ფრაქცია “აღორძინების“ წევრის ჰამლეტ ჭიპაშვილის თქმით, **“ეს მუხლი შესაცვლელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული მხარე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას უკვე ოფიციალურად აღიარებს”.** მას მხარი სხვა დეპუტატებმაც დაუჭირეს. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის გოჩა პაიჭაძის მტკიცებით, **“ხელშეკრულებაში ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ ქვეყანაში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით, ამ კონვენციათა მოთხოვნების შესრულებაზე სრულ პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლება იღებს”.**

დეპუტატთა ნაწილი აცხადებს, რომ ამ კონვენციათა რატიფიცირებას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს, თუკი საგარეო საქმეთა სამინისტრო შენიშვნებს გაითვალისწინებს და ხელშეკრულების ტექსტს შეცვლის.

24 საათი"

ლეიბორისტები მირცხულავას წინააღმდეგ

ლეიბორისტული (შრომის) პარტია სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას იმპიჩმენტს მოითხოვს.

როგორც ლეიბორისტული პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დავით მირცხულავამ მასმედიის წარმომადგენლებს ოფიციალურად განუცხადა, რომ დენის ტარიფის გაიაფებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2002 წლის 30 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას აპირებს.

“ლეიბორისტები” აცხადებენ, რომ მინისტრის მხრიდან ადგილი აქვს არა მარტო სასამართლო გადაწყვეტილების იგნორირებას, არამედ სასამართლო ხელისუფლების მითვისების მცდელობას.

ლეიბორისტული პარტია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და პარლამენტის წევრებს მოუწოდებს, საქართველოს კონსტიტუციის 64 მუხლის შესაბამისად დაიწყონ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის იმპიჩმენტის პროცედურა.

პრაიმ-ნიუსი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ვიცე-სპიკერი ვიცე-სპიკერის წინააღმდეგ

გუშინ ვახტანგ რჩეულიშვილი სამსახურში გვიან მივიდა. თუმცა, პარლამენტის ვიცე-სპიკერს პლენარული სხდომის გაცდენის ძალზე საპატიო მიზეზი ჰქონდა – იგი მთავრობის სხდომას ესწრებოდა და სიტყვითაც კი გამოვიდა - იქ ფინანსთა მინისტრები დაუყვავა, ავთანდილ ჯორბენაძეს ერთგულ პარლამენტართა მხარდაჭერა აღუთქვა, მოუსმინა პრეზიდენტს და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა პარლამენტში.

ამ დროს კი დეპუტატები საგადასახადო კოდექსზე და რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების თაობაზე ბჭობდნენ. იმის მიუხედავად, რომ საქმე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხებოდა, პარლამენტის სხდომათა დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. თუმცა, ვახტანგ რჩეულიშვილს ეს სულაც არ გაჰკვირვებია. პირიქით, მან დარბაზი გამოაფხიზლა და კვლავ პარლამენტის მუდმივმოქმედ დელეგაციათა გაუქმება მოითხოვა.

ამჯერად მან რუსეთ-საქართველოს საპარალმენტთაშორისო დელეგაციის თავმჯდომარის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ელდარ შენგელაიას ანგარიშის მოსმენა მოინდომა და დეპუტატებს ამ დელეგაციის გაუქმება მოსთხოვა. თანაც, ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ ამ პროცესის დაწყება რეგლამენტის დაცვით უნდა მომხდარიყო: ჯერ ანგარიში, შემდეგ – გაუქმება.

“ეს კომისია არ მუშაობს, არ არსებობს. ამიტომაც, სჯობს გაუქმდეს. ნებისმიერი დეპუტატი დამიდასტურებს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არაფერი იცვლება. აღმასრულებელი ხელისუფლება კი პირიქით, გააქტიურდა – მოსკოვში დადიან თედო ჯაფარიძე, მალხაზ კაკაბაძე. თუ პარლამენტს სურს, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესებში, ეს საკითხი უნდა განვიხილოთ. დამიჯერეთ, არ ვარ კონფრონტაციულად განწყობილი, მაგრამ ვაცხადებ, რომ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა, პარლამენტის თავმჯდომარის მეშვეობით, ამ დელეგაციების უზურპირება მოახდინა. ამიტომ ყველა დელეგაცია გასაუქმებელია,” – ეს ვახტანგ რჩეულიშვილის ის არგუმენტებია, რომლებიც, ვიცე-სპიკერის აზრით, მისი მოთხოვნის სამართლიანობას ადასტურებს.

იმის გამო, რომ ელდარ შენგელაია დარბაზში არ იმყოფებოდა, რჩეულიშვილს პასუხი გიორგი ბარამიძემ გასცა. მისი თქმით, **“რუსეთთან ურთიერთობა, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების არათანამიმდევრული პოლიტიკის გამო ჭირს.”** მოგვიანებით, დარბაზში თავად შენგელაიაც გამოჩნდა, რომელმაც განაცხადა, რომ მას დელეგაციის საქმიანობის ანგარიში უკვე მზად აქვს. ამის მიუხედავად, დეპუტატებმა ამ საკითხის განხილვის გადადებას დაუჭირეს მხარი. მით უფრო, რომ დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ფრაქციებთან სწორედ ამ თემებზე გამართავს კონსულტაციებს.

...დღეს ვახტანგ რჩეულიშვილი მოსკოვში მიდის. თუმცა, მისთვის სამწუხაროდ, არა როგორც საპარლამენტთაშორისო დელეგაციის თავმჯდომარე.

”24 საათი”

ვახტანგ რჩეულიშვილი.

საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკი

2002 წლის წარმატებული საქმიანობის შედეგებს აქვეყნებს

2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითბანკის წმინდა მოგებამ შეადგინა 58 ათასი ლარი. 2002 წლის განმავლობაში ბანკმა ქვეყნის ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადების სახითგადაიხადა 620 ათასი ლარი. სესხის პორტფელმა შეადგინა 5, 993 მილიონი ლარი

სესხის პორტფელის დანაწილება საქმიანობის სექტორების მიხედვით	თანხა	პროცენტი
მარცვლეული კულტურების წარმოება	864	14%
მეცხოველეობა	1,644	27%
გადამუშავება	1,531	26%
მცირე წარმოება ბიზნესად	168	3%
მომსახურება	433	7%
კაპიტალი	1,353	23%
სულ	5,993	100%

ბანკის წარმატების განმსაზღვრელი საკრედიტო საქმიანობაა, რაც ბანკის სათაო (თბილისის) ოფისისა და 200 რეგიონალური წარმომადგენლობის ეფექტიანი ხორციელება. საკრედიტო პორტფელის შესაძლო დანაკარგის რეზერვი შეადგენს საკრედიტო დაბანდების 3.16%-ს. 2002 წლის განმავლობაში ბანკის მიერ დაფინანსებული იქნა 1089 პროექტი საერთო ღირებულებით 9,394,000 ლარი.

2002 წლის განმავლობაში ფუნქციონირება დაიწყო ბანკის სამმა ახალმა წარმომადგენლობამ სენაკში, გურჯაანსა და გარდაბანში.

ბანკის 2002 წლის საქმიანობის შედეგები დადასტურებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია „პრაისუოთერჰაუსკუპერსის“ მიერ.

PRICEWATERHOUSECOOPERS
პრაისუოთერჰაუსკუპერსი

ვინ აფარებს თავს კასპს - ერაყელები თუ ბურკინა-ფასოელები?

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ფრაქცია “აღორძინების” ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, კასპის რაიონს, უფრო კონკრეტულად კი რკონის ხეობას, ასობით ერაყელი ლტოლვილი აფარებს თავს. მეტიც: ჯემალ გოგიტიძის მტკიცებით, ძალოვან უწყებებს ცეცხლის გახსნის უფლებაც კი მიღებული აქვთ. მანვე შესაბამის სტრუქტურებს ამ ინფორმაციის გადამოწმება მოსთხოვა.

ჯემალ გოგიტიძის ამ განცხადებას კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ქარუმიძის პასუხი მოჰყვა: **”მე კი მაქვს ინფორმაცია, რომ აჭარაში ქურთი ლტოლვილები შევიდნენ. რაც შეეხება კასპს, ბურკინა-ფასოელების თაობაზე ნამდვილად ვიცი, ერაყელების შესახებ კი არაფერი მსმენია.”**

მას არც ”გაერთიანებული დემოკრატი” გიორგი ბარამიძე ჩამორჩა. ამ ინფორმაციის აბსურდულობაში ჯემალ გოგიტიძის დარწმუნება მან დედუქციური მეთოდის გამოყენებით სცადა. ბარამიძის ლოგიკით, **”ერაყელი ლტოლვილები საქართველოში თუნდაც იმიტომ არ ჩამოვლენ, რომ ომის მიუხედავად, ჩვენგან განსხვავებით, სინათლე აქვთ. ერაყელებს ერთი დიქტატორი აწუხებთ, რომელიც ძალიან სძულთ და ისიც დღე-დღეზე აღარ ეყოლებათ“.**

მას მერე, რაც დეპუტატებმა საკუთარი აზრის გამოთქმა დაასრულეს, კასპის მაჟორიტარს გულმა მაინც არ მოუთმინა და რაიონში გადარეკა. **”პოლიციისა და უშიშროების წარმომადგენლები რკონში გავაგზავნე. დამიჯერეთ, იქ არაფერი ხდება,”** – განუცხადა მოგვიანებით ქარუმიძემ “24 საათს”.

ამის მიუხედავად, ჯემალ გოგიტიძე ერაყელი ლტოლვილების საქართველოში გამოჩენის თაობაზე ინფორმაციის გადამოწმებას მაინც ელოდება. ჩვენთან საუბრისას გოგიტიძემ ინფორმაციის წყაროც დაასახელა. მისი თქმით, ისინი "აღორძინების" კასპელი მაჟორიტარები არიან, რომელთაც ერაყელ ლტოლვილთა ფარული გადაადგილება, თურმე, არ გამოჰპარვიათ.

”24 საათი”

"საქართველოს ელექტროკავშირი" ისევ ფარულად მზადდება საპრივატიზებოდ

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მათი ინფორმაციით, ამჟამად მისი განხილვა მიმდინარეობს, მაგრამ მთავრობა არღვევს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ვალდებულებას, რომ გეგმის განხილვა საჯაროდ უნდა მოხდეს და არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა კაბინეტებში.

გადაწყვეტილების მიღების საჯაროობაზეა საუბარი მსოფლიო ბანკის “ტელეკომუნიკაციების კომპონენტის საზედამხედველო მისიის” მოხსენებაშიც, რომელიც ბანკის ექსპერტებმა ქართველ მინისტრებს ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დაუტოვეს. საქართველოში მათი ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ადგილობრივი მთავრობის წევრებთან ორი ქართული კომპანიის - “საქართველოს ტელეკომისა” და “საქართველოს ელექტროკავშირის” პრივატიზების საკითხის განხილვა წარმოადგენდა. მოხსენების მიხედვით, ექსპერტებმა გააფრთხილეს საქართველოს მთავრობა, თავი შეეკავებინა, “გამჭვირვალე და ღია კონკურსის ჩატარების გარეშე” მართვის კონტრაქტის გაფორმებისგან. ამავე დროს, ბანკის მისია შეთანხმდა მთავრობასთან, არაოფიციალურად რჩევებით დაეხმაროს “საქართველოს ელექტროკავშირის” პრივატიზების ვარიანტების განხილვისას.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მოხსენებაში აღნიშნულია ისიც, რომ “ელექტროკავშირის” თაობაზე “ტელენორმა” საქართველოს მთავრობას მართვის კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა, რათა ნორვეგიულ კომპანიას გაეუმჯობესებინა მისი მაჩვენებლები და ორი-სამი წლის შემდეგ პრივატიზებისთვის მოემზადებინა. “ტელენორსა” და ქართულ მხარეს შორის კონტრაქტი გასული წლის მაისში გაფორმდა, რომლის მიხედვითაც ნორვეგიულმა კომპანიამ საქართველოში მოავლინა ექსპერტთა ჯგუფი. მათი შრომის ნაყოფი – ბიზნეს-გეგმა დღეს უკვე ქონების მართვის სამინისტროში იხილება.

საქართველოს მთავრობამ “საქართველოს ელექტროკავშირის” აქციათა 75 პროცენტის გაყიდვა ერთხელ უკვე სცადა. მაშინ მთავრობის კონსულტანტს საკომუნიკაციო ობიექტების პრივატიზების საკითხებში გერმანული “კომერცბანკი” წარმოდგენდა. 2001 წლის ნოემბერში “კომერცბანკთან” კონტრაქტი დასრულდა, რომელიც ქართულმა მხარემ აღარ გააგრძელა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა “ტელენორი”, რომლის მიმართაც საქართველოს მთავრობა კეთილგანწყობას არ მალავს.

“ტელენორის” საქართველოში შემოსვლა მთავრობამ მაშინაც გაასაიდუმლოვა, რამაც დაბადა არაერთი ეჭვი, რომ ამ ბიზნეს-გარიგებით ჩრდილში მდგომი გარკვეული ფინანსური ჯგუფები იყვნენ დაინტერესებულნი. ამ კონფიდენციალობას საქართველოს მთავრობა დღესაც იცავს...

ჰაერში სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის იმპიჩმენტის სუნი ტრიალებს

გუშინ ლეიბორისტმა ფრიდონ ინჯიამ პარლამენტარებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას იმპიჩმენტის საკითხის დასმა მოთხოვა და მათი უმეტესობაც აიყოლია. დეპუტატების გაღიზიანება უკიდურესად გამწვავებულმა ენერგოკრიზისმა გამოიწვია.

მაია ურუშაძე

"გარწმუნებთ, რომ წელსაც და გაისადაც ამ ქვეყანას არაფერი ეშველება და დენი არ იქნება," – შესჩივლა კოლეგებს პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა ზურაბ ქაფიანიძემ.

გუშინდელ სხდომაზე მსგავსი პროგნოზი ჰქონდა, ფაქტობრივად, ყველა დეპუტატს, ვინც კი პოზიცია გამოხატა.

ელექტროენერგიის დეფიციტის გამო აღშფოთება გამოთქვა ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმაც და ამ საკითხისთვის პარლამენტს მეტი ყურადღების დათმობა სთხოვა.

ენერგოკრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩუბინიშვილის განმარტებით, კრიზისი ასე არ გამწვავდებოდა, მთავრობას რომ მის მიერ დეკემბერში წარმოდგენილ მოხსენებაზე რეაგირება თავის დროზე მოეხდინა.

პარლამენტის სხდომაზე გაირკვა, რომ ენერგეტიკის საკითხებზე მოხსენება დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს დემურ გიორხელიძესაც მზად აქვს. "ელექტროენერგიის კრიზისი ხელოვნურად არის შექმნილი და თუ პარლამენტი უმკაცრესად არ შეაფასებს შექმნილ ვითარებას, კიდევ უფრო უარესი ზამთარი გველის," – განაცხადა მან გუშინ. "მირცხულავას ადგილი ან ციხეშია, ან ემიგრაციაში," — მიიჩნევს გიორხელიძე და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნას მხარს უჭერს.

გუშინ დავით მირცხულავა მხოლოდ ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ არველაძემ დაიცდო. მისი განცხადებით, მინისტრების წამდაუწუმ ცვლა ენერგოკრიზისის დაძლევას ვერაფერს არგებს.

საბოლოოდ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტმა დღის წესრიგში შეიტანა.

რუსთავის მერია ორდღიან ულტიმატუმს აყენებს და არეულობით იმუქრება

მაია მოსიაშვილი

"მე ყველაფერზე წამსვლელი ვარ, ქუჩაშიც გამოვალ და რასაც რუსთაველები გადაწყვეტენ, გვერდში დავუდგები. მთელი კვირაა, შუქი საერთოდ არ არის რუსთავში, საავადმყოფოებიც კი გათიშულია. თუ ეს პარასკევამდე გაგრძელდა, რუსთავის მერია მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორიც აქამდე არც ერთ სახელმწიფო მოხელეს არ მიუღია," - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ რუსთავის ვიცე-მერმა ლევან დუგლაძემ და ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსთავის მერიც იგივეს ფიქრობს.

"იქნებ ეს შეგნებულად კეთდება რუსთავის წინააღმდეგ? იქნებ შეგნებულად ცდილობს ვინმე, ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს?" - საკითხის პოლიტიზირებას ცდილობს ვიცე-მერი და კითხვაზე - ვის უნდა აძლევდეს ხელს ამგვარი რამ - პასუხობს: **"მე დღეს ყველას დავადანაშაულებდი."**

კონკრეტული პრეტენზიები რუსთავის მერიას სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან და გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან აქვს, რომელსაც "რელასი" ორი თვის წინ შეუერთეს. დუგლაძის თქმით, მერმა ტყვე შელაშვილმა მრავალჯერ შეაწუხა პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი, რომელთაც საკითხის მოგვარება, ანუ რუსთავისათვის შუქის მიწოდების დარეგულირება, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დაავალეს. მირცხულავამ პირადად შეითანხმა მერიასა და სადისტრიბუციოს შორის 19 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება და ქალაქისათვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი. **"მეორე დღიდან რუსთავს დენის მიწოდება საერთოდ შეუწყდა. გამოდის, რომ მირცხულავა პრეზიდენტის ბრძანებას არ ასრულებს,"** - ამბობს დუგლაძე.

საქმე ისაა, რომ დოკუმენტის ძალაში შესვლას დაემთხვა დიდი ავარია კავკასიონის ხაზზე, თუმცა ვიცე-მერი აცხადებს, რომ შეთანხმება არც არაავარიულ სიტუაციებში სრულდება და ყოველდღიურად პირადად მერსა და მის მოადგილეებს უხდებათ ცენტრალურ სადისპეტჩეროში მორიგეობა.

როცა რუსთავის ხელსუფლება, რომელთა უმრავლესობა რუსთავში არ ცხოვრობს, ასეა გატანჯული, წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება მოსახლეობა, რომელიც სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია და მალე თავის რისხვას ადგილობრივ ხელისუფლებაზე გადმოანთხევს.

"დღეს დილით "კურიერის" დროს მოვიდა შუქი და რა ნახა ჩემმა თვალებმა, გაგანია ომში ბაღდადი გაჩახჩახებულია, ჩვენს ნათურებში კი ვოლფრამის ძაფები დაჟანგდა. ეს არის მშვიდობა?! ეს არის ხელისუფლება?! ამას გვპირდებოდნენ არჩევნების წინ?!" - ასე ფიქრობს "24 საათის" მიერ გამოკითხულ რუსთაველთა დიდი ნაწილი.

რუსთავის მერიის მხრიდან სათბობ-ენერგეტიკის მინისტრისა და სადისტრიბუციო კომპანიის წინააღმდეგ წაყენებული ულტიმატუმის ვადა ხვალ იწურება.

ინტერფრაქციული ჯგუფი გააქტიურდა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პირველის თანახმად, ცესკო-ში წევრებს ნიშნავს უზენაესი სასამართლო, მეორის თანახმად კი, ცენტრალური საარჩევნო კომისია კომპლექტდება ხელისუფლების სამივე შტოს მიერ: სამ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, სამ-სამს – პარლამენტი და უზენაესი სასამართლო, ხოლო თითო-თითო წევრის დანიშვნის უფლება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს ენიჭებათ.

შეგახსენებთ, რომ "მოქალაქეთა კავშირს" ინტერფრაქციულ ჯგუფში განსახილველად კიდევ აქვს შეტანილი მესამე ვარიანტი, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შერეულ მოდელს გულისხმობს – ორ-ორ წევრს ნიშნავენ პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო, თითო-თითო წევრს – ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელობა და ის პარტიები, რომელთაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის დაძლევა შეძლეს.

ინტერფრაქციული ჯგუფის გუშინდელ სხდომას ფრაქცია “მოქალაქეთა კავშირის” წარმომადგენლები არ დასწრებიან, ამიტომ ჯგუფის სხვა წევრებისათვის ამ გადაწყვეტილების თაობაზე მათი პირველი რეაქცია უცნობი დარჩა. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, "მოქკავშირს" ნაკლებად აღელვებს კომისიების დაკომპლექტების წესი და ყველაფერს იღონებს, რათა დღეს მოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციები უცვლელი (ან, თითქმის უცვლელი) დარჩეს.

მეორე საკითხი, რომლის განხილვაც გუშინ დეპუტატებმა მოასწრეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის უფლებამოსილების შეზღუდვას შეეხება. ფრაქციათა წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ ცესკო-ს მხოლოდ არჩევნების ორგანიზატორის ფუნქცია უნდა დარჩეს, ხოლო საჩივრების განხილვა და შედეგების დამტკიცება სასამართლო ხელისუფლებას უნდა მიენიჭოს. ამ მოდელის თანახმად, რაიონული სასამართლოები ადგილზე გამართული არჩევნების შედეგებს სამი დღის ვადაში ამტკიცებენ, ხოლო არჩევნების გამართვიდან არაუგვიანეს ათ დღეში არჩევნების საბოლოო შედეგს საზოგადოებას უკვე უზენაესი სასამართლო ამცნობს.

ინტერფრაქციული ჯგუფის წევრთა შორის გუშინ მიღწეული ორივე შეთანხმება მხოლოდ ზოგად ხასიათს ატარებს, რადგან, დროის სიმცირის გამო, პარლამენტარებმა ვერ მოახერხეს იმის დაკონკრეტება, თუ რას ნიშნავს კომისიების დაკომპლექტების პარტიული წესი. საპარლამენტო ფრაქციებს ამ თემაზე ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებები აქვთ, ხოლო მათი შეჯერება ვერ ხერხდება.

ოპოზიციური პარტიებისთვის ყველაზე მისაღებია ის მოდელი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო – ცესკო-ში კომისიის ორ-ორი წევრის დანიშვნის უფლება ენიჭებათ იმ პარტიებს, რომლებმაც ბოლო ორ არჩევნებში (1999 წლის საპარლამენტო და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები) ოთხპროცენტიანი ბარიერის დაძლევა შეძლეს; ხოლო თითო-თითო წევრის დანიშვნის უფლება – პრეზიდენტსა და ავტონომიების ხელმძღვანელობას. მაგრამ ასეთი მოდელი აბსოლუტურად მიუღებელია სახელისუფლებო ფრაქციებისთვის, რადგან მისი დამტკიცების შემთხვევაში, საარჩევნო კომისიებში საკუთარი წარმომადგენლები ეყოლებათ იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებსაც მომავალ არჩევნებში გამარჯვების პრეტენზია აქვთ. პირველ რიგში, ეს “ნაციონალები”, “გაერთიანებული დემოკრატები” და “ახალი მემარჯვენეები” არიან.

აქედან გამომდინარე, "მოქკავშირი" ყველაფერს იღონებს, რათა პარლამენტმა ეს მოდელი არ მიიღოს. ასე რომ, ფრაქციებს შორის ურთიერთობები ინტერფრაქციული ჯგუფის უახლოეს სხდომებზე დაიძაბება.

სპეციალური ეკონომიკური ზონები - სახიფათო განდაგანა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პრაქტიკულად, ყველა სამთავრობო უწყება და ეკონომიკური ექსპერტი კანონპროექტს ერთსულოვნად აკრიტიკებს. მაგალითად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და მიიჩნევს, რომ **"ეს ზონები იქნება ეკონომიკის ორგანიზმში მეტასტაზის ჩანერგვა, რომელიც მთელ სხეულს გაანადგურებს. ქვეყანაში, სადაც ტერიტორიები დაკარგულია, საზღვრები ვერ კონტროლდება, კონტრაბანდის დიდი მასშტაბები არსებობს, უგუნურება იქნება, შექმნა სახელმწიფო სახელმწიფოში. თანაც, დღეს მსოფლიო გამოდის ოფშორული ზონების წინააღმდეგ, რადგან ისინი კრიმინალური ფულის გათეთრებას ემსახურებიან."**

ოფშორულ ზონებში შავი ფულის ნაკადების მოძალების რისკს ხედავს ფინანსთა სამინისტროც, რომელსაც თავისი დასკვნა, ჯერჯერობით, მზად არა აქვს. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი მიიჩნევს, რომ **"თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეა ქვეყანაში ამჟამად არსებული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიას არ შეესაბამება."** მისი თქმით, ეს კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის კანონთან ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, რომლის მიღებასაც სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას დაჟინებით ურჩევს.

"თეზების" შექმნას არც ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა უჭერს მხარს: **"როცა ექსპორტ-იმპორტი ქვეყანაში ისედაც ლიბერალური რეჟიმით იბეგრება, არ მესმის, რა საჭიროა ღია კარის მტვრევა?"** პაპავა მიიჩნევს, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული უმთავრესი შეღავათი – 10-პროცენტიანი მოგების გადასახადი, არა მარტო სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძლება მოქმედებდეს, ხოლო ამ გადასახადისგან სრულ გათავისუფლებას ექსპერტი სპეციალური ეკონომიკური ზონის ფარგლებშიც ეწინააღმდეგება.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური პოლიტიკისა და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტები კანონპროექტს იმედით უყურებენ. გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე მიიჩნევს, რომ ეს საქმე **"რისკად ღირს"**. ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავა კი ირწმუნება, რომ **"კანონის მიღება, უბრალოდ, აუცილებელია".**

რაც შეეხება კანონპროექტის ოპონენტებს, მათ არგუმენტებზე თავისებურად რეაგირებს ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე: **"გავიგე, თურმე შავი ბიზნესით დაკავებული უცხოელი საქმოსნები ფულს საზღვარგარეთ ვეღარ ათეთრებენ და მხოლოდ იმას ელიან, თუ როდის გაიხსნება "თეზები" საქართველოში,"** – ხუმრობს ის და კანონპროექტის კანონად ქცევის იმედს არ კარგავს.

არაბული რაკურსი

ერაყელი შიიტების ლიდერი თეირანში

სამშაბათ დილით ერაყელი შიიტების ერთ-ერთმა უმაღლესმა სასულიერო პირმა აიათოლა სეიედ მოჰამად ბაყერ ალ-ჰაქიმმა, რომელიც ამასთანავე ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლეს საბჭოსაც ხელმძღვანელობს, აღნიშნული ორგანიზაციის თეირანის ოფისში ირანში აკრედიტებული მსოფლიო და რეგიონულ საინფორმაციო საშუალებებისათვის პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე, სადაც მასმედიის უამრავმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი, ერაყელთა რელიგიურმა პირმა ჟურნალისტების შეკითხვათა საპასუხოდ განაცხადა:

“ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ ერაყის წინააღმდეგ წამოწყებულმა აგრესიამ უკიდურესად გაამწვავა ვითარება მთელ მსოფლიოში. ჩვენ ადრეც არაერთხელ გვითქვამს და დღესაც ვიმეორებთ, რომ ეს ომი ერაყელი ხალხის ინტერესებს არ ემსახურება, რადგან სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის პრობლემის მოგვარება საჭიროა მხოლოდ ერაყელი ხალხის მეოხებით. ჩვენ ბევრჯერ განვაცხადეთ ამ პოზიციის თაობაზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვით ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის, თითქმის, ყველა დონეზე; თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს მოწოდებას ყურადღება არავინ მიაქცია”.

აიათოლა სეიედ მოჰამად ბაყერ ალ-ჰაქიმის თქმით, საგანგაშოა, რომ დღემდე არც ერთ არაბულ თუ ისლამურ ქვეყანას არ შეუმუშავებია ერაყში ომის შეჩერების თუ სადამის ტირანიისაგან ამ ქვეყნის მოსახლეობის დასახსნელი კონკრეტული გეგმა. არადა, ომის კვერი დღეს სწორედ ერაყელ ხალხს ლეწავს, ხოლო სადამს სახალხო წინააღმდეგობის ეშინია და ამიტომაც ყოველი ქუჩაში გამოსული ადამიანის დაუყოვნებლივ განადგურების ბრძანება გამოსცა. თავის მხრივ, შეერთებულ შტატებს ერაყელ ხალხთან მიმართებაში ანალოგიური პოზიცია უკავია. ამრიგად, ერაყელი ხალხი ორმხრივი დარტყმის სამიზნედ იქცა.

ერაყელთა სასულიერო პირმა დააზუსტა, რომ ორგანიზაცია, რომელსაც იგი წარმოადგენს, კონფლიქტის არც ერთი მხარის ინტერესებს არ ემსახურება. მან თქვა:

“ჩვენ არც სადამის რეჟიმთან და, მით უმეტეს, არც უცხოელ ინტერვენტებთან არ ვთანამშრომლობთ. ჩვენი მიზანია, გავამხნევოთ ერაყელი ხალხი, რათა დაიცვან და შეინარჩუნონ თავიანთი მიწა-წყალი, გენოფონდი თუ ისტორიული ნაგებობანი; მით უმეტეს, რომ ვითარება დღითიდღე იძაბება და ჩვენ არ ვიცით, საბოლოოდ რა შედეგს გამოიღებს ეს ყოველივე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, ერაყელ ხალხს ომის საფრთხე თავიდან ავაცილოთ”.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე - სადამის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში, როგორ წარმოუდგენია ერაყის მომავალი, აიათოლა ალ-ჰაქიმმა განაცხადა:

“ერაყული ოპოზიციის ლიდერთა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით მყარი, ერთიანი და უცვლელია. მათი აზრით, სადამის შემდეგ, ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს ეროვნული ძალებისაგან შემდგარი კოალიციური მთავრობა; ხოლო ამას გარდა, უცხოელთა მხრიდან ნებისმიერ სხვა შემოთავაზებას უარი უნდა ეთქვას”.

აქვე, ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს მეთაურმა აღნიშნა: “ბუნებრივია, ერაყელები ინტერვენტული მიზნებით შემოსულ უცხოურ ძალებს სიხარულითა და ძმური სალმით არ შეეგებებიან; თუმცა, თუკი უცხოელები არსებული რეჟიმისგან თავდასახსნელად მეგობრულ დახმარებას შემოგვთავაზებენ, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ დახმარებას ადეკვატურად დავაფასებთ”.

ამერიკელებთან დიალოგის შესახებ ერაყელი სასულიერო მოღვაწე აღნიშნავს:

“ჩვენ ველით, რა მოხდება ომის შემდეგ და როცა დიალოგის აუცილებლობას დავინახავთ, შესაფერისი გარემოს შექმნასაც უსათუოდ ხელს შევუწყობთ. თუმცა, ამერიკაზე საერთაშორისო ზეწოლის კომენტირებისას, დასძინა, რომ საერთაშორისო ზეწოლა - საზოგადოებრივი აზრის, თუ სხვა მხრივ - ამერიკისათვის ახალი ხილი სულაც არ არის და საეჭვოა, ამან ამ ქვეყნის ხელისუფლებას ომზე ხელი ააღებინოს, ან წინანდელი პოზიციები გადააფასებინოს.

აიათოლა ალ-ჰაქიმის თქმით, ერაყის დღევანდელ რეჟიმს ამერიკელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია და, ვარაუდობენ, ერაყელი ხალხი თავისი ქვეყნის ახლებური მოწყობის აუცილებლობის წინაშე მალე დადგება, დღევანდელი რეჟიმის ოპოზიცია კი ერაყელი ხალხის ნაწილია. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ არსებობს ქვეყნის მომავალი განვითარების გეგმა, რომლის უმთავრეს პირობასაც საწყის ეტაპზე ეროვნული, ყოველგვარი უცხოური ზეგავლენისაგან თავისუფალი მთავრობის ჩამოყალიბება წარმოადგენს. მისი აზრით, სამომავლოდ, ასევე აუცილებელია ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ერაყელი ხალხის ეროვნული თავისებურებებისა და სიწმინდეების პატივისცემა და მთავრობის მხრიდან ქვეყნის ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის მოვლა-გაფრთხილება.

“ნიდა არ-რაფიდინ”
ერაყი

ომის დაწყებიდან მეექვსე დღეს

ომის დაწყებიდან მეექვსე დღეს კონფლიქტის ორივე მხარე ცდილობს საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას. ამერიკელთა ჯარებმა დიდი ძალისხმევა შეალიეს ერაყის სამხრეთით მდებარე ქალაქებისა და, განსაკუთრებით, ამჟამად ალყაში მოქცეულ ქალაქ ბასრას საკომუნიკაციო ქსელების მწყობრიდან გამოყვანას. ბასრას მოსახლეობა სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის. აქ მთლიანად გათიშულია ელექტროენერგია; რაც შეეხება ქალაქ ან-ნასირიას, რომლის მცხოვრებლებმაც კოალიციის ჯარებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, როგორც ამბობენ, მისი გზები ასზე მეტი ერაყელის გვამებითაა მოფენილი.

უდაბნოში ამოვარდნილმა სეზონურმა ქვიშიანმა ქარებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ბრიტანულ-ამერიკული კოალიციის ჯარების ბაღდადისაკენ წინსვლის შეფერხებაში. ამერიკელთა სამხედრო ძალების სარდლობა კი აცხადებს, რომ ყველაზე სასტიკი და გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. გაზეთ “ალ-ვატანის” სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ომის დაწყების დღიდან თვალს ადევნებს საბრძოლო მოქმედებათა განვითარებას, ერაყის სამხრეთიდან იტყობინება, რომ ქალაქი ბასრა ყოველი მხრიდან ალყაშია მოქცეული და მასში შეღწევა, შესაძლებელიც რომ იყოს, ძალზე სახიფათოა. მომავალი საზარელი ბრძოლის დაწყებისთვის ყველანაირი წინაპირობაა შექმნილი. კოალიციის ჯარებს სურთ, სწრაფად დაასრულონ შეტევა ბაღდადის მიმართულებით, რადგან დროის გაწელვა და დაყოვნება მათ ინტერესებს არ შეესაბამება

გაზეთ “ალ-ვატანის” დასავლური წყაროს ინფორმაციით კი, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებს ერაყული ჯარების სარდლობასთან, რათა მათ გაუადვილონ კოალიციის ჯარებს ბაღდადში შეღწევა და ერაყის დედაქალაქის აღება. იმავე წყაროს შეფასებით, აღნიშნული საიდუმლო მოლაპარაკებების რეალური შედეგი ბაღდადის ალყის დროს გამოჩნდება. ფაქტი ის არის, რომ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ, ბაღდადის ომამდე კარგა ხნით ადრე შეიგულა საიმედო პირები თავისი გეგმისათვის, რომლის მიზანიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის მოღალატე სამხედროების გადაბირება იყო და რომლებიც, როგორც ამბობენ, ერაყული არმიის რამდენიმე მაღალჩინოსანი სამხედროა.

თუ მეორე მხრივ, ბაღდადის დაცვისათვის ერაყელთა საბრძოლო შემართებას გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ მსხვერპლი მძიმე და მრავალრიცხოვანი იქნება.

გაზეთი “ალ-ვატანი”
საუდის არაბეთი

მოამზადა გიორგი ლობჟანიძემ

ერაყელი ქალები.

მეშვიდე დღე: უდაბნოს ქარიშხალი გრძელდება

ჰირველი გვერდიდან

მოკავშირეები ერაყის არმიას ომის კანონების დარღვევაში ადანაშაულებენ. რეგულარული არმიის ნაწილებმა და ფაედინებმა სამხედრო ფორმები გაიხადეს და სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები იბრძვიან, რაც მოკავშირეებისათვის ძალზე ართულებს სამხედროების გარჩევას მშვიდობიანი მოსახლეობისაგან. ხშირად ერაყელები თეთრი დროშებით გამოდიან, და როდესაც კოალიციის ჯარისკაცებს უახლოვდებიან, ცეცხლს ხსნიან. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშვიდობიან მოსახლეობას ერაყის არმია ცოცხალ ფარად იყენებს.

მეორე მხრივ, მოკავშირეები მაქსიმალურად ცდილობენ, თავიდან აირიდონ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის. ისინი კვლავინდებურად არ შედიან ქალაქებში. უკვე საყოველთაო გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ბაღდადი ისევ განათებულია და ერაყის ტელევიზია მაუწყებლობას აგრძელებს.

მიუხედავად ამისა, გუშინ მოკავშირეთა ავიაციის მიერ ჩამოგდებული ბომბები ბაღდადის ერთ-ერთ ბაზარს დაეცა. 14 მშვიდობიანი ერაყელი დაიღუპა და 30-ზე მეტი დაიჭრა. ერაყის ტელევიზიის ინფორმაციით, ორშაბათიდან მოყოლებული, დაბომბვების შედეგად 93 მშვიდობიანი ერაყელი დაიღუპა. სხვადასხვა წყაროების ცნობით, ერაყის წინააღმდეგ უკვე 10 ათასამდე რაკეტა და ბომბი იქნა გამოყენებული.

ომის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, მოკავშირეთა სამხედრო სტრატეგია კრიტიკის ობიექტი გახდა. როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა განუცხადა ტელეკომპანია სი-ენ-ენს, მისმა უწყებამ კარგად ვერ შეაფასა, გასამხედროებული ერაყული დაჯგუფებების, მათ შორის, ფაედინების შესაძლებლობები. "ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ ისინი მთელ ერაყში იქნებოდნენ გაფანტული". ფაედინები, საიდუმლო პოლიცია და უშიშროების სამსახურები კვლავ ინარჩუნებენ ხელისუფლებას ერაყის ქალაქებში და მოკავშირეთა მიერ დასახლებული პუნქტების დაკავებას წინააღმდეგობას უწევენ.



პენტაგონს აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მან თავისი არმია უზარმაზარ სივრცეზე გაფანტა. კოალიციის ჯარები ერაყის სიღრმეში უკვე 320 კილომეტრით არიან შესულნი, ამიტომ მათ უჭირთ დაკავებული ტერიტორიების გაკონტროლება.

ცნობილი "პიუს ცენტრის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც სამხედრო ოპერაციას "ძალიან წარმატებულად" მიიჩნევდნენ, 72 პროცენტიდან 38 პროცენტამდე შემცირდა.

ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ერაყში სულ მალე შევა ქვეითთა მეოთხე დივიზიის 30 ათასი ჯარისკაცი. მეოთხე დივიზია ამერიკის ყველაზე თანამედროვე სამხედრო შენაერთად ითვლება.

ამჟამად, სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობენ ამერიკელი, ბრიტანელი და ავსტრალიელი ჯარისკაცები. გარდა ამისა, ერაყის სიახლოვეს იმყოფება დანიური წყალქვეშა ნავი, რომელიც მოკავშირეებს სადაზვერვო ინფორმაციას გადასცემს. რეგიონში იმყოფებიან ჩეხური, სლოვაკური, პოლონური და რუმინული ძალები, რომლებიც მზად არიან არასაბრძოლო ოპერაციებში მოკავშირეთა დასახმარებლად. მათ მალე შეუერთდებიან უკრაინული და ბულგარული დანაყოფები. ამის შესახებ განაცხადა გუშინ, ტამპაში, სამხედროების წინაშე გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბუშმა. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი საბჭოთა და სატელიტი ქვეყნები ამერიკას ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს, მათი ყოფილი იმპერიული ჰეგემონი, რუსეთი კი სამხედრო ოპერაციას უკანონოს უწოდებს.

გუშინ ერაყში ჰუმანიტარული დახმარების პირველი კოლონები შევიდა. სამხრეთიდან შემოსული სატვირთო მანქანები ერაყის ქალაქებში წყალს, საკვებს და მედიკამენტებს არიგებენ. ამჟამად, ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბასრაში ჰუმანიტარული დახმარების შეტანის შესახებ.

როგორც გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენელმა ტრევორ როუმ განაცხადა, ერაყისათვის დახმარება ისტორიაში ყველაზე მსხვილი ჰუმანიტარული ოპერაცია იქნება. "ვფიქრობთ, ჩვენ მოგვიწევს 27 მილიონი ადამიანის გამოკვება ექვსი თვის განმავლობაში." "ეს ერთ მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება", – დასძინა მან.

როცა დიქტატორი ზარს ორჯერ რეკავს

„შპიგელი”

ერაყის დიქტატორის წინააღმდეგ მიზანმიმართული ნადირობა აქამდე უშედეგო იყო. სადამ ჰუსეინს უსაფრთხოების სისტემა საკმაოდ ეშმაკურად აქვს აგებული, რომელიც მას დამალვის საშუალებას აძლევს. როგორც კი მისი ხელისუფლება რღვევას დაიწყებს, გამოაშკარავდება, თუ რამდენად ერთგულნი არიან სადამის თანაშემწეები დიქტატორის მიმართ. საზოგადოებაში, რომელშიც ინფორმაციის თავისუფლად მოპოვება შეუძლებელია, არსებობს სხვა საშუალებები, რომლებიც ხალხს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ამსახველ სურათს სთავაზობენ. ბაღდადში ჩაიხანები და საპარიკმახეროები ყოველთვის წარმოადგენდნენ ინფორმაციის მთავარ წყაროს. იქ ერთი პირიდან მეორეს გადაეცემა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ჭორი ანდა, შესაძლებელია, სიმართლის მარცვალსაც შეიცავდეს.

ერთ-ერთი ასეთი ისტორია ბაღდადში სანაგვე მანქანებს შეეხება. რამდენიმე თვის წინ, ქალაქში მოულოდნელად სრულიად ახალი ავტომანქანები გამოჩნდნენ, რომლებიც მთელი დღეების განმავლობაში ქუჩებში დადიოდნენ და ნაგავს აგროვებდნენ. მათ სანაგვე ბუნკერები პირწმინდად დაასუფთავეს. არავინ იცის, თუ რა იმალებოდა ამის უკან: შესაძლოა, ეს აშშ-ს მიერ აღმოჩენილი მობილური ლაბორატორიები და საიდუმლო იარაღის საწყობები იყო, ანდა ერაყის ხელისუფლების გადასაადგილებელი ოფისები.

მოკავშირეები სადამს ეძებენ. თუკი მოახერხებენ ერაყის ლიდერის ან მისი ოჯახის პოვნას, რისიც მათ დიდი იმედი აქვთ, ომი საკმაოდ სწრაფად დასრულდება. სწორედ ამიტომაც, ბაღდადში ჩამოყრილი პირველი ბომბები, პირველ რიგში, უმაღლესი ხელისუფლებისათვის არის განკუთვნილი. მათ თითქოს მიზანსაც მიაღწიეს და, როგორც იტყობინებოდნენ, მსუბუქად დაჭრილი სადამი სასწრაფო დახმარების მანქანით მიიმალა.

ერაყის რეჟიმის უმაღლესი პირების და მათი ადგილსამყოფელის მოძებნა ადვილი საქმე არ არის. ბაღდადში, უკვე რამდენიმე დღეა, საუბრობენ იმის თაობაზე, რომ სადამის ოჯახის წევრები ლიბიაში დამალვის შესაძლებლობებს ეძებენ. საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ თითქოს ოჯახის რამდენიმე წევრმა ლიბიაში გადასვლა და თავშესაფრის პოვნა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მოახერხა. გარდა ამისა, ჰუსეინის უახლოეს თანამებრძოლებს დამალვა თვით დედაქალაქშიც კი შეუძლიათ და ამისათვის კარგად განვითარებული ბუნკერების და გვირაბების სისტემას გამოიყენებენ.

ცხოვრება მიწისქვეშ

მიწისქვეშ ელიტის ცხოვრება საგრძნობლად განსხვავდება იმ თავშესაფრებში ცხოვრებისაგან, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობისათვის ბომბებისგან თავდასაცავად არის განკუთვნილი. ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის ბაღდადში, დაახლოებით, ოცდაათამადე დიდი თავშესაფარია. თითოეულ მათგანში 400-მდე ადამიანის მოთავსებაა შესაძლებელი, მაგრამ ბევრს ჯერ კიდევ არ დავიწყნია, რომ 1991 წელს სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს, ბაღდადში ოთხასამდე ქალი და ბავშვი ცოცხლად დაიწვა იმის გამო, რომ თავშესაფარს ორი ბომბი მოხვდა.



სადამ ჰუსეინი

სადამის უკან დასახევი გზები საკმაოდ კარგად არის დაცული. ისინი რუსული და იუგოსლავიური მოდელით არის შექმნილი, რამდენიმე საფეხურით ღრმავდება მიწაში, აღჭურვილია სავადმყოფოებით და წყლისა და ელექტროენერგის ავტომატური მოწოდებით. სადამისათვის მიწისქვეშა ცხოვრება სავსებით შესაძლებელია, პირველ რიგში, ბაღდადსა და მის მშობლიურ ქალაქ ტიქრიტში.

ტერაქტების შიშით და ასევე იმ საფრთხის გამო, რომ მისი სამალავი ჯაშუშებისათვის ცნობილი გახდება, სადამი ყოველდღე იცვლის ღამის გასათევ ადგილს. ამისათვის ის ასევე ხშირად იყენებს რიგითი მოქალაქეების საცხოვრებელ სახლებს. ბაღდადში მყოფი ჟურნალისტები ყვებიან, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მათ პრეზიდენტისგან ინტერვიუ ბაღდადის რიგით საცხოვრებელ რაიონში აიღეს. ასევე იუწყებიან, რომ 1991 წელს, პირველი ომის დროს, ქუვეითიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ, სადამმა ქალაქ ბასრასთან ახლოს, მოულოდნელად დააკაკუნა ერთ-ერთი ერაყელი გლეხის სახლის კარებზე და ღამის გათევა ითხოვა.

სწორედ ასეთი ჭკვიანური ტაქტიკის გამოყენების შედეგია, რომ დღემდე სადამის ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა. ხოლო იმ ფაქტს, რომ დაბომბვების პირველივე ღამეს მოკავშირეებმა მასთან მიახლოება შეძლეს, ერაყელები დიქტატორის უახლოესი გარემოცვის ღალატით ხსნიან.

დახმარება სამშობლოში

სადამი ან ბაღდადში გამოჩნდება ან ტიქრიტში, თავის მშობლიურ ქალაქში, სადაც მას სამოქალაქო მოსახლეობის მხრიდან სერიზული დახმარების იმედი აქვს. აქედან კი მას მხოლოდ ერთი გზა რჩება – ჩრდილოეთ ერაყის მთები, სადაც მას ნაკლებად შეეძლება, ქურთი მოსახლეობისგან თბილი დახვედრის იმედი იქონიოს.

საზღვარგარეთ სადამის გაქცევის შემთხვევაში, ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მას მიიღებს, დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდება. თუკი მას თავშესაფარს რომელიმე ქვეყნის მთავრობა გამოუყოფს, მაგალითად - სირიის ხელისუფლება, მაშინ დამასკო უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ აშშ-ს შემდგომ სამიზნედ სწორედ ის იქცევა. მიუხედავად ამისა, სადამს შეუძლია ნებისმიერ ქვეყანაში არაბული მოსახლეობის მხრიდან სიმპათიისა და დახმარების იმედი ჰქონდეს, განსაკუთრებით, პალესტინური წარმოშობის არაბებში, მაგალითად - იორდანიაში. პალესტინელებისათვის სადამი გმირია, რომელიც პირველივე შესაძლებლობისთანავე თავს დაესხა ისრაელს და რომელიც წინააღმდეგობას უწევს ისრაელის მთავარ მფარველს – აშშ-ს.

ერაყელ დიქტატორს კვლავ გააჩნია საკმარისი თანხა, რომელიც მას საზღვარგარეთ ცხოვრების საშუალებას მისცემს. თუმცა, აშშ-მ გასულ კვირას უკვე მოახდინა ერაყის ხელისუფლების საზღვარგარეთული აქტივებიდან 1,7 მილიარდზე მეტი ამერიკული დოლარის კონფისკაცია და ამ თანხის გამოყენებას, თითქოს, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით აპირებს. ამასთანავე, აშშ-ს ფინანსთა მინისტრის ჯონ სნოუს მოთხოვნას - მთელ მსოფლიოში ერაყის ქონების გაყინვის ან დაპატიმრების შესახებ - შვეიცარიის მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდა. აქ ანგარიშების ბლოკირება მხოლოდ გაერო-ს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება.

სნოუს მოთხოვნით, ერაყული “სისხლიანი ფული” მთელ მსოფლიოში უნდა მოიძებნოს. მართალია, შვეიცარიის ფინანსთა მინისტრმა კასპარ ფილიგერმა 10 მარტს განაცხადა, რომ შვეიცარიაში სადამ ჰუსეინს არავითარი საბანკო ანგარიში არ აქვს, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომელიც ამ სახელმწიფოში ერაყის საკუთრების არსებობაზე მიუთითებს.

აქვს თუ არა სადამს ფული შვეიცარიაში?

შვეიცარიის ეროვნული ბანკის სტატისტიკა, რომელიც 117 ბანკის მონაცემებს ეყრდნობა, ერაყის მიმართ 314 მილიონი ევროს ვალდებულებაზე მიუთითებს. ერაყის ქუვეითში შეჭრის შემდეგ, გაერო-ს მიერ ბაღდადზე დაწესებული სანქციები ერაყის საკუთრებაზე აკრძალვებს არ შეიცავს. აკრძალულია მხოლოდ ერაყში ფულის გადარიცხვა ან ერაყული აქტივების გამოყენება არასანქცირებული სავაჭრო გარიგებების წარმოებისათვის.

ხმები იმის თაობაზე, თითქოს სადამ ჰუსეინმა შვეიცარიაში რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი გადამალა, სპარსეთის ყურეში 1991 წლის პირველი ომის შემდეგ დადის. მაშინ დასახელებული იყო ორი ფირმა ჟენევაში, რომლებიც აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. შვეიცარიის სავაჭრო რეგისტრის თანახმად, ორივე ფირმა ამჟამად ლიკვიდაციის პროცესშია. ამის თაობაზე გაზეთი “დი ველტი” იუწყება.

ბარზან ათ-თიქრითის, სადამის ნახევარძმას, საბანკო ანგარიშების გახსნის საშუალება ჰქონდა. 1998 წლამდე ის გაერო-ში ერაყის ელჩად მუშაობდა, თუმცა გასულ წელს მას შვეიცარიის დატოვება მოუხდა, რადგანაც მას ვიზა არ გაუგრძელეს. საერთოდ, ძმებს შორის თბილი ურთიერთობა არ სუფევს. ათთიქრითი სადამის ბრძანებებს არ ემორჩილებოდა. პრეზიდენტის მოთხოვნის მიუხედავად, იგი ერაყში დაბრუნების მაგივრად, შვეიცარიაში დარჩა, რადგანაც მისი მეუღლე მძიმე ავადმყოფი იყო. უნდა ითქვას, რომ რამდენიმე წლის წინ, იორდანიიდან ერაყში დაბრუნების დროს, მოხდა სადამის ძმისშვილის ლიკვიდაცია, რომელიც დიქტატორის რეჟიმს აკრიტიკებდა. სადამმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ თვით მის ოჯახშიც ზოგიერთი წევრი შურისძიებაზე ფიქრობს. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სადამის მიერ შექმნილი მმართველობის და ჩაგვრის სისტემა დაინგრევა, გამოაშკარავდება, თუ რამდენად არიან ერთგულნი სადამის მიმართ მისი დამცველები და თანაშემწეები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

„ახლა ყველამ კარგად გაიგო, რომ ამერიკასთან ხუმრობა არ შეიძლება"

"24 საათის" სტუმარია ჟენევის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ***დენიელ უორნერი***

REUTERS

- ეს ომი შეცვლის მსოფლიოს?

- თავად ომი, ალბათ, არა. მაგრამ მსოფლიოში ვითარდება პროცესები, რომელთა ნაწილიცაა ეს ომი. ეს პროცესები, რასაკვირველია, შეცვლის მსოფლიოს.

აღნიშნული პროცესები ჩვენ ბოლომდე არც გვესმის. ჩვენ დღემდე არ ვიცით, ზუსტად რა შეიცვალა 1989 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლით. როდესაც დავიწყეთ ამ ცვლილებების გაგება, 11 სექტემბერი მოხდა.

- თვითონ იმან, ვინც ეს ომი დაგეგმა, თუ იცის, რას მოიტანს იგი?

- ადმინისტრაცია ამ საკითხზე ორად არის გაყოფილი. არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ იცის, რა ხდება. მათი პოზიცია ჩამოყალიბებულია მემორანდუმში, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს გამოქვეყნდა. ნაწყვეტები ამ მემორანდუმიდან ხელახლა გამოჩნდა აშშ სტრატეგიულ დოკუმენტში. ის ხალხი, ვინც 92-ში ეს მემორანდუმი შექმნა, დღეს ხელისუფლებაში არიან. მათთვის ერაყის ომი უფრო დიდი სტრატეგიის ნაწილია.

- რას გულისხმობს ეს სტრატეგია?

- 1989 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა. ეს მოვლენა ბევრმა აღიქვა, როგორც ამერიკის გამარჯვება, ლიბერალიზმის ტრიუმფი. სწორედ მაშინ გამოჩნდა ჯოზეფ ნაის ცნობილი წიგნი "ლიდერობისათვის შექმნილი" და ფუკუიამას წიგნი "ისტორიის დასასრული". ის მოსაზრება, რომ ლიბერალური დემოკრატია მთელი მსოფლიოს მომავალი უნდა იყოს, 11 სექტემბრის შემდეგ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა. თუმცა, არის ბევრი სპეციალისტი, ვინც ამგვარ მოსაზრებებს მეტისმეტად მარტივად მიიჩნევს.

დღევანდელი მსოფლიო ძალიან წააგავს მსოფლიოს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მაშინ ამერიკაში ბევრს, მათ შორის პრეზიდენტ ვილსონს ეგონა, რომ ეს ომი ყველა ომს დაასრულებდა და მსოფლიოს მშვიდობას მოუტანდა. ვილსონის იდეები მაშინ მარცხით დამთავრდა. დღეს არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ერაყის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მსგავსი დიქტატატურების დამხობით, ლიბერალური დემოკრატია მთელ მსოფლიოში გავრცელდება.

მე ძალიან მაწუხებს ეს ომი. როგორც მისი ეკონომიკური შედეგები, ისე ის დარტყმა, რომელსაც იგი ამერიკის იმიჯზე მოახდენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მე ამ ომს სკეპტიკურად ვუყურებ, თუმცა, როგორც ყველა ნაღდი ნიუ-იორკელი, სკეპტიკოსი და ცინიკოსი ვარ.

- ეს ომი ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის დამყარებას შეუწყობს ხელს?

- მიზანი ის არის, რომ ახლო აღმოსავლეთში სტაბილური და მეტ-ნაკლებად დემოკრატიული მმართველობა დამყარდეს. ომის პარალელურად, აშშ-მ გამოაქვეყნა "საგზაო რუკაც" ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

სურვილი, რომ ახლო აღმოსავლეთში ვითარების ნორმალიზაცია მოხდეს, დიდი ხანია არსებობს, დღეს სურთ, რომ ერაყი ამ გეგმის ცენტრალურ კომპონენტად აქციონ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არაბულ სამყაროში ომის შედეგად ძალადობამ და ანტიამერიკულმა განწყობამ იმატა.

- ანტიამერიკულმა განწყობამ იმატა ევროპაშიც...

- ამ დაპირისპირებას კარგად ხსნის რობერტ კაგანი თავის ცნობილ სტატიაში. ევროპელები ცხოვრობენ, მუდმივი მშვიდობის პირობებში და მათ არ უწევთ, თავი შეიწუხონ ისეთ პრობლემებზე ფიქრით, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღი, ტერორიზმი, ანარქია, ომები. ევროპელებს საკუთარ თავდაცვაზეც არ სურთ ფულის ხარჯვა, რადგან იციან, რომ "შავ სამუშაოს" ამერიკა შეასრულებს. ამიტომ, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებისადმი მათ ძალზე თავისებური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ.

- თქვენი აზრით, რამდენად დამაჯერებელია აშშ-ს არგუმენტები?

- ამერიკის არგუმენტების გაგება საკმაოდ რთულია. ძირითადი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ პრევენტიული დარტყმის კონცეფცია შეიცვალა. ადრე პრევენტიული დარტყმა გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი სახელმწიფო სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მეორე მის წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებდა. ახლა, კონცეფცია შეიცვალა. თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ სახელმწიფოს აქვს მასობრივი განადგურების იარაღი და იგი მას ვერ აკონტროლებს, ეს უკვე საკმარისია დარტყმის მისაყენებლად. აქ უკვე საუბარი აღარ არის იმაზე, მიყიდის თუ არა ეს სახელმწიფო ტერორისტებს იარაღს.

ბუშის აზრით, საფრთხე არსებობს და ის იმიტომაცაა პრეზიდენტი, რომ ქვეყანა ამ საფრთხისაგან დაიცვას.

- მაგრამ, მასობრივი განადგურების იარაღი ბევრ ქვეყანას აქვს...

- საქმე არის არა იმაში, აქვს თუ არა ქვეყანას იარაღი, არამედ იმაში, რამდენად აკონტროლებს იგი მას. ინდოეთის, პაკისტანისა და ისრაელის ხელისუფლებამ ზუსტად იცის, სად რა იარაღი აქვს.

- თუ ტერორისტებს სადამის იარაღის ხელში ჩაგდება სურთ, ომი და მისით გამოწვეული ქაოსი ამისათვის საუკეთესო დროა

- ის არგუმენტები, რომლებსაც აშშ იყენებდა, არ იყო კარგად დასაბუთებული. პაუელმა ვერ აუხსნა უშიშროების საბჭოს, რატომ იწყებდა ამერიკა ომს. ერთი მიზეზი ის იყო, რომ სადამი დიქტატორია, მეორე, ის საშინელებები, რაც მან საკუთარ ხალხს გაუკეთა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი დარწმუნებული იყო - სადამს ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი და შეეძლო ის ამერიკის წინააღმდეგ გამოეყენებინა.

- თქვენი აზრით, ეს მთავარი არგუმენტია?

- ეს იყო ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი, რომელმაც ამერიკელების 70 პროცენტი ომის აუცილებლობაში დაარწმუნა. 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკელი ხალხი ისევ ტრავმირებულია. ტრავმა ნიშნავს იმას, რომ მათ ხელახალი შეტევის ეშინიათ. ჩვენ არა ვართ მიჩვეული ტერორიზმს. ახლა ამერიკელებისათვის თითქოს ცივი ომი მეორდება, როდესაც ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენს განადგურებას აპირებდა. ამიტომ, დღეს ამერიკელების დარწმუნება იმაში, რომ თუ დროზე არ ვიმოქმედებთ, ცივი ომისდროინდელი შიში განმეორდებოდა, არ იყო ძნელი საქმე.

- ომის წინააღმდეგ არ გამოსულა, თითქმის, არც ერთი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი

- დემოკრატიულ პარტიაში კლინტონის შემდეგ სრული ქაოსია. კლინტონი იყო ქარიზმატული ლიდერი, მაგრამ მას პარტიის მშენებლობა არ გამოუვიდა.

მეორე მხრივ, რესპუბლიკურ პარტიას ძალიან მკაფიო პოზიცია ჰქონდა და კარგად იყო მობილიზებული. ისინი ერთხმად ილაშქრებდნენ ომის ყველა მოწინააღმდეგეზე,

რაც შეეხება ხალხს, ისინი ფიქრობდნენ, რომ პროტესტს აზრი არ ჰქონდა, რადგან ომი მაინც გარდაუვალი იყო.

- როგორ შეძლო ბუშმა ხალხის დარწმუნება იმაში, რომ სადამი ასეთ საშინელ საფრთხეს წარმოადგენდა?

- 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკელები ტრავმირებულები არიან. ისინი თავიანთ ოთახებში ისხდნენ და ტელევიზორებში უყურებდნენ, როგორ ინგრეოდა ნიუ-იორკი. ტრავმის დაძლევის ერთ-ერთი გზა კათარზისია. იმის ყურება, როგორ ინგრევა ბაღდადი, მათთვის კათარზისი იქნება.

რაც შეეხება ალ-ქაიდასა და სადამის კავშირს, ეს არ იყო მაინცდამაინც დამაჯერებელი არგუმენტი. თუმცა, სადამის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღი ამერიკელებს ძალიან აშინებდა.

- ახლა ბევრი სვამს კითხვას: რა მორჩება ომი ერაყში, ვინ იქნება შემდეგი?

- აშშ-ს მთავრობა ამტკიცებს, რომ როდესაც ისინი აჩვენებენ მთელ მსოფლიოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან ძალა გამოიყენონ, ეს შეცვლის ბევრი სახელმწიფოს ქცევას. ირანელებს და სხვებს ახლა უკვე ესმით, რომ მათთვის უმჯობესია, ამერიკელებმა რამეში არ გამოიჭირონ. ახლა ყველამ კარგად გაიგო, რომ ამერიკასთან ხუმრობა არ შეიძლება.

- რა შეიძლება მოხდეს ომისშემდგომ ერაყში?

- ამერიკა შეეცდება, ერაყში სამხედრო მმართველობა შემოიღოს, სხვა ქვეყნებს სურთ, რომ ერაყის მმართველობა დროებით გაერო-ს ხელში გადავიდეს. ასევე დიდი დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, ვინ უნდა მოახდინოს ერაყის რეკონსტრუქცია - აშშ-მ თუ გაერო-მ.

გარდა ამისა, ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორ მოიქცევა თავად ერაყელი ხალხი.

- მოკავშირეები აცხადებენ, რომ ისინი მეტ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ვიდრე მოელოდნენ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მათი სტრატეგია არასწორად იყო გათვლილი?

- მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ის, რომ მოლდოვის საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთის ფრონტი არ გაიხსნა. ამან სამხედრო კამპანიას ხელი შეუშალა. მაგრამ მოულოდნელობას ყველა კარგი სამხედრო მეთაური უნდა ელოდეს.

მეორე მხრივ, არის კარგი ამბებიც, ერაყელებს არ აუფეთქებიათ საბადოები, არ გამოუყენებიათ მასობრივი განადგურების იარაღი.

არა მგონია, ვინმეს იმედი ჰქონოდა, რომ მოკავშირეებისათვის ეს ომი იოლი გასეირნება იქნებოდა.

ახლა ერაყელებს გაცილებით მეტი მოტივაცია აქვთ იბრძოლონ, ვიდრე პირველი ომის დროს. რაც უფრო ახლოს მივალთ ბაღდადთან, მით უფრო მძიმე იქნება ბრძოლები.

ომი ერაყში - კიდევ ერთი შანსი ქურთებისთვის

ერაყში ომის დაწყების შემდეგ, ქურთები საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. საუკუნეების განმავლობაში იმპერიების გზაგასაყარზე მცხოვრებ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საშუალებას, ალბათ, არც ახლა მისცემენ.

ქურთებს, რომელთა რაოდენობა მსოფლიოში 25 მილიონს აღწევს, ხშირად სახელმწიფოს გარეშე დარჩენილ ყველაზე მრავალრიცხოვან ერს უწოდებენ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შედეგად, კომპაქტურად დასახლებული ქურთები ოთხი სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ: ერაყი, თურქეთი, სირია და ირანი. მათ ათწლეულების განმავლობაში რეპრესიების გადატანა მოუხდათ. გავლენისათვის წარმოებულ ბრძოლაში რეგიონის სახელმწიფოები ქურთებს ხშირად გასაცვლელ პაიკებადაც იყენებდნენ.

1991 წელს სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ, ჩრდილოეთ ერაყის ქურთებით დასახლებული ნაწილი სადამ ჰუსეინის რეჟიმისაგან ფართო ავტონომიით სარგებლობს, რომლის უსაფრთხოებას ამერიკელებისა და ბრიტანელების საჰაერო პატრული იცავდა. ახლა, სადამის წინააღმდეგ ამერიკელთა ხელმძღვანელობით დაწყებული ომი ქურთისტანის შექმნის კიდევ ერთ შანსს იძლევა. ქურთები იმედოვნებენ, რომ სადამისშემდგომი ფედერალური ერაყის კონსტიტუციით, გარანტირებულ ავტონომიას მიიღებენ. ეს დიდი ქურთული მოსახლეობის მქონე სახელმწიფოებს აღელვებს, რომელთაც ეშინიათ, რომ ჩრდილოეთ ერაყში ქურთისტანის ფართო ავტონომია მათი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტულ განწყობას გააღვივებს. თურქეთის პარლამენტმა უფლება მისცა საკუთარ არმიას, საჭიროების შემთხვევაში, ჩრდილოეთ ერაყში შევიდეს, რათა ქურთი ლტოლვილების ტალღა და, რაც ყველაზე მთავარია, ქურთული სახელმწიფოს წარმოქმნა არ დაუშვას.

თურქეთი ჩრდილოეთ ერაყში 1990-იანი წლების დასაწყისიდან რეგულარულად ახდენდა ინტერვენციას, ძირითადად, ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ სპეცოპერაციების განსახორციელებლად, რომელიც ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიას თურქეთზე იერიშის მისატანად იყენებდა. ახლა, თურქული ჯარის რეგიონში შესვლის ერთ-ერთი მიზეზი მოსულის და კირკუკის დაკავებაცაა, რათა ქურთებმა ნავთობით მდიდარი საბადოები არ ჩაიგდონ ხელში. ექსპერტების აზრით, თურქეთს შესაძლოა, ირანიც შეუერთდეს. რეგიონის ლიდერების აზრით, ნავთობით გამდიდრებული ქურთისტანი მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებისათვის ძალიან მიმზიდველი იქნება.

ამერიკა ყველანაირად ცდილობს, თავიდან აირიდოს "ომი ომის შიგნით" – ერაყელი ქურთებისა და თურქების სამხედრო დაპირისპირება. ბუშის ადმინისტრაციამ შეძლო ქურთების დათანხმება და მათ თავიანთი შეიარაღებული ძალები ამერიკის სარდლობის დაქვემდებარებაში გადაიყვანეს, ხოლო კირკუკის დაკავებაზე უარი განაცხადეს. სანაცვლოდ, თურქული ჯარების ქურთისტანში შეშვების აღკვეთა მოითხოვეს. 26 მარტს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა ვაშინგტონს მიანიშნა, რომ, შესაძლოა, თურქებმა დამატებითი დანაყოფები არც შეიყვანონ რეგიონში. აღნიშნული განცხადება თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა მას შემდეგ გააკეთა, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 25 მარტს თურქეთის ეკონომიკის აღსადგენად 8.5 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფა გადაწყვიტა.

თურქების გასაკვირად, ერთ დროს ერთმანეთთან დაპირისპირებულმა ერაყელმა ქურთებმა გაერთიანება დაიწყეს. 1991 წელს ავტონომიის მოპოვების შემდეგ, ორმა დაჯგუფებამ - ქურთისტანის პატრიოტულმა კავშირმა და ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ - ერთმანეთთან ბრძოლა დაიწყეს, დემოკრატიულ კავშირს სადამ ჰუსეინი უჭერდა მხარს, ხოლო პატრიოტულ კავშირს - ირანი. თუმცა, უკანასკნელი თვეების განმავლობაში ორივე პარტიამ ადმინისტრაციების გაერთიანების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია და მას შემდეგ ჩრდილოეთ ერაყს ერთობლივად მართავენ.

ექსპერტების აზრით, გაერთიანება ქურთებისათვის ძალიან დიდი მიღწევაა, რადგან სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ტომობრივ გაერთიანებებს ერთიანობის შეგრძნება ყოველთვის აკლდათ. რვა საუკუნის განმავლობაში სწორედ ამ ფაქტორმა მისცა ქურთების მეზობლებს მათი დაყოფისა და მართვის საშუალება. მეთორმეტე საუკუნეში ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმულმა ქურთმა სალადინმა იერუსალიმი დაიკავა და სირიიდან ეგვიპტემდე გადაჭიმულ იმპერიას მართავდა. იმპერიამ ნგრევა, ფაქტობრივად, სალადინის სიკვდილისთანავე დაიწყო. მე-16 საუკუნეში კი ქურთებით დასახლებული რეგიონები ერთმანეთთან მოქიშპე სპარსეთისა და ოსმალთა იმპერიის დაპირისპირების არენად გადაიქცა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ოსმალთა იმპერია დანაწევრდა, საფრანგეთმა, ბრიტანეთმა და იტალიამ ქურთებისათვის ავტონომიის მინიჭების პირობა დადეს, რაც 1920 წლის სევრის ხელშეკრულებაში იქნა აღნიშნული. ქურთების შესახებ არსებული მუხლი დაირღვა სამი წლის დაგვიანებით დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა და თურქეთმა ახალ შეთანხმებას მიაღწიეს და ქურთებიც დაივიწყეს.

1984 წელს ქურთების მუშათა პარტიის მიერ დაწყებული ამბოხების ჩახშობას თურქეთი 15 წელიწადს მოუნდა და ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი დოლარის დახარჯვა მოუწია. თურქეთში ქურთების სეპარატისტული მოძრაობა 1999 წელს დასრულდა, როდესაც ქურთების მუშათა პარტიის ლიდერი აბდულა ოჯალანი კენიაში დაიჭირეს. გასულ წელს თურქეთმა ლიბერალური კანონები მიიღო და ქურთებს საკუთარ ენაზე სწავლების უფლება მისცა, რაც ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენდა. არადა, მანამდე არამარტო ქურთული ენა, არამედ სიტყვა "ქურთულის" წარმოთქმაც კი აკრძალული იყო. გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, ქურთულად განათლების მიღება მაინც ჭირს, ხოლო ამ თვის დასაწყისში თურქეთის ხელისუფლებამ პრო-ქურთული სახალხო დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა აკრძალა.

ირანში მცხოვრები 6 მილიონი ქურთიც არანაკლები ზეწოლის ქვეშ არის მოქცეული. სუნიტ ქურთებს ირანის შიიტი მმართველები არ ენდობიან. იგივე ითქმის სირიაში მცხოვრებ ქურთებზეც, სადაც ქურთულად სწავლება და ქურთულად წიგნების დაბეჭდვა კანონით ისჯება. თუმცა, თურქების, სირიისა და ირანის ქურთული პოლიტიკა სადამ ჰუსეინისას ვერ შეედრება. ირან-ერაყის ომის მიწურულს 1980-იან წლებში, ჰუსეინმა 180 000 ქურთი მოკლა, მათ შორის, მომწამვლელი გაზის გამოყენებით.

თუმცა, 1991 წლის შემდეგ ერაყში მცხოვრებმა ქურთებმა, ფაქტობრივად, ავტონომია მოიპოვეს. ქურთებს, "ნავთობი საკვების სანაცვლოდ" პროგრამისა და ნავთობის არალეგალური მოპოვებისა და გაყიდვის მეშვეობით, მნიშვნელოვანი შემოსავლები გაუჩნდათ. ორმა ქურთულმა ფრაქციამ შემოსავლების დიდი ნაწილი გზების კეთილმოწყობასა და სკოლების აშენებას მოახმარა.

ამ პერიოდში ბევრმა ქურთმა დამოუკიდებლობას გემო გაუგო და მომავალი ქურთისტანის კონტურებიც უფრო რეალურად გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ იგივე პროცესები განვითარდა ერაყის თურქმენებით დასახლებულ რეგიონში, რომლებიც თურქებს ენათესავებიან. თურქმენები ხშირად ჩივიან, რომ მათ ქურთები ავიწროებენ, რაც თურქეთს ინტერვენციის დამატებით საბაბს აძლევს.

თურქების, ირანელების, სირიელებისა და, ფაქტობრივად, მთელი გარესამყაროს წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ახლა ერაყელი ქურთები ამტკიცებენ, რომ ომისშემდგომ დემოკრატიულ ერაყში მათ მხოლოდ თავიანთი ავტონომიის შენარჩუნება სურთ.

ერაყში ვითარების გართულებამ ბირჟებზე პანიკა გამოიწვია

თორნიკე შარაშენიძე

პირველადი ეიფორიის შემდეგ, რომელიც საომარი კამპანიის წარმატებულმა სტარტმა განაპირობა, მსოფლიოს ბირჟები მცირე პანიკამ მოიცვა. ბრძოლების გამძაფრებამ და მოკავშირეთა დანაკარგებმა თავისი კვალი დაატყო როგორც ნავთობის ფასებს, ასევე საფონდო ბირჟებსაც. 48 ცენტით აიწია და 24,83 დოლარი შეადგინა ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობის ფასმა. შეიძლება, ეს საგანგაშო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პირველი გაძვირებაა სამხედრო კამპანიის დაწყების შემდეგ.

ბაზრები განსაკუთრებით პანიკაში ჩააგდო ამერიკელი ტყვეების ხილვამ. გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო მეტი ცნობები მოდის აფეთქებული ჭაბურღილების შესახებ და საერთოდ, ყველასათვის ცხადზე ცხადი ხდება, რომ ომი არც ისე მალე დასრულდება. ნავთობისა და საფონდო ბირჟების ინდექსების გარდა, მღელვარებამ დოლარსაც დაატყო ხელი, რომლის კურსი ისევ დაეცა.

■ ■ ■

მსოფლიო ბაზარზე შექმნილი ვითარება სწორედ რომ ერაყში მიმდინარე საომარ მოქმედებებს ასახავს. ბირჟები, ძირითადად, ბასრასა და ბაღდადის მოვლენებზე არიან გადართულნი და ინდექსებიც იქიდან მოსული ინფორმაციის მიხედვით იცვლება. თუმცა, ბოლო დროს მსოფლიო ბაზარს კიდევ ერთი წარმართველი ძალა გამოუჩნდა აშშ-ს მთავრობის სახით, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

დავიწყოთ იმით, რომ კონგრესის ორივე პალატამ განიხილა ბუშის ეკონომიკური გუნდის მიერ წარდგენილი გეგმა გადასახადების შემცირების თაობაზე. ჯერ იყო და, წარმომადგენელთა პალატამ კანონპროექტი ხელუხლებლად დაამტკიცა, რის შემდეგაც იგი სენატში გადაიგზავნა. ამ უკანასკნელმა თავიდან უკუაგდო კანონპროექტი, რომელიც მომავალი 10 წლის განმავლობაში გადასახადების 726 მილიარდით შემცირებას ითვალისწინებს, მაგრამ მოგვიანებით, იგი შესწორებებით მაინც გავიდა. შესწორებები კი შემცირების 50 პროცენტით შემცირებას გულისხმობდა. ანუ, მომავალი 10 წლის განმავლობაში შემცირება 360 მილიარდიანი იქნება. მართალია, ეს ის არ არის, რაც ბუშს ჩაფიქრებული ჰქონდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ომი ხარჯებს არნახულად ზრდის (ახლახან პრეზიდენტმა საამისოდ კონგრესს დამატებით 75 მილიარდი გამოსთხოვა) და ასეთ ვითარებაში გადასახადების გაზრდაზე უფრო უნდა მიდიოდეს საუბარი, თეთრი სახლი კმაყოფილი უნდა იყოს.

კონგრესმა ომით ერთობ დაზარალებული ავიაკომპანიებისთვისაც მოიცალა. მოგეხსენებათ, 11 სექტემბერმა ეს დარგი ერთობ მძიმე დღეში ჩააგდო, რის შემდეგაც კომპანიებმა მთავრობისაგან 5 მილიარდი მიიღეს. მაგრამ სექტორი ტერაქტების შოკიდან წესიერად გამოსული არ იყო, რომ ერაყში საომარი მოქმედებები დაიწყო, რამაც ახალი პრობლემები შექმნა. ავიაკომპანიები აშშ-ს ხელისუფლებისაგან ახლა 9 მილიარდს ითხოვენ. სწორედ ამ საკითხს განიხილავს ამჟამად კონგრესი და არის შანსი, რომ ავიასექტორი ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილდება.

თურქეთმა პოზიცია შეარბილა

თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ჰილმი ოზკოკმა განაცხადა, რომ ანკარამ, შეიძლება, ჩრდილოეთ ერაყში შესვლისაგან თავი შეიკავოს (რაც ვაშინგტონს ძლიერ აშინებს) თუმცა, იქვე დასძინა, რომ მისი ქვეყანა საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცების უფლებას დაიტოვებს.

"ოკეანის გაღმა ამბობენ, რომ მათ საფრთხე ემუქრებათ, მაგრამ არ სჯერათ, როდესაც თურქეთი ამტკიცებს, რომ საზღვრის მეორე მხრიდან მას საფრთხე ემუქრება", - აღნიშნა ოზკოკმა.

გენერალური შტაბის უფროსის თქმით, თუ ჯარების შეყვანა მაინც აუცილებელი გახდა, მაშინ ანკარა ამას მხოლოდ შეერთებულ შტატებთან ერთად, კოორდინირებულად გააკეთებს. ოზკოკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკა თურქეთის "სტრატეგიული პარტნიორია".

მოკავშირეებს შორის ურთიერთობების დაძაბვა თურქული პარლამენტის მიერ ამერიკული ჯარების შეშვებაზე უარის თქმამ გამოიწვია.

გენერალური შტაბის უფროსის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე, ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ თურქეთს დახმარების სახით 8.5 მილიარდ ამერიკულ დოლარს გამოუყოფს. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ამერიკული დახმარების გარეშე, თურქეთი ეკონომიკურ კრიზისს თავს ვერ დააღწევს.

„რაც ენერგოსექტორში ხდება, ჩვეულებრივი ბანდიტიზმია"

"საქმის გარჩევა" სემეკ-ში: ელიზბარ ერისთავი, პაატა ცინცაძე და დავით მირცხულავა.

იგნასიო ირიბარენი

ფრიდრონ იბჭია



ალბერტო სოლისი

ლევან ხორგუაშვილის ფოტოები

ნინო ნარჩემაშვილი

გუშინ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის რიგგარეშე სხდომაზე, ენერგოსექტორის სტრუქტურების უკლებლივ ყველა პირველი პირი მოლაპარაკების მაგიდასთან ერთად აღმოჩნდა. სხდომას საკრებულოს ენერგეტიკის კომისიის წარმომადგენლები და ლეიბორისტული პარტიის აქტივისტებიც ესწრებოდნენ. ლეიბორისტების განცხადებით, "ეი-ი-ეს თელასი" არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ფიქსირებული გადასახადების შესახებ, ხოლო **"რაც ენერგოსექტორში ხდება, ჩვეულებრივი ბანდიტიზმია."** სემეკის თავმჯდომარემ, ელიზბარ ერისთავმა მათ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისა და სხდომის ჩაშლის მცდელობისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდა. ლეიბორისტებმა ეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად შერაცხეს და სხდომა დემონსტრაციულად დატოვეს.

ლეიბორისტების წასვლის შემდეგ, სხდომა დაგეგმილ საკითხებს მიუბრუნდა. კერძოდ, სემეკის თავმჯდომარე შეეცადა გაერკვია, რატომ არ მიეწოდება "ეი-ი-ესს" მის მიერვე შესყიდული ელექტროენერგია და რატომ ჭიანურდება მოსახლეობასა და კომპანიას შორის ხელშეკრულებების გაფორმება. "ეი-ი-ესის" გენერალური მენეჯერის, იგნასიო ირიბარენის განცხადებით, კომპანია კონკრეტულ სტრუქტურებს არ ადანაშაულებს, უბრალოდ მოითხოვს პასუხს, სად მიდის თბილისის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო, მათ მიერ მოთხოვნილი და შესყიდული ელექტროენერგია? ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის დირექტორმა ალბერტო სოლისმა, რომელიც აღნიშნულ საკითხზეა პასუხისმგებელი განაცხადა, რომ **"ელექტროენერგია, რომელიც "ეი-ი-ეს თელასს" უნდა მიეწოდებოდეს, სადღაც იკარგება."** "სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალურმა დირექტორმა ბრაიან ქრონმა კი განაცხადა, რომ იგი ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნულია და ამიტომ, ჯერჯერობით, ვერაფერს იტყვის.

ამ აბსურდული განცხადებების შემდეგ, სხდომაზე სიტუაცია იმ გარემოებამაც გაამძაფრა, რომ გუშინ, დილის ექვს საათზე გაითიშა მეცხრე ენერგობლოკი და ისედაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ დედაქალაქის ენერგომომარაგებას 180 მეგავატი ელექტროენერგია მოაკლდა. იგნასიო ირიბარენმა სხდომას სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის მიერ ხელმოწერილი წერილი წარუდგინა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 25 მარტს "ეი-ი-ეს თელასისათვის" ბიუჯეტიდან 900 ათასი ლარი უნდა გადარიცხულიყო. თანხა არ გადაირიცხა, კომპანიამ გაზი ვერ შეიძინა და ამან მეცხრე ენერგობლოკის გათიშვა გამოიწვია. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას განცხადებით, კომპანიას ენერგობლოკის გათიშვის არანაირი უფლება არ ჰქონდა, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, მსგავსი ღონისძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუკი საბითუმო ბაზრის ვალი "ეი-ი-ეს მტკვრის" მიმართ 80 მილიონ ლარს მიაღწევს. დღეისათვის კი საბითუმო ბაზრის დავალიანება 20 მილიონი ლარია.

დავით მირცხულავა ენერგოსექტორში არსებულ სხვა შიდა ვალებსაც შეეხო, რაც უშუქოდ დარჩენილი მოქალაქისათვის ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ სხდომათა დარბაზში ერთმანეთის "ფულების დათვლამ" დიდი აურზაური გამოიწვია. საბოლოოდ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა აღელვებულმა დატოვა დარბაზი. ცოტა ხნის შემდეგ მას "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლებიც მიჰყვნენ, რადგან იგნასიო ირიბარენის თქმით, **"რაც სხდომაზე ხდება, ეს არის ცირკი და სხდომა ასეთ პირობებში ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს."** ელიზბარ ერისთავმა კი განაცხადა, რომ სემეკის სხდომა რაიმე გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებს.

სხდომა, ფაქტობრივად, ჩაიშალა. ისევ გაუცემელი დარჩა პასუხი შეკითხვაზე – რატომ არ არის დენი და ვინ არის დამნაშავე?

საბოლოოდ, სემეკმა ყველა ენერგორგოლის მიმართ სანქციების გატარება გადაწყვიტა. თუ რა სახის იქნება ეს სანქციები, ამას ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ორ-სამ დღეში დააზუსტებს.

ედუარდ შევარდნაძე: ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ ერთმანეთს დავჭამთ

2003 წლის პირველი კვარტლის ბოლომდე ხუთი დღე დარჩა. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, მთავრობა 24-საათიან სამუშაო რეჟიმზეა გადასული, რათა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შეძლოს. კვარტლის გეგმის შესრულებას სავალუტო ფონდიც ელოდება. ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი აცხადებს, რომ პასუხისმგებლობას თავის თავზე სიამოვნებით აიღებს, თუ მარტის ბოლოს ბიუჯეტის გეგმა ვერ შესრულდა. პრეზიდენტი კი აღშფოთებას ვერ მალავს: "ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ ერთმანეთს დავჭამთ!"

სოფო კვინტრაძე

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა პირველი კვარტლის გეგმასთან დაკავშირებით საკმაოდ ოპტიმისტური პროგნოზი გამოთქვა. მისი თქმით, საგადასახადო შემოსავლების შესრულების მხრივ პრობლემა არ შეიქმნება. გარკვეული ჩამორჩენები, შესაძლოა, იყოს არასაგადასახადო შემოსავლებში, თუმცა, გოგიაშვილის თქმით, ეს ხარჯებზე არ აისახება. მინისტრის ამგვარი განცხადებები კიდევ უფრო უსაფუძვლოდ გამოიყურება, თუ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებს გადავხედავთ. 26 მარტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, გეგმით გათვალისწინებული 252 მილიონი ლარის ნაცვლად, 152 მილიონ ლარს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის პროგნოზი 60 პროცენტითაა შესრულებული და გარღვევა, თითქმის, ას მილიონ ლარს შეადგენს. ძნელი წარმოსადგენია, რამდენად შეძლებს ფინანსთა სამინისტრო კანონიერი მექანიზმებით დარჩენილ ხუთ დღეში ასი მილიონი ლარის მობილიზებას. პრეზიდენტმა ნახევრად ხუმრობით შეახსენა ფინანსთა მინისტრს, რომ ბიუჯეტის გეგმა წინასწარ ამოღებული გადასახადებითა და ბანკებიდან კრედიტების აღებით არ უნდა შეასრულოს. მირიან გოგიაშვილი კი უკვე მზადაა, გეგმის ჩავარდნის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს. მანამდე კი, სანამ გოგიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდეს, ფინანსთა მინისტრისგან იმ ხალხის დასახელებას მოითხოვენ, ვინც საბაჟო დეპარტამენტში კონტრაბანდულ საქმიანობაშია შემჩნეული. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის კრიტიკა პარლამენტარმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ნამოიწყო და, რა თქმა უნდა, არავის გაკვირვებია, რომ ამ ბოლო დროს სოციალისტთა ლიდერს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით უჩნდება აზრის გამოთქმის სურვილი. რჩეულიშვილმა პრეზიდენტს ორი გამოსავალი შესთავაზა, ან მირიან გოგიაშვილი მოვხსნათ ან საბაჟო და საგადასახადო სისტემაში მომუშავე კონკრეტული შემსრულებლები, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ და კორუფციულ გარიგებებში არიან გახვეულიო. რჩეულიშვილმა განსაკუთრებული აღშფოთება საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობის მიმართ გამოხატა. **"საბაჟოზე ქურდული სამყაროს წესებია გამეფებული, ცალკეული პირები იქ "პალაუენიას" აკონტროლებენ და წილების გაყოფით არიან დაკავებულნი,"** – განაცხადა მან. წილების ხსენებამ მირიან გოგიაშვილის გაცხარება გამოიწვია, ფინანსთა მინისტრი პარლამენტარებს დაემუქრა, იმ ხალხის გვარებს დავასახელებ, ვისაც საბაჟო დეპარტამენტის კონტრაბანდულ საქმიანობასთან უშუალო კავშირი აქვსო. თუმცა, გვარების დაკონკრეტებისაგან მან ამჯერად თავი შეიკავა.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ მთავრობას საბაჟოზე კონტრაბანდის აღკვეთის და არსებული რეზერვების სრულად ამოღებისათვის ორიგინალური გზა შესთავაზა. **"უნდა დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიები საბაჟოზე, ყველაფერი უნდა გახდეს ავტომატიზირებული, თითოეული მანქანა სად მიდის, რა მიაქვს, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ,"** – აცხადებს პრეზიდენტი. ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, მან წლის პირველ ნახევარში სახელმძღვანელო გეგმის მომზადების განკარგულება გასცა.

ხმაური მთავრობის სხდომაზე საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის, იასე ზაუტაშვილის გამოსვლამ გამოიწვია, რომელმაც ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მექანიზმებსა და გეგმებზე ისაუბრა. ურჩ გადამხდელთა სიაში ორი მსხვილი უცხოური ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზი" და "თურქიშ ეარვეიზიც" არიან შეყვანილი. პირველ მათგანს ბიუჯეტისადმი 13 მილიონი ლარი მართებს, მეორეს კი - 17 მილიონი. ამასთან დაკავშირებით, არსებობს პარლამენტის 27 თებერვლის დადგენილება, რომლის თანახმად, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას დაევალა, აღნიშნულ ავიაკომპანიებს ფრენების განხორციელებაზე ლიცენზია არ გაუგრძელოს. 29 მარტს მათ სალიცენზიო ვადა ეწურებათ. როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ჭანკოტაძემ "24 საათს" განუცხადა, იგი პარლამენტის დადგენილებას დაემორჩილება და "ბრითიშ ეარვეიზსა" და "თურქიშ ეარვეიზს" ლიცენზიებს არ გაუგრძელებს.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პარლამენტი ზემოაღნიშნულის მსგავს გადაწყვეტილებებს იღებს. **"როდის იყო, პარლამენტი მართავდა ქვეყანას? ორხელისუფლებიანობა უნდა დასრულდეს, თორემ ასე ჩვენ ერთმანეთს დავჭამთ. ჯანდაბას ჩვენი თავი, მაგრამ ამით საქმე გაფუჭდება და ქვეყანა დაზარალდება,"** – აცხადებს ედუარდ შევარდნაძე. ორხელისუფლებიანობის კონტექსტში პრეზიდენტმა საკრებულოებიც მოიხსენია. როგორც გაირკვა, პრეზიდენტი დედაქალაქის საკრებულოს საქმიანობით განსაკუთრებით უკმაყოფილოა. **"ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ხართ ნახევრად საკანონმდებლო ორგანო და სკამზე რომ დაჯდებით, არ უნდა გეგონოთ, რომ ყველაფერს თქვენ წყვეტთ,"** – მიმართა პრეზიდენტმა საკრებულოს წევრებს.

მთავრობის გუშინდელ სხდომას სახელმწიფო მინისტრი არ ესწრებოდა, მიზეზი საპატიო გახლდათ - ენერგეტიკაში შექმნილი პრობლემების სასწრაფოდ მოგვარების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა ავთანდილ ჯორბენაძე არ დაივიწყა და მისი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა. მთავრობის მორიგი სხდომა პირველი კვარტლის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ გაიმართება.

მონიტორინგი

მკვიდრდება სახიფათო ტენდენციები

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 26 მარტისათვის

ათას. ლარებში

დასახელება	წლის გეგმიური	ანგარიშის პერიოდის	შესრულება	% წლის გეგმიურთან	% ანგარიშის პერიოდის გეგმიურთან
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	252.46	152.68	14%	60%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	186.38	105.91	13%	57%
საგადასახადო შემოსავლები	659.9	151.98	95.25	14%	63%
არასაგადასახადო შემოსავლები	78.4	26.7	3.76	5%	14%
გრანტები	95.4	7.7	6.9	7%	90%
სოციალური ფონდი	244.2	53.84	39.79	16%	74%
საგზაო ფონდი	49.5	12.23	6.98	14%	57%
დეფიციტის დაფინანსება	239.8	75.17	50.7	21%	67%
გარდამავალი ნაშთების ხარჯები	8.5	2	1.96	23%	98%
სახაზინო გადმორიცხვები	22	13.5	10.2	46%	76%
ეროვნული ბანკის სესხი	40	27.24	19.51	49%	72%
ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხი		0	10.2		
პრივატიზაციიდან შემოსავალი	41.5	4.43	1.9	5%	43%
საგარეშოდან კრედიტი	127.8	28	6.93	5%	25%

დასახელება	წლის გეგმიური	ანგარიშის პერიოდის	შესრულება	% წლის გეგმიურთან	% ანგარიშის პერიოდის გეგმიურთან
საგადასახადო დეპარტამენტის	511.7	122.95	87.52	17%	71%
საბაჟო დეპარტამენტის	389.1	89.86	50.32	13%	56%

სახაზინო ვალდებულების განთავსება

თარიღი 26.03.03

აუქციონის N	12
ემისიის ვადა	119 დღე
ემისიის ოდენობა	2,000,000
მოთხოვნა	5,012,400
დისკონტის პროცენტი	40.13%
ბიუჯეტის შემოსავალი	1,768,610
დასაფარი თანხა	4,000,000
ბალანსი	-2,231,390

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

2003 წლის 17-21 მარტის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

№	დასახელება	მილიონ ლარებში
	სს „ქართული ნავთი" – თურქმენეთის ეფექტის სანაცვლოდ შეძენილი ნავთობის დოლარებში ანაზღაურება	1 703.0
2	საბიუჯეტო ორგანიზაციების თებერვლის თვის შრომის ანაზღაურება	1 515.5
	უმაღლების სამინისტრო	490.0
	საქართველოს პრეზიდენტი	156.0
	თავდაცვის სამინისტრო	228.8
	დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	133.0
	რეგიონებში განლაგებული თავდაცვის სამინისტროს სახელფასოდ დეპარტამენტი	130.5
	სახელმწიფო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	377.2
	საგანგებო დეპეშათა (ტრანსფერთა) სექციასთან	12.0
3	ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს	300.0
	მიზნობრივი ტრანსფერი (წინა პერიოდის დავალიანება)	300.0
4	სოციალური ფონდის ტრანსფერი	3 025.0
	უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება	1 200.0
	სოციალური ტრანსფერი	1 000.0
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის პროგრამა	340.0
	რეგიონული პენსიები	65.0
	მიზნობრივი სოციალური სამოქალაქო რეაბილიტაციის პროგრამა	60.0
	იძულებით დევნილთა კეთილდღეობის პროგრამა	60.0
	ჯანდაცვის დონისძიებების დაფინანსება	300.0
5	საქართველოს პრეზიდენტის ფონდი	40.4
	არტისტებისა და ბიჭების სემინარი	18.4
	სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი	22.0
6	სახელმწიფო სარეზერვო ფონდი	4.7
	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	4.7
7	დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები	1 400.0
8	სხვა საქონელი და მომსახურება	315.1
	სახელმწიფო უშრომელთაგის სამსახური	70.7
	თავდაცვის სამინისტრო	30.0
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	72.0
	ეროვნული ბიბლიოთეკა	30.0
	საქართველოს პარლამენტი	48.7
	საქართველოს პრეზიდენტი	2.5
	სახელის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	21.3
	დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	29.0
	ტერიტორიის სამინისტრო	25.9
	ტრანსპორტის პროკურატურა	5.4
	საკონსტიტუციო სამართალი	5.0
	სოციალის შეფარდებისა და სუბსიდიის სამინისტრო	3.4
	ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო	0.6
	განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტი	0.5
	საერთო სამართალწარმოება	0.3
	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტრო	9.8
9	კულტურის სამინისტროს პროგრამები	30.0
10	განათლების სამინისტროს პროგრამები	44.0
11	სუბსიდიები	1.7
	სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური	1.7
12	სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ხაზინაში დაგვალებით სამოქალაქო თანხები	9.6
13	ეროვნული ბანკის პროცენტი	275.9
14	სახაზინო ვალდებულებების დისკონტი	174.3

ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და დეფიციტის დაფინანსების შესახებ წარმოდგენილია N1 ცხრილში.

25 მარტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენს 150,06 მილიონ ლარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 252,46 მილიონი ლარისა. **სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის პროგნოზი შესრულებულია 59 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 102,4 მილიონ ლარს.**

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების ჩათვლით) შეადგენს 104,22 მილიონ ლარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 186,38 მილიონი ლარისა. პირველი კვარტლის პროგნოზი შესრულებულია 56 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 82,16 მილიონ ლარს.

სოციალური ფონდის შემოსავლებია 38,96 მილიონი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 53,84 მილიონი ლარისა. პირველი კვარტლის პროგნოზი შესრულებულია 72 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 14,88 მილიონ ლარს.

საგზაო ფონდის შემოსავლებია 6,88 მილიონი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,23 მილიონი ლარისა. პირველი კვარტლის პროგნოზი შესრულებულია 56 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 5,35 მილიონ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად სხვადასხვა წყაროდან მოზიდულია 44,68 მილიონი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75,17 მილიონი ლარისა. პირველი კვარტლის პროგნოზი შესრულებულია 59 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 30,48 მილიონ ლარს. დეფიციტის დაფინანსებაზე დეტალურად ვისაუბრებთ მოგვიანებით, როცა ხელთ გვექნება ინფორმაცია საინვესტიციო პროექტების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის პროგნოზი საგადასახადო დეპარტამენტმა შეასრულა 70 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 36,97 მილიონ ლარს, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა კი 55 პროცენტით და აქ გარღვევა შეადგენს 40,4 მილიონ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმაში გარღვევა შეადგენს 77,37 მილიონ (!) ლარს.

ნაერთი ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე ვისაუბრებთ მოგვიანებით, ყველა სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ.

დარჩენილ დღეებში პირველი კვარტლის პროგნოზის შესრულება წარმოუდგენელია ნორმალური და კანონიერი მექანიზმებით. თუ მთავრობა მართლა აპირებს გეგმის შესრულებას, ეს შესაძლებელია მხოლოდ ე.წ. "პრაკრუტკებისა" და წინასწარი გადახდების ისეთი მასშტაბებით გამოყენებით, რაც საერთოდ დაანგრევს ფინანსურ სისტემას.

ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ მოცემულია N2 ცხრილში.

წინა კვირას გაგრძელდა თებერვლის თვის ხელფასებისა და ე.წ. თურქმენეთის პროგრამის დაფინანსება. დაფინანსდა საარჩევნოების შენახვის თებერვლის ხარჯებიც.

სოციალური ფონდის ტრანსფერი დაფინანსდა საკმაოდ გვიან, შესაბამისად დაგვიანდა სოციალური ვალდებულებების შესრულება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის თებერვლის ვალდებულებები სოციალური ფონდის მიმართ ამით არ დასრულებულა.

სამწუხაროდ, კვლავ გაგრძელდა სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე საინკასო დავალებებით თანხების ჩამოჭრა. თვით თანხა – 9,6 ათასი ლარი არ არის დიდი და თითქოს შეშფოთების საფუძველი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ წლის დასაწყისიდან ეს უკვე 740 ათასი ლარია და მკვიდრდება საკმაოდ სახიფათო ტენდენციები.

კვლავ გაგრძელდა რეგიონების ტრანსფერების არათანაბრად დაფინანსების ტენდენცია, რომელიც წინა კვირას დაიწყო. ამჯერად პრივილეგია ერგო მარნეულის რაიონს. საინტერესოა, რის გამო?!

უნდა ითქვას, რომ სხვა ხარჯების დაფინანსება გასულ კვირას საკმაოდ შეზღუდული და შექმნილი ვითარების ადეკვატური იყო.

ახლა რაც შეეხება სოციალური ფონდის ხარჯებს.

სოციალური დაცვის 2002 წლის დეკემბრის პროგრამები დაფინანსებულია 11,2 მილიონი ლარით და დეკემბრის პენსიების ბოლომდე დასაფინანსებლად კიდევ საჭიროა 6,5 მილიონი ლარი.

დაწყებულია სოციალური დაცვის იანვრის და თებერვლის პროგრამების დაფინანსება შესაბამისად 9,1 მილიონი და 4,3 მილიონი ლარით. იანვრის პენსიების ბოლომდე დასაფინანსებლად კიდევ საჭიროა 8,6 მილიონი ლარი.

2002 წლის დეკემბრისა და 2003 წლის იანვრის პენსიების დასაფინანსებლად დამატებით საჭიროა 15,1 მილიონი ლარი.

ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 9,9 მილიონი ლარით, ნაცვლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული 21,5 მილიონი ლარისა, ანუ 46 პროცენტით. დადებით მოვლენებს შორის უნდა აღინიშნოს, რომ სრულად, 100 პროცენტით დაფინანსდა წინა პერიოდის დავალიანების დაფარვის პროგრამა.

სოციალური ადაპტაციის პროგრამები დაფინანსებულია 196,9 ათასი ლარით, ნაცვლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 50 ათასი ლარისა, ანუ 18,8 პროცენტით.

ხოლო დასაქმების პროგრამები კი დაფინანსებულია 348,2 ათასი ლარით, ნაცვლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 950 ათასი ლარისა, ანუ 17.8 პროცენტით.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

გრიგოლ ხურცილავა ჩვენების მისაცემად ემზადება

ხათუნა ჭანგირაშვილი

გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის - გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე, ბრალდების მხარემ გუშინ მტკიცებულებების გამოქვეყნება დაასრულა. **"ჩვენ ამოვწურეთ ყველა ის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოსთვის უნდა წარგვედგინა. რამე სხვა მტკიცებულება აღარ გაგვაჩნია"**, - განაცხადეს პროკურორებმა. თავად განსასჯელმა კი, რომელსაც მოსამართლემ, ჩვენების მიცემის თხოვნით, უკვე რამდენჯერმე მიმართა, კვლავ დუმილი არჩია. **"მზად არ ვარ, ჩვენებას მომდევნო პროცესზე მოგცემთ"**, - ასეთი იყო განსასჯელის განცხადება, რომელიც მან ადვოკატთან ნახევარსაათიანი კონსულტაციის შემდეგაც არ შეცვალა. სასამართლო სხდომა ხუთი დღით გადაიდო.

მანამდე კი, პროკურორებმა კვლავ უშიშროების სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს, დაქტილოსკოპიური ლაბორატორიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ის სპეციალისტები დაკითხეს, რომელთა დაკითხვაც წინა პროცესზე ვერ მოხერხდა. გუშინ დაკითხულმა ექსპერტებმა, კოლეგების მსგავსად, გიორგი სანაიას მეუღლის მიერ წარდგენილ გასაღებსა და გამოძიების მიერ ამოღებულ გასაღებზე ისაუბრეს, მათი იდენტურობა დაასაბუთეს და განმარტეს, რომ გამოკვლევისას, ამოღებულ გასაღებზე გარემო პირობების ზემოქმედების კვალი - ფოთლოვანი საფარისა და ტემპერატურის შედეგად გაჩენილი კოროზიისა და ჟანგის ლაქები აღმოაჩინეს. კომისიურ-კომპლექსურ ექსპერტიზებში მონაწილე ქართველი სპეციალისტების დაკითხვის შემდეგ, პროკურორებმა ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუროს გამოკვლევების ლაბორატორიიდან გამოგზავნილ დასკვნებზე გადაინაცვლეს და მათ გამოქვეყნებას შეუდგნენ. ფედერალური ბიუროს გამოკვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული სამი სახის ექსპერტიზის შედეგებს პროკურორი კახა მაჭავარიანი საათნახევრის განმავლობაში კითხულობდა და ამერიკული კვლევის მეთოდებს თან კომენტარებს და ახსნა-განმარტებებს ურთავდა.

გრიგოლ ხურცილავა

აშშ-დან ჩამოსული ექსპერტიზის პასუხებიდან გამომდინარე, ყოფილი ეჭვმიტანილის დავით გელაშვილის რაიმე კავშირი სანაიას მკვლელობასთან გამოირიცხა. რაც შეეხება დნმ-ს, აშშ-ს ფედერალურ ბიუროში ჩატარებული მიკრონაწილაკების ბიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ხურცილავას დნმ არ ემთხვევა მკვლელობის ადგილიდან ამოღებულ ნივთებზე და ნიმუშებზე აღმოჩენილ დნმ-ს. ფედერალური ბიუროს ექსპერტიზის ლაბორატორიის მონაცემების მიხედვითვე, გრიგოლ ხურცილავას თმის ნიმუშები არ იდენტიფიცირდება შემთხვევის ადგილზე, ზეწრიდან და ბალიშის პირიდან აღებულ თმის ნიმუშებთან. ფედერალური ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა სანაიას ბინაში ხურცილავას ყოფნას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. თუმცა პროკურორი მაჭავარიანი გუშინ ირწმუნებოდა: "ყაზბეგის" ცარიელ ბოთლზე აღმოჩნდა გამოსაკვლევად ვარგისი, თითის ანაბეჭდები, რომლებიც ხურცილავას თითის ანაბეჭდებთან არის იდენტიფიცირებული". მაგრამ იმავე ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ამერიკაში გაგზავნილი ანაბეჭდები სრულყოფილი ექსპერტიზის ჩასატარებლად საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებითი მასალები, ანუ არა მარტო თითის, არამედ მთელი ხელის გულის ანაბეჭდი. როგორც ჩანს, პროკურატურამ სრულყოფილი ექსპერტიზის ჩატარება აუცილებლად არ მიიჩნია, ყოველ შემთხვევაში დამატებით ანაბეჭდები აღარ გაგზავნა, ფედერალური ბიუროს დასკვნას კი სასურველი ინტერპრეტაცია მისცა – ანაბეჭდები იდენტიფიცირებულიაო.

პროკურორებმა ბრალდების მხარის მოწმეების სასამართლოზე წარმოდგენა, გარდაცვლილი მოწმის, მამული წერეთლის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების გამოქვეყნებით დაასრულეს. მამული წერეთელი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა, იმ ავტოსადგომის დარაჯი იყო, სადაც გიორგი სანაია ავტომანქანას აჩერებდა. როგორც ჩვენებიდან ირკვევა, სანაია დარაჯს არასოდეს უნახავს ვინმესთან ერთად მისული, გარდა იმ ღამისა, როცა მკვლელობა მოხდა. **„26 ივლისს, სანაიას ახლდა ჩემთვის უცნობი ადამიანი, რომელიც ავტომანქანიდან მაშინ გადმოვიდა, როდესაც მე გიორგის ვესაუბრებოდი. სანაიას თანმხლები მე მხოლოდ ზურგიდან დავინახე. იგი ჩაფსკვნილი, სპორტული აღნაგობის, 1 მ. 70 სმ-ზე დაბალი იქნებოდა, შავი თმა ჰქონდა, მუქი ფერის მაისური ეცვა. ტანსაცმლის სხვა დეტალები არ მახსოვს. ავტომანქანიდან გადმოსვლის შემდეგ, უცნობი გასასვლელისკენ წავიდა. მას გიორგიმ დაუძახა: იქით ნუ მიდიხარ, გასასვლელი აქეთ არისო. მათი წასვლიდან ცოტა ხანში მე შემოვლა დავიწყე. იქვე, მაღაზიაში საათს შევხედე, რომელიც 04.45 სთ-ს უჩვენებდა. მომესმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა, რომელიც დახშული სივრციდან მოდიოდა. როდესაც მეორე დღეს შევიტყვე, რომ გიორგი მოკლეს, აღვიდგინე - ხმა იმ კორპუსიდან შემომესმა, რომელშიც სანაია ცხოვრობდა"**, – ასეთია ავტოსადგომის დარაჯის ჩვენება.

წერეთელი და ხურცილავა გამოძიების პროცესშიც დააპირისპირეს. "კატეგორიული მტკიცება, რომ ნამდვილად ეს პიროვნება ახლდა მაშინ სანაიას, არ შემიძლია, ასევე არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ეს არ იყო", - ასეთია დარაჯისა და ხურცილავას დაპირისპირების შემდეგ შედგენილი ოქმის შინაარსი, სადაც ხურცილავა ირწმუნება, რომ დარაჯი, რომელიც მას გამოძიებამ უჩვენა, მკვლელობის ღამეს პირველად ნახა.

გუშინდელ პროცესზე, განსასჯელის ადვოკატმა პროკურორებს კიდევ ერთხელ მოსთხოვა საქმის მასალებისთვის იმ საიდუმლო, ფარული სატელეფონო ჩანაწერების დართვა, რომელიც ადვოკატისვე მტკიცებით, სანაიას მკვლელობას უკავშირდება. მოსამართლე გუგუნაშვილმა, მართალია, განაცხადა, რომ ეს სატელეფონო მოსმენები კანონიერად არის მოპოვებული, მაგრამ ადვოკატის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებებად დაშვებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენება. ასევე, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულებები. მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა გუშინ განსასჯელის ადვოკატს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე სწორედ ამ კანონის გამოყენებით უთხრა უარი.

14 წლის ყმაწვილი ტაქსის მძღოლის მკვლელობისთვის დააპატიმრეს

თამარ კაკიტაძე

ორი დღის წინ სამართალდამცველებმა ფანასკერტელის ქუჩაზე კერძო ტაქსის მძღოლის ბადრი პეტრიაშვილის გვამი იპოვეს. ღამითვე დადგინდა დამნაშავეთა სავარაუდო ვინაობაც, რომლებსაც პოლიციელებმა ერთ-ერთი ეჭვმიტანილის, ირაკლი მუჯირიშვილის სახლში მიაგნეს და დააპატიმრეს კიდეც.

დაპატიმრებულთა ჩვენებების მიხედვით, ნასვამი ირაკლი მუჯირიშვილი, მეტსახელად "ფინსკი", დავით რამაზაშვილი, ჯაბა ამაშუკელი, ადრე ქურდობისთვის ნასამართლევები - ირაკლი ბალიაური და იაგო გერგაია ორ გოგონასთან ერთად გამსახურდიას გამზირზე, ვინმე კოკა ახვლედიანის ტაქსში ისხდნენ. მოულოდნელად, მუჯირიშვილს ნაცნობი გოგონა დაუნახავს, მასთან დალაპარაკება უცდია, მაგრამ შეშინებული გოგონა გაქცეულა, იქვე მდგომ ტაქსში ჩამჯდარა და მძღოლისთვის უთხოვია, დამმალეო. მძღოლს, ბადრი პეტრიაშვილს მგზავრი ფანასკერტელის ქუჩაზე გაუყვანია. იქ გოგონა ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში დამალულა. ამასობაში პეტრიაშვილის მანქანას ახვლედიანისვე ტაქსით ადევნებული მუჯირიშვილი და მისი მეგობრებიც მიუახლოვდნენ და დამალული გოგონას ადგილსამყოფელის გამხელა მოსთხოვეს. მძღოლმა მგზავრი არ გასცა. რის გამოც ჩხუბი დაიწყო. ერთ-ერთი დარტყმის შემდეგ პეტრიაშვილი მინაზე დაეცა, თავდამსხმელებს მისი აყენება არ უცდიათ, ისევ ახვლედიანის ტაქსში ჩასხდნენ და გაიქცნენ.

ვაკე-საბურთალოს რაიონის მე-5 განყოფილების პოლიციის უფროსის მოადგილის დემურ ცომაიას თქმით, პეტრიაშვილის გარდაცვალების შესახებ მეგობრებს დაპატიმრების შემდეგ გაუგიათ.

ტაქსის მძღოლის მკვლელობის ფაქტზე საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში გაუფრთხილებლობით მკვლელობის, ხულიგნობის და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით აღიძრა. თუმცა, კონკრეტულად, რომელ დამნაშავეს რომელ დანაშაულში ედება ბრალი და უშუალოდ ჯგუფის რომელი წევრი მონაწილეობდა ჩხუბში, გამოძიებას ჯერაც არ დაუდგენია. ფაქტია ის, რომ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წინასწარი მონაცემებით, პეტრიაშვილი დაცემის შედეგად მიღებული ტრავმით გარდაიცვალა, რაზეც ჯგუფის ერთ-ერთ წევრს პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს.

სამართალდამცველებმა მუჯირიშვილის ბინის ჩხრეკისას "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი იპოვეს. ცომაიას მტკიცებით, ირაკლი მუჯირიშვილს დაკითხვისას უთქვამს, იარაღი ჩემმა ძმამ, ალექსანდრე მუჯირიშვილმა სიკვდილამდე ათი დღით ადრე მაჩუქაო. ალექსანდრე მუჯირიშვილი, დაახლოებით, ერთი თვის წინ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე პოლიციელმა ნოდარ არდიშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, "მაკაროვი", რომელიც მუჯირიშვილების ოჯახში აღმოაჩინეს კახეთის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომელს უტიაშვილს ეკუთვნოდა და იგი აწ გარდაცვლილმა ალექსანდრე მუჯირიშვილმა და მისმა მეგობრებმა პოლიციელს თამარ მეფის გამზირზე დაყაჩაღების დროს წაართვეს. მუჯირიშვილის ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს დაცვის პოლიციელის იოსებ ალიმბარაშვილის პირადობის დამადასტურებელი მოწმობაც. როგორ მოხვდა სამართალდამცველის საბუთი მუჯირიშვილების სახლში ან რაში სჭირდებოდათ იგი, გამოძიებისთვის ჯერჯერობით უცნობია.

სხვათა შორის, უმცროსი მუჯირიშვილის წინააღმდეგ განზრახ მკვლელობის მცდელობის ორ ფაქტზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურაში საქმეები აქამდეც იყო აღძრული. გამოძიების მასალების თანახმად, ირაკლი მუჯირიშვილმა 2002 წლის ნოემბერში სასტუმრო "კოლხეთთან" სიგარეტის გამო, შელაპარაკების ნიადაგზე დანით დაჭრა ვინმე კოლდოინზი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარში სასტუმრო "თამართან" ასევე დანით მხარში და ბარძაყში დაჭრა ვინმე ბებიაშვილი. მიუხედავად საკმაოდ მძიმე ბრალდებებისა, სასამართლომ მუჯირიშვილი წინასწარი პატიმრობიდან ასაკის სიმცირის გამო გაათავისუფლა.გავრცელდება თუ არა ამჯერად ეჭვმიტანილზე შეღავათები ამას ისევ სასამართლო გადაწყვეტს.

გამქრალ მილიონებს ნიკა ლომინაძის მკვლელობას უკავშირებენ

პირველი გვერდიდან

სინამდვილეში, ორ ორგანიზაციას შორის "რაღაც საეჭვო" გარიგებების შესახებ გამოძიება, მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ მკვლელობიდან ძალიან მალე ალაპარაკდა. თუმცა, ამერიკის ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში ჩატარებულმა ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებმა გამოძიების მუშაობა, ძირითადად, ერთი მიმართულებით წარმართა და დააპატიმრეს კიდეც ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, დაცვის პოლიციის თანამშრომელი დავით მჭედლიძე.

დავით მჭედლიძე ბრალდებულად რჩება, მაგრამ...

ერთადერთი, რაც ლომინაძესთან აკავშირებდა დავით მჭედლიძეს, რომლის სატაბელო იარაღის იდენტურობა მკვლელობის იარაღთან თვით FBI-მ აღიარა, ავტოსადგომი გახლდათ, სადაც ნიკა ლომინაძემ მკვლელობის ღამით მანქანა დააყენა. თუმცა, მკვლელობის ღამეს მჭედლიძე ავტოსადგომზე არ მორიგეობდა. მჭედლიძის დაპატიმრების დღიდანვე თბილისის პროკურატურის გამომძიებლები გაკვირვებისგან მხრებს იჩეჩდნენ და ამბობდნენ, რომ, FBI-ის დასკვნის გარდა, ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება არ გააჩნიათ. თუმცა, ეს დასკვნა იმდენად წონიანად ჩაითვალა, რომ დაცვის პოლიციის თანამშრომლის დაპატიმრება გადაწყვიტეს. გამომძიებელთა ეჭვს აძლიერებდა თვით მჭედლიძის საქციელი, რომელიც არაფრით წააგავდა მკვლელისას – მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რასაც ედავებოდნენ, იგი საკუთარი ნებით ასრულებდა გამოძიების ყველა მითითებას, არსად უცდია დამალვა, პირველივე მოთხოვნისთანავე, თავისი ფეხით მივიდა პროკურატურაში და ჩაბარდა. ერთადერთი, რაშიც გამოძიებას მჭედლიძისგან წინააღმდეგობა შეხვდა, ბრალდება გახლდათ – იგი მკვლელობის ჩადენას კატეგორიულად უარყოფდა.

FBI-ის დასკვნის მიღების შემდეგ, თითქმის ექვსი თვის მანძილზე, გამოძიებას, ყველა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებით, შეიძლება ითქვას, ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი საბუთები დაუგროვდა. გუშინწინ კი ვაკე-საბურთალოს სასამართლომ დავით მჭედლიძეს აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალა – პატიმრობიდან გაათავისუფლა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა. სხვათა შორის, გამოძიება, რომელმაც სასამართლოს საპატიმრო ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა, FBI-დან სხვადასხვა ექსპერტიზების დასკვნების მიღების მოლოდინით ხელმძღვანელობდა. კერძოდ, ამერიკაში გაგზავნილია სკოჩი, რომლითაც ლომინაძეს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული და თმები, რომელიც გამოძიებამ მკვლელობის ადგილზე იპოვა. გარდა ამისა, შტატებიდან ელოდებიან მკვლელობის ადგილზე ნაპოვნი ტყვიის გულის ბიოლოგიური ექსპერტიზის შედეგებს, რითიც დადგინდება, ეს ნამდვილად იმ ტყვიის გულაა თუ არა, რომელიც ლომინაძის სიკვდილის მიზეზი გახდა.

გუშინწინდელ სასამართლოზე გამოძიების მოთხოვნას მჭედლიძის ადვოკატმა პირდაპირი მტკიცებულებების არქონა დაუპირისპირა. საბოლოოდ კი, ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის მეტად უცნაური პრეცედენტი მოხდა – გამოძიება დაცვის არგუმენტებს დაეთანხმა. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დავით მჭედლიძე კვლავაც ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებულად რჩება, იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

გენერალური პროკურატურა ხელქვეითთა "კაპიტულაციით" უკმაყოფილოა

როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, გამოძიების მხრიდან ბრალდებულის მიმართ ჰუმანურობა არაერთმა ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, მათ მიაჩნიათ, რომ FBI-დან რამდენიმე, დასკვნითი ექსპერტიზის პასუხების მიღებას არ შეიძლება უსასრულოდ ელოდონ და ასე უსასრულოდ ჰყავდეთ პატიმრობაში მჭედლიძე. მით უმეტეს, რომ, როგორც კი საჭიროება მოითხოვს, მისი ხელახლა დაპატიმრება პრობლემას არ წარმოადგენს – იგი არსად გაიქცევა, დარწმუნებულნი არიან გამომძიებლები. გარდა ამისა, როგორც შევიტყვეთ, ამერიკიდან არამარტო იარაღის იდენტიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის დასკვნაა მოსული. გამოძიებას უკვე მიღებული აქვს ბიოლოგიური კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმადაც, მოკლულის ტანსაცმელზე მჭედლიძის შეხება არ დასტურდება. სამაგიეროდ, მკვლელობის ადგილზე ნაპოვნ სიგარეტის ნამწვზე ერთზე მეტი ადამიანის დნმ აღმოჩენილა. არც ერთი მათგანი მჭედლიძეს არ ეკუთვნის.

ყველაფრიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას დაეთანხმა, თუმცა, მოგვიანებით, ამის გამო ზემდგომთა უკმაყოფილება დაიმსახურა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, გენერალურმა პროკურატურამ მჭედლიძის დაპატიმრება-გათავისუფლების ირგვლივ სამსახურებრივი მოკვლევა წამოიწყო და მოკვლევის დასრულებამდე თბილისის პროკურატურის გამომძიებლებს ჯერ მხოლოდ უსაყვედურა - ბრალდებულის ადვოკატის არგუმენტაციას რატომ დაეთანხმეთო. სხვათა შორის, მჭედლიძის პატიმრობაში დატოვება სამართალდამცველთათვის იმდენად იყო ხელსაყრელი, რამდენადაც მისი ბრალეულობის დასადასტურებლად სასამართლოსთვის FBI-ის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება საკმარისიც აღმოჩენილიყო მისთვის მკვლელობის ბრალდების დასადასტურებლად. ამით გამოძიება, ფაქტობრივად, რთულ და სარისკო ფინანსური მაქინაციების კვლევაში ჩართვას თავიდან აიცილებდა. არადა, ლომინაძის მკვლელობის გამოძიება, ძირითადად, სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება.

სად წავიდა მილიონები?

ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის საჯარისო ნაწილების შტაბსა და "AES თელასს" შორის წამოჭრილი ფინანსური დავის გამოძიებას და ლომინაძის მკვლელობასთან მისი კავშირის დადგენას ძალზე დიდი დრო დასჭირდება და ძნელი საფიქრებელია, რომ ბოლომდე მივიდეს. საქმეებში, რომლებიც ენერგეტიკაში მბრუნავ მილიონებს ეხება, როგორც წესი, "ძლიერნი ამა ქვეყნისანი" არიან ჩარეულნი, რომელთა მხილებასაც ქართველი სამართალდამცველები ერიდებიან. ამასთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა, არა იმდენად "AES თელასის" მხრიდან დოკუმენტაციისა თუ დანაშაულებრივი ფინანსური საქმიანობის დაფარვასთან გვქონდეს საქმე, რამდენადაც საქართველოდან ამერიკული ენერგოკომპანიის გაძევების მსურველთა მიერ წამოწყებულ შანტაჟთან.

თუმცა, ასეა თუ ისე, მაქინაციის სქემა ზედაპირულად ასე შეიძლება მოიხაზოს: რუსეთის ჯარებს "AES თელასის" მილიონნახევრიანი დავალიანება ჰქონდა. თავის მხრივ, "თელასს" სხვისი ვალი დაუგროვდა, იმ სხვას – სხვისი. მოკლედ, გადაწყდა და რუსეთის ჯარების შტაბს ვალების ჯაჭვის ბოლო რგოლისათვის 2,5 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა – ნაწილი ვალის ანგარიშში, ნაწილი დეპოზიტის სახით. რუსეთის მხარეს ამ მილიონების გადახდის დოკუმენტაცია ხელთ აქვს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ფული მოვალეს კი არა, ორ კერძო ფირმას გადაურიცხეს. ამგვარ ანგარიშსწორებას ისინი "AES თელასიდან" მიღებული რამდენიმე წერილით ხსნიან, სადაც მითითებულია, სად და ვის ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს თანხა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, შტაბს ხელთ სულ სამი წერილი აქვს, რომლებიც 2002 წლის გაზაფხულით თარიღდება. ამათგან ორს, რამდენიმე ხელმოწერასთან ერთად, "AES თელასის" ბეჭდიც ამშვენებს, ერთი კი ბეჭდის გარეშეა ხელმოწერილი. დღეისათვის, მილიონების კვალი გამქრალია, "AES თელასი" კატეგორიულად უარყოფს ამ წერილებთან თავის კავშირს და აცხადებს, რომ ხელმოწერები ყალბია. რუსეთის მხარე კი სასამართლოში ჩივის.

ჩვენი ინფორმაციით, "AES თელასის" ბეჭედი ნიკა ლომინაძესთან ინახებოდა. იგი ზაფხულში გამოასალმეს სიცოცხლეს. მისი კაბინეტის საწერ მაგიდაში საგულდაგულოდ დამალული, "AES თელასის" მიერ რუსეთის ჯარების შტაბისთვის მიწერილი ერთ-ერთი წერილის გადაღებული ასლი იპოვეს.

ამ ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გაკეთებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროკურატურა სწორედ ამ გზით აპირებს გამოძიების გაგრძელებას.

ენერგოდანაშაულებზე 360 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული

"ენერგეტიკის სფეროში გამოვლენილ დანაშაულებზე 360 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი კი 28 მლნ ლარზე მეტს შეადგენს," - ამბობს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე.

გენპროკურორის განცხადებით, აღნიშნულ სფეროში გამოვლენილ დანაშაულებზე დაკავებულები არიან საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნებები, მთავარი მოქმედი თანამდებობის პირები კი შენიღბულები და, აქედან გამომდინარე, დაუსჯელები რჩებიან. არადა, სწორედ მათი ლობირებით ხდება თანხების დატაცება და გადანაწილება, რასაც თან ახლავს ქურდული გარჩევები, ადამიანთა გატაცება, შანტაჟი, ფულის გამოძალვა და სხვა გაბრიჩიძის თქმით, გამოძიებას ართულებს ისიც, რომ დანაშაულში მხილებული პირები თანამდებობის პირების წინააღმდეგ ჩვენებებს არ იძლევიან, სამაგიეროდ, გამომძიებლებს გარკვეულ ანაზღაურებას სთავაზობენ. ამას ემატება ისიც, რომ სასამართლოები ზოგჯერ დამნაშავეების მიმართ ლმობიერებას იჩენენ და მათ პატიმრობიდან ათავისუფლებენ.

ასე გათავისუფლდა რამდენიმე დღის წინ წინასწარი პატიმრობიდან სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე გურამ ჩიჩუა, რომელზეც უკვე გამოცხადებულია ძებნა.

შეგახსენებთ, ბუნებრივ აირზე ტარიფის ხელოვნურ ზრდაში და დიდი ოდენობით თანხის მითვისებაში ბრალდებული ჩიჩუა პროკურატურამ, დაახლოებით, ორი კვირის წინ დააპატიმრა, მაგრამ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში 165 ათასი ლარის ოდენობის გირაოს გადახდისა და მის თავდებით გასათავისუფლებლად 104 დეპუტატის ხელმოწერის წარდგენის შემდეგ, მოსამართლემ იგი თავდებით გაათავისუფლა. მართალია, რამდენიმე დღეშივე ჩიჩუას საოლქო სასამართლომ კვლავ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ სამართალდამცველებმა ბრალდებული ვეღარ იპოვეს.

გენპროკურორის განცხადებით, პასუხისგებაშია მიცემული სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი თემურ გიორგაძეც, რომელსაც ასევე ბუნებრივ აირზე ტარიფის ხელოვნურ ზრდაში ედება ბრალი. მთავარი პროკურორის თქმით, უახლოეს დღეებში პასუხისგებაში მიეცემა „საქგაზის" ყოფილი ბუღალტერიც, რომელიც ამჟამად, გულის შეტევის გამო, საავადმყოფოში იმყოფება.

"24 საათი"

მოკლედ

თბილისი. სამართალდამცველებმა ვარკეთილის მე-2 მიკრორაიონში, საბანკეტო დარბაზ "თეთრ სახლთან" უცნობი, 50-55 წლის, მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. სამართალდამცველები მკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ, რადგან გვამს პირველადი სამედიცინო დათვალიერებისას ძალადობის კვალი არ აღენიშნა. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში პოლიციამ თბილისის სხვადასხვა უბნებში ათზე მეტი გვამი აღმოაჩინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საკონტროლო გამტარ პუნქტზე „წითელი ხიდი" საქართველოს მესაზღვრეებმა და შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქე სულეიმან ნაქირი დააკავეს, რომელსაც შემოწმების დროს 80 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი" აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალებების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოტანის ფაქტზე თბილისში ციცინო ბასილაშვილი დააკავეს, რომელსაც ბინაში სარეალიზაციოდ გამიზნული 16 ე.წ. „ჩეკად" დაფასოებული 20,12 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. ბასილაშვილმა ნარკოტიკული ნივთიერება რუსეთის ფედერაციის დაღესტნის რესპუბლიკის ქ. მახაჩკალაში შეიძინა. დაპატიმრებულმა აღიარა, რომ იგი ერთ გრამ ჰეროინს 100 აშშ დოლარად ვინმე გიაზე ყიდდა. მოგვიანებით დააკავეს გია მარგველაშვილი, რომელიც დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 საპყრობილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი მარიამ არჩვაძე, რომელსაც 0,261 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გარდაბნის რაიონის პოლიციამ, შსს-ს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, ღონისძიება „ძებნა-2003"-ის ჩატარებისას, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისათვის ძებნილი ნამიკ მამედოვი დააკავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისან-სამგორის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ზაზა თორია და ლევან ძალამიძე, რომლებმაც ფიზიკური ძალის გამოყენებით და სათამაშო პისტოლეტის მუქარით, დარეჯან გორგოძეს ხელჩანთა გასტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მოსახლეობამ გოჩა სეხნიაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დანაშაულებრივი ჯგუფის დასჯის მოთხოვნით საავტომობილო გზა გადაკეტა. გარდაცვლილის ნათესავების განცხადებით, ორი დღის წინ შვიდკაციანი შეიარაღებული ჯგუფი სეხნიაშვილების ოჯახში შეიჭრა და 20 000 აშშ დოლარი მოითხოვა. ოჯახს ეს თანხა არ აღმოაჩნდა, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა გოჩა სეხნიაშვილს ზურგისა და ყელის არეში – დანით, ხოლო თავში ბლავგი საგნით მრავალრიცხოვანი ჭრილობები მიაყენეს. ასევე დაჭრილია სეხნიაშვილის მეუღლეც, რომელსაც ჭრილობა დანით თავის არეში აქვს მიყენებული. მცირეწლოვანი ბავშვი კი თავდამსხმელებმა სცემეს. ბოროტმოქმედებმა სახლიდან 2000 დოლარი, 2000 ლარი და ოქრო გაიტაცეს და მიიმალნენ. გოჩა სეხნიაშვილი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი გუშინ გარდაიცვალა. მუხრანის მოსახლეობა აღნიშნული ჯგუფის გამოვლენას, დასჯას და სისხლის სამართლის საქმის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს. მათი ინფორმაციით, აღნიშნულ ჯგუფს უახლოეს წარსულში რამდენიმე დანაშაული კიდევ აქვს ჩადენილი და არცერთი საქმე ჯერ არ გახსნილა. **ინტერ-პრესი**

ამბოხებულებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ ვეტერან მებრძოლებისადმი წარდგენილი ბრალდება და დაპატიმრებული 19 მეამბოხიდან 16-ს სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სამი პატიმარი - ჭაღალაძე, არველაძე და ჭიტავა გამოძიებამ დაპატიმრების მეორე დღესვე გაათავისუფლა. გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის აკაკი ბუდაღაშვილის განცხადებით, გამოძიებას ამ სამეულის დასაკავებლად ამ ეტაპზე არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია.

გუშინ სასამართლოში ოთხ-ოთხი ამბოხებული ცალ-ცალკე შეჰყავდათ. სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი თითოეული მათგანის საქმეს დახურულ კარს მიღმა რამდენიმე საათის განმავლობაში ისმენდა, რის გამოც პროცესი გვიან ღამემდე გაგრძელდა. სასამართლო პროცესზე ვეტერანები ირწმუნებოდნენ: ყელში ამოგვივიდა ამდენი გაჭირვება და უყურადღებობა, ამ აქციით ხელისუფლებას საკუთარი არსებობა შევახსენეთ და სახელმწიფო გადატრიალებაზე წინასწარ არასოდეს გვიფიქრიაო. სამართალდამცველთა მხრიდან ამბოხების ლიდერად გამოცხადებული დავით მარტიაშვილის მტკიცებით, მეგობრის დასაფლავებიდან წამოსულმა ვეტერანებმა ისინის სამხედრო ბაზაზე შესვლა და საკუთარი პროტესტის დაფიქსირება ექსპრომტად გადაწყვიტეს.

რამდენად ირწმუნებს გამოძიება და შემდგომში უკვე სასამართლო ყოფილ მეომართა ჩვენებას, წინასწარ ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ დაპატიმრებულთა დაკითხვის შემდეგაც, სამართალდამცველები კვლავ სახელმწიფო გადატრიალების წინასწარ დაგეგმილ ვერსიაზე საუბრობენ.ამასთან, ვეტერან მებრძოლთა მხრიდან დანაშაული - იარაღის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ძალით ხელში ჩაგდების ფაქტი, აშკარად სახეზეა.

მე ბუშს მოვნათლავ...

მკალავიშვილი პაატას თავს არავის დაანებებს

თამარ დვალი

გუშინ ჟურნალისტთა სახლში მოწყობილ პრესკონფერენციაზე ბასილ მკალავიშვილმა ჩვეული კატეგორიულობით განაცხადა: "მას შემდეგ, რაც საქართველოს ე.წ. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაგმო სულიწმიდა და დაესწრო ეკუმენურ ლოცვა-კონცერტს, კრიმინალური სექტები გათამამდნენ და ისე გამოიშალნენ თბილისის ქუჩებში, როგორც გაზაფხულის გველები."

"მამაო ჩვენო"-ს წარმოთქმის შემდეგ გლდანის მართლმადიდებლური ეპარქიის დროებითმა მმართველმა და წინამძღვარმა, ბასილ მკალავიშვილმა ჟურნალისტებს მოუწოდა, რომ სენსაციას გამოდევნებას თავი დაანებონ და მართლმადიდებლობის გადასარჩენად იზრუნონ; ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ს კი მათ წინააღმდეგ მოსახლეობის მასობრივი აჯანყებით და დახურვით დაემუქრა: "რუსთავი-2"-ს იმის ინტერესი აქვს, რომ ციხეში ჩამსვას, მაგრამ ვაფრთხილებ, რომ, რაც ვერ გააკეთა ე.წ მთავრობამ, გავაკეთებ მე და ამ არხს დავხურავ. შემდეგ ვერც პრეზიდენტი და ვერც სააკაშვილი ვერ უშველიან. მოღალატე ნანა დევდარიანს იქ გავისტუმრებ, სადაც ყველა სატანისტი მიდის - ჯოჯოხეთში, მის "დებსაც" (ელენე თევდორაძეს და რუსუდან ბერიძესაც) ზედ მივაყოლებ. მრცხვენია, რომ საქართველოს ასეთი სახალხო დამცველი - ანუ იეღოველთა დამცველი ჰყავს", - განაცხადა აღშფოთებულმა მკალავიშვილმა. მისი თქმით, ამერიკამ ერაყის დაბომბვა ახლა დაიწყო, საქართველოს კი იგი 15 წლის განმავლობაში ბომბავს სულიერად. "რომელ ქიმიურ და ბაქტერიულ იარაღს ჩამოუვარდება იეღოველების, ბაპტისტების, კათოლიკეების და სხვათა მომწამვლელი მოძღვრებები. ყველა ეს სექტა ფინანსდება და იმართება ამერიკიდან იმისათვის, რომ ქართველი ერი სულიერად დაიპყრონ", - ირწმუნება მკალავიშვილი.

რამდენიმე ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა ზოგიერთებს ჯანდაბაში წასვლა "უსურვა", ამჯერად კი ბასილ მკალავიშვილმა თავად პრეზიდენტი "გაუყენა" ჯანდაბის გზას და განაცხადა, რომ, თუ პრეზიდენტი თავს არ დაანებებს მწვალებლურ ლოცვებზე სიარულს, მაშინ იგი (მკალავიშვილი) მართლაც ამბობს, - რა მოხდა, თუ შევარდნაძე დაესწრება მწვალებლურ ლოცვებს, თავად დავით აღმაშენებელიც შედიოდა მეჩეთშიო. ეს არის სიცრუე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის სომეხმა ისტორიკოსმა, ვარდენ დიდმა მოიგონა. ქართველი ისტორიკოსები მსგავს ფაქტს არსად ასახავენ. "როგორ შეიძლება კაცი მეჩეთში შედიოდეს, ლოცულობდეს და მერე წმინდანად შერაცხონ"? - კითხულობს მკალავიშვილი.

მკალავიშვილი: პრეზიდენტს ჯანდაბა, დევდარიანს ჯოჯოხეთი, რუსთავს შტურმი

ასხრ ბასელიას ფოტო

მკალავიშვილისავე მტკიცებით, ამერიკის პრეზიდენტის პრეს-სამსახური მასთან პირდაპირ კავშირს ამყარებს: " ჩვენ შევიტყვეთ, რომ მსოფლიოს ეკუმენისტურმა მესამ თავიანთი ეკლესიიდან პრეზიდენტი ბუში და ინგლისის პრემიერ-მინისტრი განკვეთა. ჩვენს პრეს-ცენტრში ბუშის პრეს-ცენტრის წარმომადგენელმა დარეკა და, როგორც მაცნობეს, ბუში საქართველოში ჩამოვა, რათა მე მოვნათლო მართლმადიდებლად." (კომენტარი ზედმეტია).

გლდანის მართლმადიდებლური ეპარქიის დროებითმა მმართველმა სასპატრიარქოსაც დასდო ბრალი: "საპატრიარქო არაფერს აკეთებს მართლმადიდებლობის გადასარჩენად. ვინ არის ეს უწვერო მღვდელი ბასილ კობახიძე? ის ჯიბგირი და ყაჩაღია. მაინტერესებს, მაგისი ეპისკოპოსი ვინ არის, ან რომელ ეპისკოპოსს ემორჩილება. ბასილ კობახიძე დადის საპატრიარქოს სახელით და მართლმადიდებლობას შეურაცხყოფს. დიდი რჯულის კანონი კრძალავს, რომ მღვდელი მწვალებლურ ლოცვას დაესწროს. ასეთი მღვდელი უნდა განიკვეთოს. ვაცხადებ, რომ ხულიგანი ბასილ კობახიძე განკვეთილია მართლმადიდებლობიდან თავის ეპისკოპოსთან ერთად."

გუშინდელ პრეს-კონფერენციას გაერთიანება "ჯვრის" წარმომადგენელი, პაატა ბულაშვილიც ესწრებოდა. რუსთავში უახლოეს მომავალში გაიმართება მისი სასამართლო პროცესი. როგორც თავად ბულაშვილმა განაცხადა, იგი ამ პროცესისთვის დიდ სიურპრიზს ამზადებს და ყველა სენსაციის მოყვარულ ჟურნალისტს ეპატიჟება. ბასილ მკალავიშვილმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ თუ პაატას დაიჭერენ, მაშინ იგი ჯერ არნახულ აქციას მოაწყობს: "ერთი ვინმემ გაბედოს თქვენი დაპატიმრება და, რუსთავს შტურმით ავიღებთ," - დააიმედა მკალავიშვილმა პაატა.

ინფორმაცია

გადარჩენილი სიცოცხლე

21 მარტს მუხრან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში 2 წლის გოგონა, ნინო ხოსრიაშვილი მიიყვანეს. ბავშვს დიპოკალსემიის ფონზე კრუნჩხვა ჰქონდა. მის მშობლებს, რომლებსაც 7 შვილი ჰყავთ, ბავშვის მკურნალობის საფასურის გადახდა არ შეეძლოთ. კლინიკის მორიგე ექიმმა გიგა გელენიძემ ბავშვი უპრობლემოდ მიიღო, ხოლო პედიატრმა მზია კელენჯერიძემ სასწრაფოდ აღმოუჩინა ავადმყოფ ბავშვს ადეკვატური, რაციონალური მკურნალობა - სრულიად უფასოდ. პატარა პაციენტი ამჟამად თავს კარგად გრძნობს, მისი მშობლები და ახლობლები კი მადლმოსილ ექიმებს ყოველგვარ სიკეთეს უსურვებენ.

"24 საათი"

"ამ ცვლილებებს მზის სინათლეს არ ვაჩვენებთ!"

დემოკრატების მიერ მომზადებული განათლების შესახებ საქართველოს კანონში შეტანი ცვლილებები გუშინ თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე განაქიქეს. ედვარდ სურმანიძემ, რომელიც სხდომას ცვლილებების ინიციატორების სახელით ესწრებოდა, პირველი რესპუბლიკის დარბაზი მალე დატოვა. ამის შემდეგ ყველაფერი "ცალ კარში თამაშს" დაემსგავსა. დემოკრატებმა თავიანთი პოზიცია უკვე არაერთხელ დაადასტურეს. ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ახალი არც მთავრობის სხდომიდან პარლამენტში დაგვიანებით მისულ განათლების მინისტრს უთქვამს. თავად შეკრება კი პროტოკოლისთვის გამართულ ღონისძიებას უფრო ჰგავდა. ამ შთაბეჭდილებას რეგიონებიდან გამოძახებული განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელების გულწრფელი ჩივილი ქმნიდა, - კარგი იყო, გვცოდნოდა, მსჯელობა რა საკითხზე გვექნებოდაო. საბოლოოდ დედაქალაქში მათი ვიზიტი სამინისტროს კურსის მხარდაჭერის კიდევ ერთ დადასტურებად იქცა. კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც დემოკრატების პროექტს სკოლების ზედმეტად პოლიტიზირების აშკარა საშიშროებად აღიქვამს, განათლების რაიონულ მუშაკებს თანადგომა სთხოვა, მინისტრს კი აღუთქვა, - ყველანაირად შევეცდებით, ამ ცვლილებებმა დღის სინათლე ვერ იხილოსო.

"24 საათი"

სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.
2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.
1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.
2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.

გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".

დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.

შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!

შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!

ძალლის ბედი საქართველოში

დარვინი იქით იყოს, მაგრამ ცხოველებსა და ადამიანის განვითარებას შორის კავშირს, ფსიქოლოგები საინტერესო მაგალითებით ადასტურებენ. სახელმწიფოებრივი აგრესია, თურმე, პატარებს - ანუ ქვეყნის მომავალ მოქალაქეებს, შეიძლება, ადვილად განუვითარდეთ, თუკი უყურეს, როგორ იჭერენ და დასახოცად მიერეკებიან ეზოებს შეჩვეულ ძაღლებს უნიფორმიანი უფროსები. ისინი ბავშვების თვალში სახელმწიფოს წარმოადგენენ, ძაღლები კი, თუნდაც უპატრონოები - უმწეო და ახლობელ არსებებს. ამასთან, ამგვარი აგრესია მათში იწვევს ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრის, ძალადობის, სადიზმის პროვოცირებას. მოკლედ, პრობლემა, რომელსაც ჩვენში "ცოფიანი ძაღლების" გაუვნებელყოფის სახელს არქმევენ, მარტივად გადასაწყვეტი არ არის.

მაკა ჯაიანი

საკითხის მარტივად გადაწყვეტის იმედი არც "24 საათში" სასაუბროდ შეკრებილ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჰქონიათ. თბილისის მერიის ვიცე-პრემიერი კახა შენგელია, ქალაქის სანიტარიული სამსახურის უფროსი ჯუღული ახვლედიანი, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციის უფროსი კარლო ჩოთირიძე, ბიოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, ორგანიზაცია "ნაკრესის" სამეცნიერო ხელმძღვანელი იასონ ბადრიძე, ორგანიზაცია "მწვანე ჯვრის" გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ კალანდაძე, მეცხოველეობის მომსახურების ასოციაციის პრეზიდენტი, ჟურნალ "ვეტერინარიის" რედაქტორი დავით შალამბერიძე და ჟურნალ "ერთგული მეგობრის" გამომცემელი თეა სტურუა ადვილად შეთანხმდნენ, რომ დღემდე მაწანწალა ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად ქალაქის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები, რბილად რომ ვთქვათ, უყაირათოდ იხარჯება, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და, კარგი იქნება, თუკი კოორდინირებას ერთი უწყება, თუნდაც არასამთავრობო, ითავებს.

ფული, რომლითაც ძაღლებს იჭერენ

აღმოჩნდა, რომ ზუსტად დათვლილი და გაწერილი არ არის. ვერც მერიის ვიცე-პრემიერი, ვერც სანიტარიული, ვეტერინარიული თუ კეთილმოწყობის სამსახურების უფროსები და ვერც ქალაქის გამგეობებს დაქვემდებარებული ძაღლდამჭერი ბრიგადების ხელმძღვანელები გეტყვიან, რამდენია ამ საქმისთვის გამოყოფილი.

კარლო ჩოთირიძე: კონკრეტულად მაწანწალა ძაღლების მოსავლელი თანხა ქალაქის ბიუჯეტში გამოყოფილი არ არის. მათ დაჭერას და ლიკვიდაციას სანიტარიული კუთხით გაწერილი სახსრებიდან ანაზღაურებენ. ჩვენი სამსახური ფინანსურ საკითხებში არასდროს ჩარეულა. არსებობს საკრებულოს დადგენილება, რომელშიც წერია, რომ ერთი ძაღლის დაჭერა, მისი ტრანსპორტირება და უტილიზაცია 16 ლარი და 70 თეთრი ღირს. ამ თანხაში შედის ექსპლუატაციის, მანქანა-მექანიზმების ხარჯები, საწვავი, მომსახურე პერსონალის ხელფასი და ბეიკერის ორმოს გამოყენება. რეალურად კი, ერთ ძაღლზე ქალაქი 10 ლარს ხარჯავს.

თეა სტურუა: კი, მაგრამ, თუკი საქმეს 10 ლარი არ ყოფნიდა, 16 ლარი და 70 თეთრი რატომ იყო დადგენილი?

კარლო ჩოთირიძე: თავის დროზე ბატონმა ვანომ სთხოვა, - რაიონებს თანხები ცოტა შეამცირეთო და 10 ლარამდე დაიყვანეს.

იასონ ბადრიძე: მერიის ოფიციალურ დოკუმენტში, 1998-2000 წლების ანგარიშში სწორედ ეს თანხაა ჩადებული და არა 10 ლარი. ამ პერიოდში განადგურებული ძაღლების რაოდენობა 27-28 ათასს შეადგენს. ეს წელიწადში 13-14 ათას ძაღლს ნიშნავს. წარმოგიდგენიათ, რა ციფრებთან გვაქვს საქმე? მე მოგახსენებთ დოკუმენტზე, რომელიც პარლამენტის შესაბამის კომიტეტში იყო წარდგენილი.

კარლო ჩოთირიძე: ეს დოკუმენტი კომიტეტის სხდომაზე მე წარვადგინე. დიახ, 2001 წელს დაჭერილი იყო 10234 მაწანწალა ცხოველი, 2002 წელს – 9888 და ყველა განადგურდა.

დავით შალამბერიძე: რამდენადაც ვიცი, ქალაქს ერთი ბეიკერის ორმო აქვს. შესაძლებელია, რომ ამდენ ცხოველს გასწვდეს?

კარლო ჩოთირიძე: დიახ, ორმო ერთია, მაგრამ ერთი-ორი წლის რეზერვი კიდევ დარჩა.

"24 საათი": გაწეული სამუშაოს ანაზღაურება რა სისტემით ხდება?

ჯუღული ახვლედიანი: როცა ცხოველებს ბეიკერის ორმოში გასანადგურებლად მიიყვანენ, იქაური ზედამხედველი მათ რაოდენობას აღრიცხავს და შესაბამის დოკუმენტს გამოწერს. ანგარიშსწორებაც ამის საფუძველზე ხდება.

"24 საათი": თქვენ სამსახურს რა ფუნქცია აკისრია ამ საქმეში?

ჯუღული ახვლედიანი: სანიტარიული სამსახურის როლი ისაა, რომ ინფორმაცია მაწანწალა ძაღლების შესახებ, რომლებიც ქალაქის სიმყუდროვეს არღვევენ, შესაბამის სამსახურებს მივაწოდოთ. ჩვენ ყოველკვირეულ შეტყობინებას ვაგზავნით გამგეობებში მათი თავშეყრის შესახებ. დაჭერა გამგეობებში მოქმედი სპეციალური ძაღლმჭერი ბრიგადების საქმეა, კეთილმოწყობის სამსახური კი მათი უტილიზაციის ადგილზე ზრუნავს.

გრიგოლ კალანდაძე: კონტროლის მექანიზმი, ფაქტობრივად, ნულს უდრის.

კახა შენგელია: არაორგანიზებულობა და გაფანტულობა ამ პრობლემის მოგვარებას ყველაზე მეტად უშლიდა ხელს. რვა სუბიექტზე იყო ეს საქმე გადანაწილებული. ახლა სხვანაირად იქნება.

ის, რაც დღეს არის

ვიდრე ყველაფერი შეიცვლებოდეს, ფინანსურ და ინსტიტუციონალურ პრობლემას კიდევ ერთი ემატება - მეთოდები, რომლითაც ქალაქი მაწანწალა ცხოველების საკითხს აგვარებს. არასამთავრობო ორგანიზაციები მათ კარგა ხანია აპროტესტებენ, თუმცა აღფრთოვანებული არც მთავრობა ჩანს.

კარლო ჩოთირიძე: პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მეთოდები, რომლითაც დღეს მაწანწალა ცხოველების იზოლაცია ხდება - მაშებით მათი დაჭერა და განადგურება, არაცივილიზებულია. ამას ამ საქმით დაკავებული ადამიანებიც გრძნობენ. ამის თაობაზე მთავრობის სხდომაზეც არაერთხელ ითქვა და კერძო საუბრებშიც ბევრჯერ აღგვინიშნავს. აუცილებელია ამ დარგის აღორძინება, მეტი ყურადღების მიქცევა.

"24 საათი": დარგში რას გულისხმობთ?

კარლო ჩოთარიძე: მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენ წლების განმავლობაში ვსვამდით საკითხს და ხელმძღვანელობაც დაეთანხმა იმას, რომ აუცილებელია ერთიანი საქალაქო სამსახურის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს აბსოლუტურად ყველაფერს. დღეს ქალაქს მხოლოდ ერთი პროფესიული მანქანა ჰყავს, ვაკე-საბურთალოს რაიონში. თანამედროვე დამჭერებით მხოლოდ ისაა აღჭურვილი. მისი ჩამოყვანა 6 ათასი დოლარი დაუჯდათ, თუმცა აღჭურვა აქ მოხდა. ორი სექცია აქვს, 6 ძაღლს ნორმალურად იტევს, დამჭერი სასროლი ბადეებით სარგებლობს, რომელსაც 5 მეტრის სიგრძეზე ისვრის.

იასონ ბადრიძე: ცივილიზებული საშუალება უამრავი არსებობს, მთავარი მათი შეძენაა. არსებობს დასაძინებელი საშუალებები, შპრიცების სასროლი იარაღი, ბადეების სასროლი თოფები და ა.შ. საქართველომ მათი გამოყენება უნდა დაიწყოს, თორემ ის მეთოდები, რომელსაც მაწანწალა ცხოველებთან ახლა ვიყენებთ, ვითარებას არ შეცვლის. 80-იან წლებში ვაკე-საბურთალოს რაიონში 300-მდე მაწანწალა ძაღლი იყო, დღეს კი რამდენიმე ათასია. რატომ? მე მოწმე ვარ, როგორი ინტენსიობით იჭერდნენ ამ რამდენიმე წლის წინათ ძაღლებს დედაქალაქში. მიუხედავად ამისა, მათი რაოდენობა მატულობს. საქმე ის გახლავთ, რომ პოპულაციურ ეკოლოგიაში არის წესი, რომლის მიხედვითაც, როგორც კი პოპულაციიდან რაღაც ნაწილი ამოგვყავს, გამრავლების ტემპი მატულობს. ჩვენ ამ ტემპს ვერაფრით დავეწევით. შეგვიძლია, ქუდზე კაცი გამოვიყვანოთ და ძაღლებს მუსრი გავავლოთ, მაგრამ ისინი მალე ისევ გაჩნდებიან. თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ძაღლები ქალაქში თანაბრად არიან განაწილებულნი, ქალაქის გარეთ კი ცალკე, ბუფერული ზონა აქვთ შექმნილი. როგორც კი ქალაქში ადგილი თავისუფლდება, ინდივიდი გარედან შემოდის. საერთოდ, ძაღლი უნდა დარჩეს ქალაქის ფაუნაში, იგი უნდა იყოს, მაგრამ არა ასეთი რაოდენობით.

კახა შენგელია: ამ საკითხზე მსჯელობისას ქალბატონმა რუსუდან ხუნწარიამ სტერილიზაციის მეთოდის გამოყენება შემოგვთავაზა. ეს არის ყველაზე ცივილიზებული მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას.

დავით შალამბერიძე: პრობლემაა ქალაქის სანიტარიულ მდგომარეობაც. ვიდრე საკვები ბაზა არსებობს, მაწანწალა ძაღლებიც იქნებიან. იარსებებს იმდენი ძაღლი, რამდენსაც ტერიტორია შეინახავს. კომუნისტების პერიოდთან შედარებით, თბილისში სანიტარიული მდგომარეობაც გაუარესებულია.

კახა შენგელია: 1987 წელს არსებულ მდგომარეობას რომ დავუბრუნდეთ, მინიმუმ, 10 წელია საჭირო. ბევრად უკან დავიხიეთ. რამდენიმე საწარმოს გარდა, ქალაქში, ფაქტობრივად, არაფერი მუშაობს. მთავარი მაინც ისაა, რომ ფული, რომელიც ამ საქმისთვის, ასე თუ ისე, გამოიყოფა, დანიშნულებისამებრ მიიმართოს.

ვიცე-პრემიერების გეგმა

იგი ჯერ მხოლოდ მერიის ორი ვიცე-პრემიერის - კახა შენგელიასა და გიორგი კარბელაშვილის გონებაში არსებობს, მაგრამ ქალაქის ამ ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ, მისი საშუალებით, მაწანწალა ცხოველების გარშემო არსებული "ჯადოსნური წრის" გარღვევას მოახერხებენ.

კახა შენგელია: ვითარება მალე შეიცვლება, რადგან ქალაქის მერია ამ საკითხით სერიოზულადაა დაინტერესებული. ჯერჯერობით ქალაქის მთავრობა უძლურია ამ პრობლემის მოგვარებისთვის, რადგან, პირდაპირ ვთქვათ, ფული დანიშნულებისამებრ არ მიდის, იფლანგება. დღეს ქალაქი ამ საქმეს ვერ აგვარებს. იგი გადანაწილებული აქვს სანიტარიის, კეთილმოწყობის, ვეტერინარიის სამსახურებს, გამგეობებს - გაკეთებით კი ვერაფერი კეთდება. ამიტომ, ჩვენი აზრით, ჯობს, მაწანწალა ცხოველებს კერძო სტრუქტურამ მოუაროს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, გამოვაცხადოთ ტენდერი იმის გამოსარკვევად, თუ ვინ მოუვლის ამ პრობლემას თბილისში. გაკეთდება ორი თავშესაფარი. ერთი - ლილოს ტერიტორიაზე, რომელსაც ქალბატონი რუსუდან ხუნწარია ჩვენი ხელშეწყობით უკვე აშენებს, მეორე - ქალაქიის მეორე ბოლოში. ძაღლებს კი არ გავანადგურებთ, როგორც ახლა ხდება, ინექციას გავუკეთებთ და მათ სტერილიზებას მოვახდენთ. წელს თბილისი ამაზე უკვე იწყებს ზრუნვას.

"24 საათი": ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ პროექტისთვის საკმარისი თანხა?

კახა შენგელია: თანხა არაფრისთვის არ არის საკმარისი, ფული მოსახლეობისთვის არ გვყოფნის, ნახევარი თბილისი მშიერია... იმის პირობას ვერავინ დადებს, რომ ცოტა ხანში ქალაქში ყველა მათხოვარს ან ყველა ძაღლს მოევლება, მაგრამ მე და ბატონ გიორგი კარბელაშვილს გვინდა, იმ სახსრებს, რომელიც ბიუჯეტში ამ საქმისთვის არის გამოყოფილი და გაფანტულია, თავი მოვუყაროთ და მივცეთ მათ, ვინც პრობლემას მოაგვარებს. გარდა ამისა, საკითხით დაინტერესდნენ და დახმარებას გვპირდებიან ამერიკის, გერმანიის მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ამდენად, საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრება.

"24 საათი": უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქის გამგეობებში მოქმედი შესაბამისი სამსახურები გაუქმდება?

კახა შენგელია: ყველაფერი აქეთკენ მიდის. თუ ამას დიდი ამბები არ მოჰყვა, მე მგონი, მე და გიორგი გავარღვევთ ამ ჯადოსნურ წრეს.

გეგმა, რომელიც არასამთავრობოებს აქვთ

ამ წრის გარღვევას არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ახლა უკვე მერიის დახმარების იმედი მიეცათ, საკუთარი პროექტით ცდილობდნენ. მათ შემუშავებული აქვთ გეგმა, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ქალაქის სანიტარიული სამსახურის უფროსი იცნობს და აფასებს კიდეც.

ჯუღული ახვლედიანი: მე ვიცნობ არასამთავრობოების პროექტს. ძალიან მომეწონა. მის მიხედვით, იქმნება მეცნიერული ჯგუფი, მონიტორინგის ჯგუფი, ცხელი ხაზი და ა.შ. იქნებ, ამ ყველაფერმა გამოიღოს შედეგი. მეზობელ ერევანს ეს საკითხი გადაწყვეტილი აქვს. თუ ჩვენ წლის განმავლობაში 40-50 ათასი დაკბენილი გვყავს, იქ წელიწადში 100-150 კაცს ცრიან. აცრები კი სახარბიელო არ არის. ბატონი კახა საქმის კურსში ბრძანდება, რომ ქალაქს გადახდილი აქვს საკრემაციო დანადგარის შესაძენი თანხის 70-80 პროცენტი. როცა მისი საფასური მთლიანად დაიფარება და დანადგარი შემოვა, შეიძლება, დიდი კაპიტალდაბანდებები არც დაგვჭირდეს საკითხის მოსაგვარებლად.

გია კალანდაძე: არასამთავრობოების საქმეში აქტიურად ჩართვის იდეა ჩემთვის სასიამოვნო სიახლე გახლავთ. სუფთა ტექნოლოგიების თვალსაზრისით რომ შევხედოთ, მეცნიერული მიდგომა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება, ალბათ, ჩვენ უკეთ შეგვიძლია. ამიტომ, უნდა მოიძებნოს თანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს.

"24 საათი": რას გულისხმობს თქვენი გეგმა?

თეა სტურუა: ახალი არაფერი მოგვიგონია. მსოფლიოს გამოცდილება გავიზიარეთ. ჩვენ ქალაქის მუნიციპალიტეტს ვთავაზობთ ხუთ წლიზე გათვლილ პროგრამას, რომელიც პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ, ნაცადი მეთოდებით გადაწყვეტს. ნაგულისხმევია ძირითადი და დროებითი თავშესაფრის მოწყობა, ხუთი, თანამედროვე საშუალებებით შეიარაღებული ძაღლმჭერი ბრიგადის მობილიზება, ვეტერინარული კლინიკის, ცხელი ხაზის ამოქმედება.

"24 საათი": რა თანხა დასჭირდება ამ პროექტის განხორციელებას?

თეა სტურუა: იმაზე მეტი - არა, რაც დღეს მაწანწალა ძაღლების დაჭერასა და განადგურებაზე იხარჯება. საუბარია 100-130 ათას ლარზე.

ჯუღული ახვლედიანი: თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გასულ წელს 10 ათასი ძაღლია დაჭერილი, თითოზე კი 9-10 ლარი გამოიყოფა, ოფიციალურად 100 ათასი ლარი ყოფილა დახარჯული.

კარლო ჩოთირიძე: 2002 წელს ამ საქმეზე 105 ათასი ლარი დაიხარჯა.

ჯუღული ახვლედიანი: რაც უნდა იყოს, ამას მხოლოდ ის მიზერული თანხა უნდა დაემატოს, რაც ინფრასტრუქტურის მოსაწყობადაა საჭირო - თავშესაფარი 150-180 ძაღლზე, ვეტსამკურნალო, ავტოფარეხი, საკრემაციო დარბაზი, მომსახურე პერსონალის დასასვენებელი ოთახები და მცირე მოცულობის ბეიკერის ორმო.

დავით შალამბერიძე: გარდა ამისა, აუცილებელი იქნება, ჩატარდეს აღწერა, რომ წარმოდგენა გვქონდეს, რა ციფრთან გვაქვს საქმე. ხომ უნდა ვიცოდეთ, დაახლოებით მაინც, ვაქცინა რა დოზით გვჭირდება. ეს არ არის რთული და მოუგვარებელი საქმე.

იასონ ბადრიძე:. საჭიროა რუკების შედგენაც –- იმის გარკვევა, რომელ რაიონში რამდენი ძაღლია და როგორ არიან ისინი სივრცულად განაწილებულები. ძაღლების რაოდენობა, რა თქმა უნდა, პერიოდულად შეიცვლება, ამიტომ მონიტორინგია საჭირო. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ, აღრიცხული ცხოველებიდან რომელია ასაცრელი, რომლის ლიკვიდაციაა უმჯობესი და ა.შ. მაწანწალა ძაღლის სიცოცხლის ხანგრძლიობა, სადღაც, 5-6 წელია. ამდენად, პრობლემას ამ პროგრამით აუცილებლად მოევლება.

საქართველოში ახალი და სასარგებლო საქმის წამოწყებას ყველაზე დიდ პრობლემას, როგორც წესი, ფინანსები უქმნის. ამ შემთხვევაში, როგორც საუბრიდან გაირკვა, ფულს, იმ ოდენობით, რაც არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი პროგრამის განხორციელებას სჭირდება, მუნიციპალური ბიუჯეტი ყოველწლიურად გამოყოფს. ამ პირობებში განზრახული ცვლილებების დაწყების გაჭიანურება მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ საკითხის მოგვარება ვიღაცას ხელს არ აძლევს - ვინც ამ გაუგებრობით ხელს ითბობს და პროცესების შეჩერებაც ხელეწიფება.

მაკა ასათიანი მხატვრულ ფილმში B2
ცოტა მილიონერი, ცოტაც - იტალიელი B4
TV-პროგრამა B6

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

ხელისუფლება ყოველთვის თვითონ აგებს

"ტრადიციონალისტები" 13 წელია, არსებობენ. მათი ლიდერი, აკაკი ასათიანი დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტში იყო. ერთხელ კი - თავმჯდომარედაც. და როცა ერთ ამერიკელს უთხრა, დამოუკიდებლობის აქტზე მაქვს ხელი მოწერილიო, ამერიკელს წამოუძახია: ჯეფერსონი ხართ?! - აკაკი ასათიანს მიაჩნია, რომ პოლიტიკოსს, პრეზიდენტიც რომ გახდეს, ამაზე მეტის მიღწევა არ შეუძლია... თუმცა, აგერ რამდენი წელია, პოლიტიკაშია და ცდილობს, იბრძოლოს. საქართველოში კი, მოგეხსენებათ, ტყუილად არავინ არასდროს და არავისთვის ირჯება...

აკაკი ასათიანი

მაია ჭალაბანიძე

- ბატონო აკაკი, უკვე პრეზიდენტიც არ მალავს, რომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ანტაგონისტური დამოკიდებულებაა...

- ძნელი გამოსაცნობია, რას ამბობს და რას გულისხმობს ჩვენი პრეზიდენტი. ქვეყანაში ყველა მიმართულებით კრიზისია. ენერგეტიკული კრიზისი მხოლოდ ამ საერთო ვითარების გამოხატულებაა. თუ თვალს გავახელთ და რეალობას გავუსწორებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ სინამდვილეში ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავს. ჩვენ ხშირად ვხმარობთ ამ სიტყვას - მთავრობა, ხელისუფლება. სინამდვილეში კი ქვეყანას მართავს ადამიანთა ჯგუფი, რომელთა შეკრებაც მოგვაგონებს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებს ბრიგადირებისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მონაწილეობით. გარწმუნებთ, მთავრობა არ არსებობს.

პარლამენტი სხვა რეალობაა. ის საზოგადოების, ერთგვარად, გამრუდებული სარკეა. როგორც საზოგადოებაა დეზორგანიზებული, ისეა პარლამენტიც.

- როგორი ურთიერთობა აქვს ამ არარსებულ მთავრობას მრუდე პარლამენტთან?

- არანაირი. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ერთადერთს ცდილობენ - არ დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი და სკამები შეინარჩუნონ. ეს ეხება მინისტრებსაც, სახელმწიფო მინისტრსაც, პრეზიდენტსაც... მათი ერთადერთი ამოცანაა, თავი არჩევნებამდე მიიტანონ. მათი მიზანია, მოიგონ ყოველი დღე - დილით ცდილობენ, საღამომდე დარჩნენ, საღამოს - დილამდე. ეს არის მთავრობის ამოცანა და თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, მთავრობის სხდომებს უყუროს. ოცამდე სამინისტროა და რომელიმე მათგანის წარმატებებზე საუბარი ზედმეტია. თუმცა, გვარწმუნებენ, რომ წინსვლა არსებობს. აკეთებენ მოხსენებებს, რომ ქვეყანაში წარმატებების ქარიშხალია... ასეთივეა პრეზიდენტის ორშაბათის ინტერვიუები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ -ეს უცხოპლანეტელის პასუხებია.

- პარლამენტის დისკრედიტების ახალი, მძლავრი ტალღა უკავშირდება თუ არა მხოლოდ არჩევნებს?

- შეიძლება, დისკრედიტების მცდელობა აღმასრულებელ ხელისუფლებას, მართლაც, ჰქონდეს, მაგრამ აღმასრულებლებს ამხელა ჭკუასა და შესაძლებლობებს ვერ დავაბრალებ. ეს პარლამენტარების ბრალია. არჩევნები ახლოვდება. ზოგიერთ პარტიას პოპულარული განცხადებებით უნდა ფონს გასვლა, ზოგი - ფარდის მიღმა მოქმედებას არჩევს, ზოგი - ინდეფერენტულია. პარლამენტმა ყველაფერი თავის თავს უნდა დააბრალოს. საბჭოთა პერიოდიდან მოგვდგამს, რომ თავად არ ვაგებთ პასუხს ამ ქვეყანაზე. ამას რიგით მოქალაქეებს ვთხოვთ, მაგრამ პარლამენტში და მთავრობაში თავმოყრილი პოლიტიკური ელიტა ქვეყნის ბედ-იღბლის მიმართ თავად იჩენს სრულ უპასუხისმგებლობას. ალბათ, აღარ დარჩა ადამიანი, ვინც არ ფიქრობდეს, რომ ეს ვითარება სრული კატასტროფით დასრულდება. რამდენიმე თვეში, ამ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დეფოლტი გველის. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება არჩევნების წინ, არჩევნების დროს და მერე...

- თუ ჩატარდა...

- თუ არ შედგა, დიდი ნაწილი კმაყოფილი იქნება, თუმცა, ტანზე შემოიხევენ - რას ჰქვია, არჩევნები არ შედგაო... ეს მოჯადოებული წრეა.

- მიზეზებს ხომ ვერ დაასახელებთ?

- მარტივია. სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან ვერავინ ვერაფერს შეძლებს. ამ თანამდებობაზე დამტკიცებისას, ჯორბენაძეს მინისტრთა კაბინეტის შექმნის საკითხი წავუყენეთ. მან თქვა, რომ ორი წელი ამაზე არც უნდა გვეფიქრა - ახლა ის შედეგებს იმკის. ის მხოლოდ ერთ-ერთი მინისტრია. თავად მინისტრები და პრეზიდენტი ბლოკავენ იმას, რომ ის მინისტრების უფროსი გახდეს. ჯორბენაძე შევარდნაძეს პიანინოს მაღალ სართულზე ასატანად სჭირდებოდა. მან კი ამ პიანინოზე დაკვრა მოინდომა. ეს პრეზიდენტს არ მოეწონა. პიანინოზე მხოლოდ შევარდნაძე უკრავს.

- ჯორბენაძემ, თითქოს, მტკიცედ დაიწყო. რაღაცეების შეცვლა მოინდომა. ერთ ხანს, პრეზიდენტის ოჯახის ფავორიტიც გახდა. ფიქრობთ, რომ ისიც შევარდნაძის ჩვეული სტილის მსხვერპლია?

- ვისაც დაარქვა შვილი, ან მემკვიდრე - ყველას ერთნაირი ბედი ერგო. მხოლოდ ლეკიშვილისთვის არ დაუძახია "შვილოო", თუმცა, ის თავად წავიდა. იმპერატორთან დაახლოებულ პირებს, უკეთეს შემთხვევაში, პარლამენტის სავარძელში, ან ელჩად ვხედავთ. როგორც კი ჟვანიას პრემიერ-მინისტრი და მემკვიდრე უწოდა, წამსვე გადაკიდა ყველა. ჟვანიამ მაშინ ეს დაიჯერა. ავთანდილმაც დაიჯერა... ეს არის განაჩენივით. იმით ვარ ბედნიერი, რომ პრეზიდენტს ჩემთვის შვილი არ დაუძახია და, მით უფრო, მემკვიდრე.

- ბრძანეთ, რომ პარლამენტი საზოგადოების სარკეა. მაგრამ, საზოგადოებამ თავის რჩეულებს მანდატი იმისთვის არ მისცა, რომ მათ საკუთარი თამაშები აწარმოონ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძოლონ...

- მართალია. ამ პარლამენტში სერიოზული საკითხები არავის აინტერესებს. ჩვენ გვაქვს რამდენიმე კანონპროექტი, რომელიც, ჩვენი აზრით, ვითარების შეცვლის შესაძლებლობას შექმნის. ორი-სამი წელია, საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ვიბრძვით. პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების საკითხს რომ ვაყენებდით, არავინ ფიქრობდა, რომ მე, ანუ 14 კაციანი ფრაქციის თავმჯდომარეს, ამ თანამდებობის იმედი მექნებოდა. ჩემი კერძო დაინტერესება ეს არ იყო. ხომ შეიძლებოდა, პარლამენტში 120 ადამიანი მაინც გამოჩენილიყო, ვინც ამ საქმეს დაიწყებდა და პასუხისმგებლობას აიღებდა - მხოლოდ სისტემის ცვლილებისთვის, თორემ მინისტრებს მაინც პრეზიდენტი წარმოადგენდა.

ჩვენ რეგიონალიზმის იდეაც წამოვაყენეთ. ვხედავთ, რომ თავად აღმასრულებლებს აქვთ გუბერნატორების პრობლემა. მათ პრეზიდენტი თვითონ უშვებს ჯანდაბაში. ხომ შეიძლებოდა, გვემსჯელა ამ საკითხზე. გაგვერკვია - რეგიონიზებული უნდა ვიყოთ, ფედერალური თუ უნიტარული... მართალია, პრეზიდენტის დამოკიდებულება არადეკვატურია და მას დანიშვნის უფლების დაკარგვა არ სურს, მაგრამ ეს ხომ ერთი კაცია. არც ხალხის 235 რჩეული მსჯელობს ამ საკითხზე.

- გარედან, მართლაც, ძალზე მძიმე საყურებელია პარლამენტი. თქვენ შიგნით ხართ. იქნებ ახსნათ, რატომ ხდება ასე?

- მეც გარედან ვუყურებ. არ მინდა, რომ სხდომათა დარბაზში ვიჯდე.

- დიახ, სულ უფრო იშვიათად ჩნდებით სხდომებზე, რატომ?

- სწორედ მაგიტომ - გარედანაც ჭირს ყურება და შიგნით მით უფრო აუტანელია.

- ვერ ცვლით ვერაფერს?

- თავი შედარებით ნორმალურ ადამიანად მიმაჩნია. იქ არ არის მსჯელობა იმ საკითხებზე, რაც ნორმალურ ადამიანს შეიძლება აინტერესებდეს. მე არ მაინტერესებს, რაზეც იქ საუბრობენ.

- პრეზიდენტმა ვეტო დაადო სახელფასო მინიმუმის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საკითხს, რომელსაც თქვენ მხარი დაუჭირეთ. როგორ წავიკითხოთ მისი ეს გადაწყვეტილება?

- ეს საკითხიც პოლიტიკურ თამაშამდე დავიდა - მოდი, მათი არ გავიდეს... პარლამენტში სამთავრობო ძალები არ არსებობს. ეს არის ხალხის ჯგუფი, რომელიც ისე უჭერს მხარს შევარდნაძეს, არც კი ფიქრობს, სწორია თუ არა. სხვათა შორის, ეს კაცის ერთგულება არ მგონია. მხოლოდ ძალლია კაცის ერთგული. ადამიანი იდეის, საქმის, ქვეყნის ერთგული უნდა იყოს. პრეზიდენტისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ არ ჰყავს უმრავლესობა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ არც იცის, რა უნდა. ხომ ხედავთ, რა ხდება - საკრებულო და მერია, ცენტრი და რეგიონი ერთმანეთთან იბრძვიან... იმიტომ, რომ ვითარება გაურკვეველია და ეს ამ მთავრობისთვის იდეალურია. ენერგეტიკის მინისტრი ვერ გვეუბნება, რატომ არ არის დენი, ის მიმომხილველივით საუბრობს....

- "ტრადიციონალისტებმა" გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო და ენერგეტიკის მინისტრების იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება მოითხოვეს. რეალურად რისი იმედი გაქვთ?

- ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ზღვარი უნდა გაიკვლოს. ეს არ იქნება მორიგი თამაში. საქართველოში ადამიანებს ერთადერთი რამ აწუხებთ - თანამდებობის დაკარგვა, სხვა არაფერი. დღეს ისეთი კანონმდებლობაა, რომ სულ რომ დააქციოს ქვეყანა მინისტრმა, თუ ის პრეზიდენტს მოსწონს, ხელსაც ვერავინ ახლებს. იმპიჩმენტი რთულია, არც მთავრობა არსებობს და არც მისი გადაყენების მექანიზმი. ამიტომ, ჩვენ ამ გზას მივყვებით: ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო მინისტრს აქვს აღებული. მესმის, რომ მას ამდენი უფლებები არ გააჩნია, მაგრამ რატომ იღებდა ამ პასუხისმგებლობას? ეს პრეზიდენტის ბრალია, მაგრამ ენერგეტიკის მინისტრი აგებს პასუხს იმაზე, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში, მთელი ქვეყანა და ნახევარი დედაქალაქი ჩაბნელებულია მაშინ, როცა დაბომბილი ბაღდადი და ბასრა - გაჩახჩახებული.

- ერთი შეხედვით, ამ ვითარებაში ოპოზიციის უკვე მითად ქცეულ გაერთიანებას ხელს არაფერი უნდა უშლიდეს. რატომ ჭიანურდება და რა სტადიაშია კონსულტაციები?

- ჩვენ "ნაციონალურმა მოძრაობამ" შემოგვთავაზა გაერთიანება და კონსულტაციებიც გვქონდა. არის რამდენიმე გრემოება, რაც ამ ეტაპზე დასაზუსტებელია. ამიტომაა დაკონსერვებული ეს კონსულტაციები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაერთიანება ფუძემდებელი პრინციპების გარშემო უნდა მოხდეს - საარჩევნო სტრუქტურა, ტერიტორიული მოწყობა, აფხაზეთის საკითხი, საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური კურსი. მეც ვარ გადასახადების შემცირების მომხრე, ოღონდ არა იმ გზით, რაც ახლაა შემოტანილი. ეს საგადასახადო კოდექსი ბიუჯეტს ნულზე დასვამს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს თანამოაზრეთა გაერთიანება. ჩვენ, "ერთობა", "ლეიბორისტები" - ვერ გავერთიანდებით, რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე სხვადასხვა მოსაზრებები გვაქვს. არ მესმის ზოგიერთის განცხადება იმის თაობაზე, რომ საარჩევნოდ მთავარია მაღალრეიტინგიანი პარტიების გაერთიანება და არა თანამოაზრეობა...

- ვინ არის ასეთი?

- იგივე "ნაციონალური მოძრაობა"... საარჩევნო ბლოკი პრობლემის გარშემო უნდა შედგეს. როცა "აღორძინების" ბლოკი შედგა, "აღორძინებას" მაშინ პროგრამა არ გააჩნდა. ეს იყო ტიპური საარჩევნო ბლოკი, რომელიც მხოლოდ იმ მიზნით შეიქმნა, რომ ოპოზიცია პარლამენტში შესულიყო. "მოქკავშირი" მაშინ ისე იქცეოდა, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა. ხომ ნახეთ, "ლეიბორისტებმა" გადალახეს 7 პროცენტიანი ბარიერი და რა გაუკეთეს?!

- გაერთიანების გარდა რა შეიძლება დაუპირისპიროს ოპოზიციამ სახელისუფლო ძალებს? ნუთუ არც ოპოზიციას აქვს საერთო, როგორც თქვენ უწოდებთ, ძირეული პრინციპები?

- ოპოზიცია არის მრავალგვარი. მე ვერ ვიქნები იმ პრინციპის მომხრე - "ოღონდ შევარდნაძე არ იყოს"... არ შეიძლება პოლიტიკოსი აქამდე დავიდეს. შევარდნაძე 2 წლის მერე თავისთავად აღარ იქნება. ეს პირადი დამოკიდებულებებია. შევარდნაძესთან არანაირი პირადი პრობლემა არ მაქვს. არ მომწონს მისი მმართველობა და მინდა, შეიცვალოს ამ მმართველობის პრინციპები. უნდა ვიცოდეთ, როგორი იქნება მთავრობა, ვინ იქნებიან მისი წევრები. არ მინდა, მინისტრებად ისეთი ადამიანები ვიხილო, ვისაც არც კი ვიცნობ.

- რა შანსები აქვთ "ტრადიციონალისტებს" დამოუკიდებლად?

- ჩვენ არ დავიკარგებით. უკვე 13 წელია, ვარსებობთ. ჩვენს პრინციპებს საზოგადოებასაც და გარკვეულ პარტიებსაც შევთავაზებთ.

- საზოგადოება გასაგებია, ვინ იქნებიან ის პარტიები?

- მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგი გაერთიანება შემდეგი ოთხეული იქნებოდა - "ნაციონალები", "დემოკრატები", "ახლები" და ჩვენ. ერთმანეთთან დამოკიდებულების მიუხედავად, ერთი მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციებია. ეს გაერთიანება, ჯერ-ჯერობით, რეალობისგან შორს არის....

ჩვენი პარტიის ამოცანა პარლამენტში ყოფნა არ არის. არაერთ პარლამენტში ვიყავით. ჩვენთვის მაშინ ღირს ბრძოლა, როდესაც ვიბრძვით დამოუკიდებლობისთვის, რეფორმისთვის - ეს ყველაფერი დაიწყო, მაგრამ შეფერხდა...

- ოპოზიციის გაერთიანების დაკონსერვების მიზეზი არის რაიმე გარიგება, ვერმორიგება?..

- გარიგება სალანძღავი სიტყვა არ არის. პოლიტიკური გარიგება, მორიგება და შეთანხმება - ყოველთვის ხდება. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ "ნაციონალები" ფიქრობენ, შეიქმნას დიდი ფრონტი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირიქით. ხომ ხედავთ, ამერიკელები ერაყში ფრონტით არ იბრძვიან. კონცენტრირებული ძალა შექმნეს და ასე მიიწევენ მიზნისკენ. ისინი მთელ ქალაქებს არ იკავებენ. რუსები პირიქით მოიქცეოდნენ - როგორც ჩეჩნეთში და ამდენ ხანს გაუგრძელდათ ომი.

ბაღდადამდე 10 კილომეტრი დარჩა. დიდი ფრონტით რომ ებრძოლათ, საზღვარზეც ძლივს იქნებოდნენ გადასულები... ანუ, ჩვენ გვჭირდება შეკრული, იდეით გაერთიანებული, პროგრამაზე შეთანხმებული გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს და საქმეს გააკეთებს. ჩვენ ზვიადის დროს ქვეყნის დამოუკიდებლობის ბედი გადავწყვიტეთ, მაგრამ იყვნენ მინისტრები, რომელთა არსებობაც არ ვიცოდი.

- პირველ დამოუკიდებელ ხელისუფლებასთან თუ გავავლებთ პარალელს - რა საერთო აქვს დღევანდელ ვითარებას და რა განასხვავებს?

- პრინციპული განსხვავება ის იყო, რომ ხალხს უბედურების გამოცდილება არ ჰქონდა. არ იცოდნენ, რა მოჰყვებოდა ხელისუფლების ძალით დამხობას. მეც ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი იმ ხელისუფლებას, მაგრამ ძალადობის პრინციპული წინააღმდეგი ვიყავი. მაშინ ხელისუფლებას რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები შევთავაზეთ და, სამწუხაროდ, ჩვენივე პარტნიორებმა "მრგვალი მაგიდიდან" არ დაგვიჭირეს მხარი. ვფიქრობ, ეს ძვირად დაუჯდა ხელისუფლებას და, რაც მთავარია, ქვეყანას... არჩევნები საქმეს ომამდე არ მიიყვანდა.

დღეს გამოცდილება თითქოს მეტია, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს თავიდან ავირიდოთ. ხელისუფლება ყოველთვის თვითონ აგებს.

- სამწუხაროდ, ხელისუფლებასთან ერთად ქვეყანაც წააგებს...

- ქვეყანა დღესაც ვერ გამოსულა იმ მდგომარეობიდან. ამიტომაც, ოპოზიციის ამოცანა შევარდნაძის დამხობა კი არ უნდა იყოს, არამედ - რას ვაკეთებთ შევარდნაძის წასვლამდე, და რაც მთავარია, მერე...

- ის "მერე" რომ დღეს დადგეს, ოპოზიცია მზადაა ხელისუფლების ასაღებად?

- ვფიქრობ, რომ ასეთ მომენტში მას აღმოაჩნდება უნარი კონსოლიდაციისა და ეს ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევნებზე დადასტურდა.

- როგორ გგონიათ, ოპოზიციის გაერთიანების შეფერხება კანცელარიიდან მოდის?

- არა. დამიჯერეთ, კანცელარია არ არსებობს. ეს არის ვირტუალური სამყარო, გამოხმობილი აჩრდილები... კომპიუტერული თამაშია, სადაც სუპერმარიო პრეზიდენტია, მინიმარიო - ჯორბენაძე. სხვა მარიოებიც დარბიან და შევარდნაძე ამ კომპიუტერით თამაშობს.

- როგორ გგონიათ, ვინ გადალახავს საარჩევნო ბარიერს დამოუკიდებლად?

- პარტია "აღორძინება".

- თქვენ ბლოკში აღარ ხართ...

- ფაქტობრივად, არა, მაგრამ ეს ბლოკი საარჩევნოდ შეიქმნა და მომავალ არჩევნებამდე იარსებებს.

- ისევ იქ გაერთიანდებით?

- ჯერ ამაზე საუბარი ადრეა.

- ბლოკ "აღორძინებას" დეკლარაციაში უწერია: "ნებისმიერი მოტივით მისი რიგებიდან გასვლა და არააქტიური პოზიცია მისი ლიდერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში მიჩნეული იქნება ქვეყნისა და საქართველოს მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად"... თქვენ ერთ-ერთი ხელის მომწერი იყავით. რას ნიშნავს ეს დებულება?

- ჰკითხეთ მის შემდგენლებს... მე ეს ვიკითხე და ვერ მიპასუხეს... რჩეულიშვილმა კარგად ჰკითხა - თქვენ რომ გადაუხვიოთ გზიდანო?

მიმაჩნია, რომ იგივე რჩეულიშვილი, თავად პარტია "აღორძინება", რომელმაც უმრავლესობასთან ერთად კომიტეტები გადაინაწილა - გავიდა ოპოზიციიდან. მე შემოვედი და ისევ ოპოზიციაში ვარ... "აღორძინებამ" რამდენიც უნდა, იკითხოს ეს დეკლარაცია და გაერთოს საღამოობით...

- რადგანაც რჩეულიშვილს შევეხეთ... პარლამენტმა დაკარგა ქმედუნარიანობა, სამაგიეროდ, შეიძინა ისეთი ფიგურები, როგორიცაა რჩეულიშვილი, ხაზარაძე... რა როლს თამაშობენ ისინი საერთო თამაშში?

- რასაც ხედავთ, ეგ არიან. რჩეულიშვილის უკან არაფერი იგულისხმება - რასაც ამბობს, ეგ არის. მიუხედავად იმისა, რომ თავს გამოხტომების უფლებას აძლევს, რჩეულიშვილზე ვერ ვბრაზობ...

- ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება აქვს ყველას, მაგრამ ის რეალურად, ვიცე-სპიკერია და ხვალ შეიძლება სახელმწიფო მინისტრადაც ვიხილოთ...

- ვიცე-სპიკერობაზე პასუხი "აღორძინებამ" მოსთხოვოს... ერთმანეთში არკვიონ. მე რომ მჯეროდეს, რომ საქართველოს მთავრობა სულ ეგეთი ხალხით დაკომპლექტდება, ხელი უნდა მქონდეს ჩაქნეული ჩემს ქვეყანაზე. საქართველოზე კი ხელს ვერაფერი ჩამაქნევინებს. ისტორიამ დაამტკიცა - ამ ქვეყანას ვერაფერი მოერევა, ვერც შევარდნაძე... ეს ხელისუფლება, სინამდვილეში, ამ ქვეყანას ებრძვის.

- ისე, რატომ ვერ მოგვერევა ვერავინ?

- მტერი ვერასდროს ვერ გაიგებს ჩვენს გეგმას და იცით, რატომ? გეგმა არ გვაქვს. სწორედ ეს გადაგვარჩენს.

- ერაყის ომს გვერდს ვერ ავუვლით... სად იქნება საქართველოს ადგილი ამ ომის შემდეგ?

- ნორმალური ქვეყანა რომ ვიყოთ, ამ ყველაფრის გაკეთება ომამდეც შეიძლებოდა. აშშ-მ ომი უნდა მოიგოს, რადგან ის მართალი საქმისთვის იბრძვის - თქვენთვის, ჩვენი ოჯახებისთვის. მე ვერ ვიქნები მუდმივად იმის შიშში, თუ რა ხასიათზე გაელვიძება გიჟს, რომელიც ჩემგან 600 კილომეტრის რადიუსზეა. ჰუსეინს ერთ წელიწადში ექნებოდა რაკეტა, რომელიც ამ საზღვარს გადალახავდა. ამერიკა ჩვენს უსაფრთხოებასაც იცავს. ეს, აგრეთვე, ჩვენი არჩევანიცაა - თუ საით ვართ... მაგრამ, ამ ომის შემდეგ არაფერი მოხდება. უბრალოდ, განვუცხადებთ ამერიკას - მხარი დაგიჭირეთ და თქვენ 100 მილიონი მოგვეცით, ბიუჯეტში გარღვევა გვაქვსო...

- ეს ფული კი ისევ იქ წავა, სადაც აქამდე მიდიოდა...

- ეს მე არ მითქვამს, ეს თავად თქვით...

- როგორ აიგება ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან ამ ომის შემდეგ?

- თავი უნდა დავანებოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე მსჯელობას. ამ თაობის ქართველი და რუსი პოლიტიკოსები ერთმანეთს ვერ გაუგებენ, რადგან ამ უკანასკნელთ საქართველო რუსეთის ავტონომია ჰგონიათ. უნდა გამოვიდეთ დსთ-დან. რუსი ჩვენი არსებობითაც კი გაღიზიანებულია. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას პირად შეურაცხყოფად იღებენ. რა თქმა უნდა, არის ინტელიგენცია, ვინც ასე არ ფიქრობს, მაგრამ ის ხელისუფლებაში ვერ მოვა...

- ინტელიგენცია ხელისუფლებაში არც უნდა მოვიდეს...

- მართალი ბრძანდებით, ეს სიტყვა საბჭოეთშია შექმნილი. უფრო სწორია - ინტელექტუალები... ისინი ვერც საქართველოში მოდიან ხელისუფლებაში... აშშ-ს თავდაცვის მინისტრს ხუთი წიგნი აქვს დაწერილი, საქართველოში იცის ეს ვინმემ?

- ჩვენი თავდაცვის მინისტრიც არის წიგნის ავტორი...

- მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაძუნწია, თევზაძე განათლებული კაცია...

უნდა გამოვიდეთ დსთ-დან, უნდა გავიყვანოთ ბაზები, რუსი სამშვიდობოები უნდა გავიდნენ აფხაზეთიდან და დამაჯერებელი გარანტია უნდა მივცეთ, რომ აფხაზეთს არ დავესხმებით და რეალურ მოლაპარაკებებს გავმართავთ. რუსები ამბობენ, რომ ჩვენ აუცილებლად ვიომებთ და ჩვენი პრეზიდენტიც ეთანხმება...

ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს მარტივი ჭეშმარიტება, რომ ვადის გახანგრძლივებით ყველაფრის დაკარგვის საფრთხეს იახლოებს... მე ეს ვნახე - ვინც დინების წინააღმდეგ მიდის, ცუდად ამთავრებს.

- მაშინ თქვენ რა დაკარგეთ?

- ისეთი არაფერი... თანამდებობა ჩემთვის ახალი ამბავი იყო და სიმართლე გითხრათ, დილით სამსახურში მისვლაც მეზარებოდა, იმდენი მთხოვნელი მყავდა... მე არა, მაგრამ ჩემმა ქვეყანამ კი დაკარგა. ხელისუფლებამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ მშვიდობიანად, არჩევნებით წავიდეს.

ერთი-ორი ჭიქით კოლეგებთან ერთად

"თეატრი+ვიდეო" გაიმართება, ოღონდ დაგვიანებით

თამარ სუხიშვილი

თეატრის საერთაშორისო დღე – 27 მარტი, 1962 წელს ორგანიზაცია ITI-მ (თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი) დააარსა. ამ ორგანიზიაციასთან საქართველოც თანამშრომლობს. კატალოგში, რომელიც პარიზში, ITI-ს სათავო ოფისში, წელიწადში ოთხჯერ იბეჭდება და რომელიც მთელი მსოფლიოს თეატრალურ მოვლენებს აშუქებს, ჩვენი ქვეყნის თეატრალური ცხოვრების სურათიც აისახება (წელს უკვე გამოვიდა ერთი ნომერი, მორიგი ნომერი ივნისში დაიბეჭდება). ამ ინფორმაციას (ყოველგვარი შეფასების გარეშე) საქართველოდან ITI-ს წარმომადგენლები - ავთო ვარსიმაშვილი და ლევან ხეთაგური აწვდიან. "ეს ძალიან მნიშვნელოვანია, კატალოგს მთელი მსოფლიოს თეატრალები ეცნობიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი საქმის კურსში არიან, იციან, რა ხდება საქართველოში, რამდენი თეატრია, როგორ მუშაობენ, რა სპექტაკლები იდგმება, როდის არის ესა თუ ის პრემიერა, – გვეუბნება რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი, - ჩვენ ძალიან საინტერესო ქვეყანა ვართ, მოგეხსენებათ, ამ პატარა ქვეყანაში 47 თეატრია და აქედან თითქმის ნახევარი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს; პატარა ქვეყნისთვის ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია."

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტთან საქართველოს თანამშრომლობა უკვე ხუთი წელია გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ტარდება თბილისში ავთო ვარსიმაშვილისა და ლევან ხეთაგურის თაოსნობით თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ვიდეო-თეატრალური ფესტივალიც – "თეატრი+ვიდეო".

ფესტივალი, რომელსაც დიდი ინტერესით ელოდა ქართველი მაყურებელი, დღეს არ გაიხსნება. "თეატრი+ვიდეო" დროებით გადაიდო. მიზეზი, რაღა თქმა უნდა, უფინანსობაა. თუმცა ორგანიზატორებს ფინანსების მოზიდვის იმედი აქვთ და გვარწმუნებენ, რომ წელს თეატრის ქართველი გულშემატკივარი იმედგაცრუებული არ დარჩება, თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი აუცილებლად გაიმართება, ოღონდ ცოტა მოგვიანებით – ასე ორიოდე კვირის შემდეგ. "არ გვინდა, რომ ტრადიცია დაირღვეს," - ამბობს ავთო ვარსიმაშვილი. დღეს კი რეჟისორი დილას გრიბოედოვის თეატრში ჩაატარებს რეპეტიციას, საღამოს თავისუფალ თეატრში სპექტაკლის დაწყების წინ მიულოცავს მაყურებელს, მერე – ერთ-ორ ჭიქას აწევს კოლეგებთან ერთად...

ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პირველი ლაურეატები

შვედეთის ქალაქ ვიმერბიუში ასტრიდ ლინდგრენის სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის პირველი ლაურეატები გამოვლინდნენ. პრემიებით დაჯილდოვდნენ ავსტრიელი მწერალი კრისტინ ნესტლინგერი და ამერიკელი მხატვარ-ილუსტრატორი მორის სენდაკი.

როგორც ჟიურიმ აღნიშნა, ნესტლინგერის პროზა სითბოთი და იუმორითაა სავსე, ხოლო ამერიკელმა მხატვარმა არაჩვეულებრივად განავითარა წიგნის დასურათების თხრობითი მანერა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 4 ივნისს სტოკჰოლმში გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას ტახტის მემკვიდრე პრინცესა ვიქტორიაც მიიღებს.

შვედეთის მთავრობამ პრემია დააწესა საბავშვო ლიტერატურის განვითარების და მხარდაჭერის მიზნით. დაწესებული ფულადი ჯილდო 5 მილიონი შვედური კრონი (დაახლოებით 450 ათასი ევრო) კი ყველაზე დიდია საბავშვო ლიტერატურის სფეროში.

ამიერიდან კონკურსი ყოველ წელს ჩატარდება და დაჯილდოვდებიან მწერლები, მხატვრები ან ოგრანიზაციები, რომლებიც კითხვას აყვარებენ ბავშვებს.

კონიუნქტურული MTV

MTV Europe-ს ადმინისტრაციამ საგანგებო სიები შეადგინა თავისი თანამშრომლებისთვის, თუ რომელი ვიდეოკლიპები არ უნდა გაუშვან ეთერში ომის პერიოდში. "არასასურველ" კლიპებს შორის მოხვდა: "აეროსმიტის" Don't Want To Miss a Thing, სადაც გამოყენებულია კადრები ფილმიდან "არმაგედონი"; "რედიოჰედის" Lucky ამ სიაში ბუნებრივია მოხვდებოდა, კლიპში ხომ მუსიკოსები ღიად აცხადებენ საკუთარ პროტესტს ერაყის ომის წინააღმდეგ; აიკრძალა კლიპები, სადაც ფიგურირებს საომარი ტექნიკა, კადრები კატასტროფებიდან, საპროტესო დემონსტრაციები და ა.შ.

უკანასკნელი წვეთი REM-თვის

REM მორიგი ჯგუფია, ვინც ჯორჯ ბუშის მცდელობებს, დაიწყოს მესამე მსოფლიო ომი, შეეწინააღმდეგა. ამ დღეებში მუსიკოსებმა ახალი სიმღერა The Final Straw წარუდგინეს მსმენელს.

სიმღერის ტექსტი იწყება სიტყვებით: "მე ვწევს თავს, რათა პროტესტი გამოვხატო. შენი უკანასკნელი ტრიუმფი, უკანასკნელი წვეთია. გახსოვს ადამიანები, რომელთა სიკვდილის ფასადაც შენსას მიაღწიე?" "ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვეძლო", - ამბობს მაიკ სტაიპი. სიმღერა კი საკმაოდ პესიმისტურად მთავრდება: "ასე არ გამოვა. ახლა მე აღარაფრის მჯერა. თუკი მსოფლიოც ასეთია, მაშინ მე ვაპროტესტებ".

კალენდარი

27 მარტი

ფრანგი მსახიობის, დანიელ ჟელანისა და რუმინელი იმიგრანტის ქალიშვილმა, მარია შნაიდერმა, ისევე, როგორც მრავალმა სხვა მსახიობმა, თავის კარიერა მოდელობით დაიწყო. მისი კინოდებიუტი 1969 წელს შედგა, ფილმში "ქალები", სადაც მთავარ როლს ბრიჯიტ ბარდო ასრულებდა.

ერთი წლის შემდეგ ალენ დელონმა როჟე კოხანის "მადლის" გადაღება დააფინანსა, რომელშიც ის თავად თამაშობდა მირეი დარკთან ერთად. ახალგაზრდა საყვარლის როლზე მარია შნაიდერი იყო მოწვეული.

"მადლის" "შინაბერაში" შესრულებული პატარა როლი მოჰყვა, 1972 წელს კი ახალგაზრდა მსახიობი თვით ბერტოლუჩიმ მიიწვია "პარიზის უკანასკნელ ტანგოში" მთავარი როლის შესასრულებლად. ამ როლმა მსახიობს მსოფლიო აღიარება მოუტანა. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მსახიობს, ისევე, როგორც მის გმირს, 20 წლის ჟანას, თითქოს ბოლომდე არ ესმოდა იმ უცნაური ურთიერთობის არსი, რომელიც მარლონ ბრანდოს გმირთან აკავშირებდა, ამიტომ ის დამაჯერებლად და ბუნებრივად თამაშობდა. გარდა ამისა, შნაიდერის სამსახიობო ხელოვნება იმ დროისთვის სკანდალური ეპიზოდების შესრულებით არ შემოიფარგლებოდა – მან სერიოზული მაყურებლის მოხიბვლაც შეძლო თავის მიამიტი ტემპერამენტითა და ამავე დროს ცივი ნიჰილიზმით.

ამ ფილმის შემდეგ, "სექსუალური მეამბოხის" იმიჯის მქონე შნაიდერს სხვა მნიშვნელოვანი ევროპელი რეჟისორებიც იწვევდნენ მთავარი როლების შესასრულებლად: მიქელანჯელო ანტონიონის "პროფესია: რეპორტიორში" ის ჯეკ ნიკოლსონს უწევდა პარტნიორობას, რენე კლემანმა კი 1975 წელს "ძიძაში" გადაიღო.

მართალია, ბრწყინვალე დასაწყისის შემდეგ მარია შნაიდერის კარიერას მაინცდამაინც წარმატებულს ვერ ვუწოდებთ: თუმცა მისი სახელი მრავალი ფილმის ტიტრებში ჩნდება, "პარიზის უკანასკნელი ტანგოს" ბადალი როლი მან ვეღარასოდეს შეასრულა.

მარცხი მარცხს მოჰყვებოდა. ლუის ბუნუელის უკანასკნელ ფილმში, "სურვილის ბუნდოვანი ობიექტი", შნაიდერს მთავარი როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ მსახიობს რეჟისორთან კონფლიქტი მოუვიდა და მისი გადაღებები, შესაბამისად, აღარ შემდგარა. უკანასკნელი იმედი შნაიდერს 1982 წელს გაუჩნდა, როცა ტრაგიკომედიაში "იესოს ძიებაში" უცნაური გოგოს, ფრანჩესკას სახე უნდა შეექმნა, მაგრამ ამ როლს მის გამარჯვებას ვერავინ უწოდებს.

მიუხედავად ამისა, მარია შნაიდერი კინოში მოღვაწეობას განაგრძობს და ევროპულ ფილმებში კვლავაც სახასიათო როლებს ასრულებს.

ფრანგი მსახიობი, **მარია შნაიდერი**, დაიბადა 1952 წლის 27 მარტს.

მაკა ასათიანი მხატვრულ ფილმში

ნინო ჭანიშვილი

მაკა ასათიანი

გიორგი ბაბაურის ფოტო

8-დან 14 აპრილამდე მოსკოვში, რუსეთის სამხატვრო აკადემიის შენობაში "რუსეთის მოდის კვირეული" გაიმართება. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დიზაინერები 2003/2004 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებს წარმოადგენენ. საქართველოდან ჩვენებაზე კომპანია მაკა ასათიანია მიწვეული, რომელიც 30 მოდელისგან შემდგარი კოლექციით 10 აპრილს წარსდგება მოსკოვური პუბლიკის წინაშე. მაკა ასათიანმა ამავე კვირეულზე გასულ წელს გაზაფხულის კოლექცია წარმოადგინა, რომელიც რუსულმა პრესამ საკმაოდ საინტერესოდ შეაფასა: "კოლექციაში ნაციონალური მოტივები და მოდური ტენდენციები იყო გაჯერებული".

ბოლო წლების მანძილზე მოსკოვში თითქმის ერთდროულად მაღალი მოდის სამი სხვადასხვა კვირეული იმართება ხოლმე, როგორც კომპანია "მაკა ასათიანის" პრომოუტერი ვანიკო თარხნიშვილი ამბობს: "რუსეთის მოდის კვირეულმა შარშან შემოდგომაზე საუკეთესო დიზაინერები მიიწვია, რითაც დანარჩენი კვირეულები დაიჩრდილა, ეს ჩვენებები 25-მა სერიოზულმა ჟურნალმა გააშუქა. ამიტომ წელს ამ ჩვენებისთვის განსაკუთრებით ვემზადებით, დროებით შეწყვეტილი მაქვს სხვა პროექტებზე მუშაობა და მთლიანად ამაზე ვარ გადართული. გარდა ჩვენებისა გვექნება შეხვედრა Fashion Week-ის საერთაშორისო კომიტეტთან თბილისში მოდის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით".

17 აპრილს კი კომპანია "მაკა ასათიანი" კიევში მიემგზავრება. კიევში მოდის ჩვენებასთან ერთად გაიმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და კონცერტები. "ამ კვირეულის პრომოუშენისთვის ძალიან დიდი ინვესტიციებია ჩადებული, აქ ჩამოვლენ ექსპერტები, კონსულტანტები, შოუ-ბიზნესის პრომოუტორები, გარდა ამისა ამ ღონისძიებაზე არის ცალკე პროგრამა "სპეციალური სტუმრები", სადაც ალიონა ახმადულინასთან, იუდაშკინთან, სანდრა სტრაუკაიტესთან ერთად მაკა ასაათიანიც მიწვეულია" - ამბობს ვანიკო თარხნიშვილი.

ბოლო ხანებში მაკა ასათიანის სახელი არამარტო მოდის სამყაროსთან ასოცირდება, ცოტა ხნის წინ იგი საქმინიანი ქალის იმიჯითაც მოგვევლინა. უახლოეს მომავალში კი მაკა ასათიანი შეიძლება ახალ ამპლუაში – მსახიობის როლშიც ვიხილოთ. კინოსტუდია "ქართული ფილმი" სახელმწიფო დაფინანსებით 12 სერიან ფილმს იღებს. სურათს სახელწოდებით "დადექ ქარო და მიამბე" ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე გადაიღებს. ერთ-ერთ მთავარ როლზე სწორედ მაკა ასათიანია მიწვეული. როგორც ფილმის ავტორები ფიქრობენ, ვნებებით და ეროვნული მოტივებით დატვირთული სურათი, მხატვრული თვალსაზრისით სხვა სერიალების მსგავსი არ იქნება და კომერციულადაც მომგებიანი იქნება.

ჰერბერტ ახტენბუში თბილისში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ ფილმებში არ არსებობს მკვეთრი ზღვარი რეალურსა და არარეალურს შორის. ამ სამყაროში ყველაფერი გამოგონილი და ინსცენირებულია, ამიტომ მისი რომელიმე ნაწილის სინამდვილედ გასაღება აუცილებლობას არ წარმოადგენს. მოვლენები არარსებულ ქვეყანაში ვითარდება, და სრულიად უმნიშვნელოა, ცოცხალია ადამიანი, თუ არა – მთავარია, რომ მისი ეკრანზე გაცოცხლება შეიძლება.

ჰერბერტ ახტერნბუშის ფილმების რეტროსპექტივა, ისევე, როგორც მრავალი სხვა, გერმანული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით გამართული ღონისძიება, თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მიერ იყო ორგანიზებული. ფილმი, რომლითაც თბილისური რეტროსპექტივა გაიხსნა – "ანდეხსური გრძნობა" (1974) – ახტერნბუშის კინოდებიუტი იყო, რომელიც იმხანად მაყურებელს დიდი აღტაცებით არ მიუღია.

"ამ სამყაროს მთავარი კანონი გაგება," წერდა ახტერნბუში, რომელიც მტკიცედ იდგა თავის შემოქმედებით პოზიციაზე და კვლავაც განაგრძობდა არარსებული ქვეყნის ამბების თხრობას, "ითვლება, რომ ამქვეყნად ყველაფერს ყველაფერი უნდა ესმოდეს. ამტომაა, რომ ამქვეყნად ყველაფერი ერთნაირი გახდა." ამ "ერთნაირობის" წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთული აღმოჩნდა – სხვა თუ არაფერი, ფული ჭირდა. სწორედ იმხანად წარმოთქვა ახტერნბუშმა ფრაზა, რომელიც მრავალმა აიტაცა: "ის მშვენიერი გრძნობა, რომ ფული გაქვს, არც იმდენად ინტენსიურია, რამდენადაც ის საძაგელი განცდა, რომ ფული არ გაგაჩნია."

მიუხედავად სირთულეებისა, საბოლოოდ რეჟისორი მაინც გამარჯვებული დარჩა. მან თავად შექმნა თავის შემოქმედების და თავის სამყაროს კანონები და იმავდროულად სხვათა მხრიდან გაგებასაც მიაღწია: 1996 წელს ფრიდრიხ ვილჰელმ მურნაუს ჯილდო გადასცეს, ხოლო ფილმისთვის, "უკანასკნელი ხვრელი", რომელიც ასევე თბილისურ რეტროსპექტივაზე იყო წარმოდგენილი, სამი პრემია მიიღო, მათ შორის ლოკარნას ფესტივალის საგანგებო ჯილდოც.

მის ფილმებს თბილისში ბატონი კლაუს ედერი, FIPRESCI-ის – კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი წარადგენდა.

კვენტინ ტარანტინო - პათოლოგიური კინომანი

ამერიკული კინოჰიტების ავტორს 40 წელი შეუსრულდა

ვერა ნეფარიძე

კვენტინ ტარანტინო

ფილმ "მაკულატურას" პლაკატი

ამ რეჟისორის თავისებურებას, თითქმის, პათოლოგიური კინომანიით ხსნიან. ის კინოზე ნამდვილად გაგიჟებულია, რადგანაც უყურებს განურჩევლად ყველაფერს. ფილმებს "უპირატესი" და "უმდაბლესი" ნიშნით არ გამოარჩევს. ამის გამო, მას საგანგებო მეტსახელიც კი შეურჩიეს – სინეფაგი. რვა წლის წინათ მისმა "მაკულატურამ" გადატრიალება მოახდინა ამერიკულ კინოში. თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რეჟისორს, სცენარისტსა და მსახიობს, მსოფლიო ჰიტების ავტორს - კვენტინ ტარანტინოს დღეს 40 წელი შეუსრულდა.

ის კინოში საკმაოდ გვიან მოვიდა, მაგრამ ახალგაზრდულ ასაკს მისთვის ხელი არ შეუშლია, შეექმნა ნამდვილი შედევრები და თანამედროვე კინოს ისტორიაში თავის განუმეორებელი ადგილი დაემკვიდრებინა. მისმა გამოჩენამ ამერიკულ კინოს სულ სხვა პეწი შესძინა; განსაკუთრებული და ყველაზე თვალშისაცემი იყო კინოსადმი მისი ახლებური მიდგომა; მოპოვებული აქვს ამერიკის კინოაკადემიის, კანისა და ვენეციის კინოფესტივალების მთავარი ჯილდოები, მაგრამ ტიტულები სრულად მაინც ვერ ასახავს მსოფლიო კინოსამყაროს ისტორიაში ტარანტინოს ღვაწლს. ეს ამერიკელი რეჟისორი სცენარისტი, პროდიუსერი, ძველი ფილმების უბადლო მცოდნე და "ჯანკ" კულტურის უდიდესი მოყვარულია. ამ ადამიანზე უკვე უამრავი წიგნი დაიწერა.

კვენტინ ტარანტინო 1963 წლის 27 აპრილს ტენესის შტატში, ქალაქ ნოკსვილში დაიბადა; გაიზარდა ლოს-ანჟელესში. დედამ მას კვინტი დაარქვა - ტელესერიალ Gunsmoke-ში კლინტ ისტვუდის გმირის პატივსაცემად. ტარანტინოს ეს სერიალი, ან თავად გმირი, ეტყობა, დიდად გულზე არ ეხატებოდა, რადგანაც სიყმაწვილეშივე სახელი "კვენტინად" გადაიკეთა. კვენტინს კინოს სიყვარული სულ პატარობაში, დედას კინოში რომ დაჰყავდა, მაშინ გაუღვივდა. 9 წლის ასაკში მას უკვე Carnal Knowledge და Deliverance ჰქონდა ნანახი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი კინოდარბაზებისკენ ლტოლვა - პატარა კვენტინი, როგორც კი დროს გამონახავდა, კინოთეატრებს აკითხავდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს უსაქმურობდა; რასაკვირველია, ფილმებს ისევ დიდი ენთუზიაზმით ნახულობდა და ისეთ სამსახურზე ოცნებობდა, რომელიც ანაზღაურებასაც მოუტანდა და სიამოვნებასაც მოჰგვრიდა. ბოლოს მართლაც გაუმართლა - 22 წლის ასაკში კალიფორნიაში, მანჰეტენის სანაპიროზე ერთერთ ვიდეოგაქირავების სალონში მოეწყო. მაშინ თავისზე ბედნიერი ადამიანი არც ეგულებოდა; მეგობარ როჯერ ავარისთან ერთად სალონში მთელ დროს ვიდეოფილმების არჩევასა და კომენტირებას ანდომებდა. კვენტინმა თავის პირველი კინოფირი 1986 წელს შექმნა და დაარქვა My Best Friend's Birthday; ერთი წლის შემდეგ შეიქმნა True Romance. 1988 წელს ტარანტინო პირველად გამოჩნდა სატელევიზიო ეთერში – ეს იყო ტელეშოუ "ოქროს გოგონები", სადაც კვენტინი ელვის პრესლის ორეულს ასახიერებდა. იმავე წელს მან მეორე სცენარი დაწერა, 1990 წელს კი სცენარი True Romance გაყიდა და აღებული თანხით 16 მმ-იან შავ-თეთრ ფირზე "ცოფიანი ძაღლები" გადაიღო - მთავარ როლებში მეგობრები დააკავა. პრემიერა 1992 წელს გაიმართა. ტარანტინოს რამდენიმე კერპმა (რეჟისორი უეს კრეივენი და რიკ ბეიკერი) სანახაობას ვერ გაუძლო და დარბაზი დატოვა. თავად რეჟისორი კი კანის ფესტივალზე ელოდა დიდ წარმატებას. ფილმმა მაშინვე დაიმსახურა კრიტიკოსებისა და მაყურებელთა აღფრთოვანება. ერთი წლის შემდეგ, ტომ სკოტის რეჟისურით და ტარანტინოს სცენარით, "ნამდვილი სიყვარული" გამოვიდა ეკრანებზე, თავად ტარანტინო კი "მაკულატურას" გადაღებას შეუდგა.

როდესაც კვენტინ ტარანტინოს შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, განსაკუთრებულად არ აღინიშნოს კინოს მუსიკისადმი მისი დამოკიდებულება. ამ მხრივ, მისი ნამუშევრები ყოველთვის გამორჩეულია. ტარანტინოს ფილმების საუნდთრეკებს შორის განსაკუთრებული გამომახსილი "მაკულატურას" ჰქონდა. რეჟისორის საფირმო ნიშანზე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უდავოდ დიალოგებს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა - მათი მახვილგონივრულობა მორალის წესების, ფორმალური ლოგიკისა და საერთო, აბსურდული სიტუაციის კონტრასტებზეა აგებული. აქ დიალოგები, ერთი შეხედვით, მოქმედებას არ უკავშირდება, მაგრამ ფილმის მთავარ თემატიკას ორაზროვანი იუმორით ყოველთვის ესატყვისება. ტარანტინოს ინფანტილური კინოსამყარო სწორედ თავის უცნაური იდუმალებით ხიბლავს მაყურებელს. მისი ფილმები, თითქოს, თამაშია - ამ სიტყვის იმ გაგებით, როგორც, თუნდაც, 6 წლის ასაკში გვესმოდა. ამ თამაშებში ყველაფერი ნამდვილი უნდა იყოს: იარაღი, სისხლი, სიცოცხლე, სიკვდილი და ღალატი. "მაკულატურას" გამოსვლა ბომბის აფეთქებას ჰგავდა – ამ კინოსურათს 90-იანი წლების კინემატოგრაფში მომხდარ რევოლუციად მიიჩნევდნენ. ფილმი "ოსკარის" შვიდ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, მაგრამ ჯილდო მხოლოდ საუკეთესო სცენარისთვის (ტარანტინო და როჯერ ავარი) დაიმსახურა. ტარანტინოს "მაკულატურამ" 1994 წელს კანის ფესტივალზე ოქროს პალმის რტოც მოიპოვა. ეს უცნაური სტრუქტურის სასტიკი ფილმი პოპ-კულტურის სრულუფლებიან ნაწილად იქცა.

სკანდალური ფონი ჰქონდა "მკვლელებად დაბადებულის" ეკრანებზე გამოსვლას. ფილმი ოლივერ სტოუნმა გადაიღო. ტარანტინო ამით იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ ტიტრებში მოხსენიებული სცენარისტებიდან საკუთარი გვარი ამოიღო და მხოლოდ ფილმის საერთო იდეის თანაავტორად დარჩენა არჩია, არადა ეს ტარანტინოს მორიგი ფილმია და მის გარეშე თანამედროვე დასავლური მას-კულტურა უკვე წარმოუდგენელია. (საუნდთრეკი ცალკე განხილვის თემაა).

ამბობენ, რომ რეჟისორი ხშირად მიმართავს ციტირებას. ვიდეოგაქირავებაში ოთხწლიანმა მუშაობამ, როგორც ჩანს, ფუჭად არ ჩაიარა. რეჟისორი ციტირებას მართლაც მიმართავს, მაგრამ - არა კონკრეტული ფილმებიდან. იგი, უბრალოდ, გემოვნებიანად იყენებს გარკვეულ სიტუაციებს მასკულტურის სამყაროდან.

რეჟისორობისა და სცენარისტობის გარდა, ტარანტინომ სამსახიობო კარიერითაც მიიქცია ყურადღება - 1995 წელს მონაწილეობა მიიღო რობერტ როდრიგესის ფილმში Desperado ("თავზეხელაღებული"); ერთი წლის შემდეგ როდრიგესმა ტარანტინოს სცენარის მიხედვით გადაიღო სურათი From Dusk Till Dawn, სადაც მთავარ როლში კვლავ ტარანტინო მონაწილეობდა. ის თამაშობს საკუთარ ფილმებშიც: "დაიძინე ჩემთან ერთად" (1994) და "დასტინი რთავს რადიოს" (1995).

1997 წელს, "ჯეკი ბრაუნის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, კრიტიკოსები ალაპარაკდნენ, რომ ტარანტინოსგან საინტერესო აღარაფერია მოსალოდნელი. მისმა ბოლო ნამუშევრებმა, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა რეჟისორის თაყვანისმცემლები. "ჯეკი ბრაუნმა" ბევრს იმედები გაუცრუა, მაგრამ იქნებ ეს "ახალი ტარანტინოს" პერიოდის დასაწყისიც იყოს?!

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტებში ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სპეციალური კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, როგელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღონთ თქვენზე, როგელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქმოვენის "მეთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით გარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

„დინამო" 1000 ლარით დააჯარიმეს, მაგრამ მოგება არ წაართვეს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა ხელმეორედ განიხილა თბილისის "ვიტ ჯორჯიას" საჩივარი, რომელიც 18 მარტს ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე ამ გუნდსა და თბილისის "დინამოს" შორის დავით ყიფიანის თასის 1/4-ფინალის მატჩს ეხებოდა. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრის განაცხადში, რომელშიც "დინამომ" მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა მომჩივანი, საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა შეიყვანა ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ამ მატჩში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. საუბარია მანწკავაზე, რომელსაც დავით ყიფიანის თასის მიმდინარე გათამაშებაში სხვა გუნდის, უფრო სწორად, "დინამოს" ფარმ-კლუბის, "დინამო 2"-ის რიგებში სამი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული. მართალია, მანწკავა განაცხადში შეიყვანეს, მაგრამ მას თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ამის გამო "ვიტ ჯორჯია" მატჩის შედეგის გაუქმებას და "დინამოსთვის" 0:3 ანგარიშით დამარცხების ჩათვლას ითხოვდა.

20 მარტს სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა, საქართველოს სპორტის აკადემიის რექტორის, ომარ გოგიაშვილის ხელმძღვანელობით, უკვე იმსჯელა ამ საკითხზე, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო და მისი განხილვა ერთი კვირით გადადო. კომიტეტის წევრებმა დავით ყიფიანის თასის დებულების რამდენიმე პუნქტი ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნიეს და, საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით, დახმარებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს. ფედერაციის ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ, უტყუარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მომხდარის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა UEFA-ს სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელს, დოქტორ ლიმახერს. UEFA-ს კომიტეტმა განიხილა საკითხი და გადაწყვიტა, რომ "დინამომ", მართლაც, დაარღვია დებულება. თუმცა, დოქტორი ლიმახერი ფეხბურთის ფედერაციაში ტელეფაქსით გამოგზავნილ შეტყობინებაში აღნიშნავს, რომ დარღვევა უმნიშვნელოა და მისი ჩამდენის მიმართ დასჯის ისეთი ფორმის გამოყენება, როგორიცაა წინა შედეგის გაუქმება და დამარცხების ჩათვლა ანგარიშით 0:3, უსამართლობა იქნება, რადგან მანწკავას, მიუხედავად იმისა, რომ იგი განაცხადში დებულების დარღვევით მოხვდა, თამაშის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. ლიმახერის უსტარში ისიცაა მითითებული, რომ ევროპაში მსგავსი ათეულობით დარღვევა მომხდარა, მაგრამ ამის გამო 0:3 დამარცხების ჩათვლა დამრღვევის დასჯის ფორმად არც ერთხელ არ გამოუყენებიათ. რეზიუმეს სახით, UEFA-მ ქართულ მხარეს "დინამოს" მიმართ ფინანსური საჯარიმო სანქციის გატარების რეკომენდაცია მისცა.

სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა იხელმძღვანელა UEFA-დან მიღებული შეტყობინებით, მატჩის შედეგი - 1:0 "დინამოს" სასარგებლოდ უცვლელად დატოვა, ხოლო კლუბს, ჯარიმის სახით, 1000 ლარის გადახდა დაავალდებულა.

ლევან სალუქვაძე ("დინამოს" პრესატაშე): "ჩვენ მოველოდით საქმის ასეთ დასასრულს. მართალია, უნებლიე შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ ამით წესი დავარღვიეთ და სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის გადაწყვეტილება 1000 ლარით დაჯარიმების შესახებ სამართლიანად მიგვაჩნია. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების სააპელაციო კომიტეტში გასაჩივრებას არ ვაპირებთ. მერწმუნეთ, მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებთ."

ინფორმაცია

ფერგიუსონი ნიჰათით დაინტერესდა

ესპანეთის "რეალ სოსიედადმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" კლუბის ფორვარდ ნიჰათით დაინტერესდა. ინგლისელებმა ბასკებს ნიჰათის შეძენის წინადადებით მიმართეს. სანსებასტიანური კლუბის პრეზიდენტმა ხოსე ლუის ასტიასარანმა განაცხადა, რომ "მანჩესტერი" ერთადერთი გუნდი არ არის, რომელიც ნიჰათზე აცხადებს პრეტენზიას. თუ მათ სატრანსფერო თანხა დააკმაყოფილებთ, მაშინ შეიძლება მოლაპარაკების გაგრძელება. "თუ ნიჰათი თვითონ გამოთქვამს "მანჩესტერში" თამაშის სურვილს, კლუბი მას პრობლემას არ შეუქმნის", - განაცხადა ასტიასარანმა. ნიჰათი თურქული "ბეშიქთაშიდან" შარშან გადავიდა "რეალ სოსიედადში". ბასკურ კლუბთან კონტრაქტი მას 2006 წლამდე აკავშირებს. მიმდინარე სეზონში მან 21 მატჩში 14 გოლი გაიტანა. ნიჰათის სატრანსფერო თანხა ამ დროისთვის დაახლოებით 30 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

ბექჰემს და გიგზს დღისით თამაში არ სურთ

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველებმა დევიდ ბექჰემმა და რაიან გიგზმა ინგლისის საფეხბურთო მამებს მოუწოდეს, მომავალ სეზონში თამაშები დღის 12 საათზე აღარ დანიშნონ. მათი აზრით, ამ დროს ისინი მაქსიმალურად კარგად ვერ თამაშობენ, რადგან ირღვევა ყოველდღიური განრიგი. "მანჩესტერის" გულშემატკივართა დამოუკიდებელმა ასოციაციამ ქვეყნის გულშემატკივართა გაერთიანებასთან ერთად, ფეხბურთელებს მხარი დაუჭირა და აპირებს, მომავალ კვირას, ასეთი მატჩების აკრძალვის მოთხოვნით, ქვეყნის პარლამენტს მიმართოს.

აიგნერი პენსიაზე მიდის

UEFA-ს გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა განაცხადა, რომ წლის ბოლოს თანამდებობის დატოვებას აპირებს. აიგნერმა 1969 წელს დაიწყო UEFA-ში მუშაობა, ხოლო გენერალური მდივნის პოსტი 1999 წელს დაიკავა. გუშინ მან კომიტეტს აცნობა, რომ აღარ გააგრძელებს კონტრაქტს, რომელიც წლის ბოლოს იწურება. "უაღრესად კმაყოფილი ვარ ჩემი კარიერით და მწამს, რომ UEFA-ს ნათელი მომავალი ექნება. მაგრამ მე მყავს ოჯახი და მინდა, უფრო დიდი დრო დავუთმო მას და ჩემს პირად ინტერესებს", - განაცხადა გერმანელმა.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 27 წლის წინათ...

1976 წლის 24 მაისი. მიუნხენი. ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე მოჰამედ ალი.

ალექსანდრე ჩივაძე: „ბრიტანელებთან ძველი ანგარიში გვაქვს"

ნაკრების მწვრთნელი ორ უახლოეს თამაშში 6 ქულას გეგმავს

ალექსანდრე ჩივაძე

ნაკრების ფეხბურთელები მშენებარე ბაზაზე

მიხეილ აბაიშვილი

ირლანდიის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩამდე სულ ორი დღე დარჩა. ბრიტანელები დღეს, 16 საათზე ჩამოვლენ თბილისში. საქართველოს ეროვნული გუნდი კი "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე სრული შემადგენლობით გუშინ შეიკრიბა და დახურულ კარს მიღმა ემზადება. თუმცა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ჩივაძემ, მზადების გასაიდუმლოებისა და დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, მაინც გამონახა დრო და გუშინ ჟურნალისტები დიდ დიღომში, ეროვნული ნაკრების მშენებარე ბაზაზე მიიწვია. ჩივაძეს თან ახლდა ნაკრების ყველა ფეხბურთელი.

"მინდოდა, ნაკრების წევრებს ენახათ ის ბაზა, რომელიც სულ მალე მათი საკუთრება გახდება. მშენებლებმა პირობა მომცეს, რომ ყველა სამუშაოს ერთ თვეში დაამთავრებენ. ეს ბაზა მთელ ევროპაში ერთერთი საუკეთესო იქნება", - განაცხადა ალექსანდრე ჩივაძემ.

საქართველოს ნაკრები ერთადერთი გუნდია მე-9 შესარჩევ ჯგუფში, რომელსაც არც ერთი ქულა არ მოუპოვებია და მყარადაც უკავია ბოლო ადგილი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული და მომდევნო ერთ თვეში, როცა ერთიმეორის მიყოლებით მოგვიწევს ირლანდიის, შვეიცარიისა და რუსეთის ნაკრები გუნდების მასპინძლობა, დადებითი შედეგების მიღწევის შემთხვევაში, სატურნირო ცხრილში პირველ პოზიციაზე გადასვლის შანსიც კი გვაქვს. "ოთხ დღეში ორი უმძიმესი მატჩი გველის. სატურნირო მდგომარეობიდან ნათელი ხდება, რომ ჩვენთვის ყველა შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ თამაშებში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. რა გამოგვივა აქედან, მალე გახდება ცნობილი", - დიპლომატიურობა გამოიჩინა ნაკრების მთავარმა მესაჭემ.

გავრცელებული ინფორმაციით, ირლანდიის ნაკრებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. მიზეზთა გამო, ირლანდიელთა ახალ დამრიგებელს, ბრაიან კერის, ოფიციალურ მატჩში თავისი დებიუტის წინ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი (მაკეიტერი, მორისონი, კელი, ჰარტი და რობი კინი) დააკლდება. "რა თქმა უნდა, ეს ირლანდიელთათვის დიდი დანაკლისია, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. გემახსოვრებათ, კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე ირლანდიელთა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, მიკ მაკარტიმ, ნაკრებიდან გააძევა გუნდის კაპიტანი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი როი კინი. ამას ირლანდიის ნაკრები უნდა დაესუსტებინა, მაგრამ მოხდა პირიქით: ამ ფაქტმა ირლანდიელები ერთ მუშტად შეკრა. გუნდმა უაღრესი მობილიზაციით, თავგანწირვით, მაღალპროფესიულად იასპარეზა და მუნდიალზე კარგი შედეგი აჩვენა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ირლანდიელთა პრობლემების გამო თვითდამშვიდებას არ უნდა მივეცეთ. დარწმუნებული ვარ, ირლანდიელები თავიანთ მებრძოლ ხასიათს თბილისშიც გამოავლენენ და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ", - გააფრთხილა თავისი გუნდი ჩივაძემ.

ირლანდიის ნაკრებმა ერთობ წარუმატებელი სტარტი აიღო. ის ჯერ მოსკოვში, გასვლით მატჩში დამარცხდა რუსეთის ნაკრებთან (2:4), ხოლო შემდეგ საკუთარ მოედანზე შვეიცარიასთანაც დათმო შეხვედრა (1:2). ასე რომ, ირლანდიელებს ყველა გზა მოჭრილი აქვთ - თბილისში დამარცხება მათ ჯგუფის სტატისტებად აქცევს. თუმცა, არც ჩვენ გვაქვს ქულების დაკარგვის უფლება და ირლანდიასთან გამარჯვება მარტო სატურნირო კი არა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც გვჭირდება. "ჯერ კიდევ ჩემი ფეხბურთელობის პერიოდში, ბრიტანელებთან თამაში ყოველთვის გამოგვდიოდა. "ლივერპული", "კარდიფ სიტი", "ვესტ ჰემი", "უოტფორდი" ის გუნდებია, რომლებსაც ჩვენ შევხვდით და UEFA-ს ტურნირებიდან გამოვთიშეთ. უკვე ჩემი მწვრთნელობის დროს უელსის ნაკრები თბილისშიც დავამარცხეთ და კარდიფშიც. ასე რომ, ბრიტანულ ფეხბურთთან ჩვენი, წარმატებული ანგარიში გვაქვს და ტრადიცია არც ამჯერად უნდა დავარღვიოთ", - იმედიანადაა UEFA-ს ლალის ორდენის კავალერი.

შოთა არველაძის თქმით, ირლანდიას ჰყავს კარგად ორგანიზებული, დაბალანსებული, მობილური და მებრძოლი ნაკრები, რომელმაც ამ ერთი თვის წინ, საუკეთესო ფეხბურთელების გარეშეც, გასვლით ამხანაგურ მატჩში შოტლანდიის ნაკრები დაამარცხა (2:0). ბრიტანელებისთვის მიცემულ დადებით დახასიათებაში არველაძეს მთავარმა მწვრთნელმაც აუბა მხარი, თუმცა, მან უფრო კონკრეტულად ისაუბრა ირლანდიელთა დადებით და უარყოფით მხარეებზე და აღნიშნა, რომ მომავალ მეტოქეს შუა ხაზსა და თავდასხმაში პრობლემები არა აქვს. "ოდნავ სუსტად გამოიყურება დაცვის ხაზი და ჩვენც მეტოქის ეს სისუსტე საქართველოს ნაკრების წარმატების საწინდრად უნდა ვაქციოთ", - აღნიშნა ჩივაძემ, რომელმაც პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ნაკრების ფეხბურთელები UEFA-ს გრანტით ფეხბურთის ფედერაციის მიერ შეძენილ ახალ ავტობუსში ჩასხა და დიღმის საწვრთნელ ბაზაზე წაიყვანა.

ცოტა მილიონერი, ცოტაც - იტალიელი

კახი კალაძე საკუთარ თავზე ბრაზობს

მილანის "მილანის" ქართველი ლეგიონერის კახი კალაძის წყალობით, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი იტალიის სერია A მატჩებს ორმაგი ინტერესით ადევნებს თვალყურს. ამჯერად ჩვენი მზერა მიპყრობილია საქართველოს ნაკრებისკენ, რომელსაც ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის. თუ რა ძალაა კალაძე "მილანისთვის" და, მეტადრე, საქართველოს ნაკრებისთვის, საკამათო არავისთვის არ არის. ამ ცოტა ხნის წინ ქართველმა ლეგიონერმა ტრავმა მიიღო. დასანანია, მაგრამ "მილანის" მცველი საქართველოს ნაკრებს ვერც ირლანდიასთან შეეშველება და ვერც შვეიცარიასთან. აი, რუსეთთან პრინციპული მატჩისთვის კი კახის იმედი აქვს, რომ მოედანზე გავა. თუმცა, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯობს, ამ და კიდევ ბევრ საინტერესო კითხვაზე პასუხი თავად კალაძისგან შევიტყოთ, რაშიც მის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინტერვიუ დაგვეხმარება.

კახი კალაძე

გამოყენებულია ფოტო

- კახი, ტრავმის გამო მოედანზე დაბრუნებამ ისევ სამომავლოდ გადაიწია?

- გამოდის, რომ ასეა. ბევრმა არ იცის, რომ ბოლო რამდენიმე მატჩის წინ ტკივილგამაყუჩებელ ნემსებს ვიკეთებდი. მუხლის ტკივილი სხვა გზას არ მიტოვებდა. ამასთან, "მილანში" მძაფრად დგას მარცხენა მცველის საკითხიც. ამიტომაც სხვა გზა არ მქონდა - ტკივილს უნდა შევგუებოდი. "კიევოსთან" მატჩში მარცხენა ფეხის ბარძაყის კუნთმა ვეღარ გაუძლო... ასე აღმოვჩნდი თამაშგარეთ.

- მინდორზე როდის დაბრუნდებით?

- აპრილის პირველ დეკადაში. პირველ რიცხვებში გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს. 13-ში "ინტერთან" ვთამაშობთ. კარგი იქნება, თუ ამ დროისთვის მწყობრში ვიქნები. რუსეთთან მატჩისთვის კარგ ფორმაში უნდა ვიყო.

- საქართველოს ნაკრებს ორი მატჩი ელის, ალბათ, გადამწყვეტიც...

- საკუთარ თავზე ვბრაზობ, რადგან გუნდს ვერ ვეხმარები. მატჩები კი, მართლაც, მნიშვნელოვანია. თუ მაქსიმალურ შედეგს ვერ მივაღწევთ, ჯგუფიდან გასვლის შანსი თეორიულად ნებისმიერ ნაკრებს აქვს. ჩვენი კოზირი ის არის, რომ შინ ვთამაშობთ.

- ტრავმის შემდეგ თავს რითი იქცევ?

- მილიონერის ცხოვრებით ვცხოვრობ (ღიმილით პასუხობს). ყოველდღიურად დავდივარ აუზზე და სავარჯიშო დარბაზში. ვიკეთებ მასაჟს. გავდივარ აღდგენით პროცედურებს. DVD-ს ვუყურებ და მეგობრებთან ერთად ვსაუზმობ. ფეხბურთი ხომ ცხოვრების ნაწილია...

- "იუვენტუსთან" თამაშამდე "მილანი", რამდენიმე მატჩში, არაერთგვაროვნად გამოიყურებოდა – უღიმღამო მატჩების ჯერი სერია A-ს საშუალო გუნდებთან, ფიასკო მადრიდში, ანდრეი შევჩენკოს არადამაჯერებელი თამაში. ალბათ, თავგადაკლული ტიფოზები თუ ჩავიდოდნენ ფსონს "როსო-ნერის" გამარჯვებაზე.

- პირადად მე მზად ვიყავი, საკუთარი "ფერარიც" ჩამედო. მჯეროდა, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით. გამარჯვების შემთხვევაში, "შავ-თეთრები" თითქმის მიუწვდომელნი იქნებოდნენ, მაგრამ ვინ თქვა, რომ ჩვენ "სკუდეტოზე" უარს ვამბობთ?! თამაში დინამიკური გამოდგა. უპირატესობა ჩვენ მხარეს იყო. ვთამაშობდით ისე, როგორც უნდა თამაშობდეს ნამდვილი "მილანი".

- შეგიძლია მშვიდად იყო. "ინტერმა" უდინეზეში წააგო!

- სერია A ამითაცაა მიმზიდველი. იტალიაში ძალზე საინტერესო მოულოდნელობებით აღსავსე ჩემპიონატია - ჩემი გემოვნების. ჩვენ, მართლაც, გვქონდა რაღაც დოზით ჩავარდნა, მაგრამ ახლა, ასეთი მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ, ყველაფერი კარგად უნდა წავიდეს. მით უმეტეს, რომ "ინტერთან" და "იუვესთან" ჩამორჩენა მინიმუმამდე დავიყვანეთ.

- დატვირთვა, რომელსაც თქვენ შეეჯახეთ, ალბათ, მხოლოდ კოსმონავტის ორბიტაზე გაყვანის დატვირთვას თუ შეიძლება შეედაროს.

- გეტყვით, როგორცაა. არადამიანური ინტენსივობა გვაქვს. კვირაში ორჯერ ვთამაშობთ – ჩემპიონატი, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა და ამას დამატებული ნაკრების მატჩები. ამას წინათ დავითვალე, ამხანაგური თამაშების გამოკლებით, და აღმოჩნდა, რომ წლის დასაწყისიდან თითქმის 30-ჯერ ვითამაშე.

- გამოტყდი: როდის გიხილავთ მიუნხენში, მანჩესტერში ან ლივერპულში?

- იტალიაში, თუ ფეხბურთელი ყურადღების ცენტრშია, მას კვირაში 100-ჯერ მაინც ყიდიან. მე არსად წასვლას არ ვაპირებ. "მილანში" ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. კონტრაქტი ორ წელიწადში იწურება და უკვე მისი გაგრძელების თხოვნით მომმართეს.

- ამბობენ, რომ კივუ უკვე ერთი ფეხით "სან-სიროზეა". მას კი მარცხნივ თამაში ეხერხება...

- მოხარული ვიქნებით, ნებისმიერი ძლიერი ფეხბურთელი მივიღოთ და აკლიმატიზაციაში დავეხმაროთ. კონკურენციის არ მეშინია, პირიქით – საინტერესოც კია.

- ერთი თვის წინ 25 წლის გახდი. მნიშვნელოვანი თარიღია. ასე არაა?

- უბრალოდ, აჯამებ იმას, რაც მანამდე გამოგივლია. არადა, ცხოვრება ხომ 25 წლის მერე იწყება. ისე, ცოტა უცნაური შეგრძნებაა.

- რაღაცაზე უარს ამბობ, რაღაცას იძენ...

- ჰო, თითქოს, პატარ-პატარა რამეებს აკეთებ, მაგრამ სინამდვილეში ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია. 13-ნომრიანი მაისურა 4-იანზე გადავცვალე. რატომღაც "ოთხიანი" მომინდა – მეოთხედი საუკუნის სიმბოლოს აღმნიშვნელია. თმაც გავიზარდე.

- და მაინც, რატომ?

- რა ვიცი, როგორ გითხრათ, ალბათ, ცოტა იტალიელიც გავხდი.

ფეხბურთი

ირლანდიელთა მთავარი მწვრთნელი საქართველოსთან თამაშს შიშით ელის

ირლანდიის ნაკრებს ძირითადი შემადგენლობის 7 ფეხბურთელი გამოაკლდა

იან ჰარტე და რობი კინი საქართველოს ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში ირლანდიის ნაკრებს ვერ დაეხმარებიან

მინდია მამალაძე
დუბლინიდან

სულ რამდენიმე დღის წინ ირლანდიელები დაბეჯითებით საუბრობდნენ იმაზე, რომ მათი ეროვნული ნაკრები თბილისში ქართველებს სძლევდა და სადებიუტო ქულებს მოიპოვებდა. კვკასიაში გამომგზავრებამდე ერთი დღით ადრე კი ვითარება კარდინალურად შეიცვალა. თვით ბრაიან კერის, ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს, რომელიც, როგორც წინა რეპორტაჟში ვწერდით, ამ ერთი თვის წინ შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებთან გლაზგოში მოპოვებული გამარჯვების გამო ლამის ეროვნულ გმირად შერაცხეს, რწმენა და თავდაჯერებულობა შეერყა. აი, რა განაცხადა მან დღეს სატელევიზიო ინტერვიუში: "ჩემი ბრალი არ იქნება, თუ ევრო 2004-ის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გავიარეთ. რეალობა ის არის, რომ ქულები ჰაერივით გვჭირდება და დამარცხების უფლება აღარ გვაქვს. მაგრამ, ნურც იმას დავიწყებთ, თუ რა ვითარებაში ჩავიბარე ნაკრები. ამ პოსტზე ჩემს დანიშვნამდე გუნდმა ორი მატჩი წააგო, მათ შორის, ერთი – საკუთარ მოედანზე, თანაც, უშუალო კონკურენტთან". ვერ გეტყვით, რამდენად გაუგებენ კერის რიგითი ირლანდიელი გულშემატკივრები, მაგრამ იმაზე საუბარი კი შემიძლია, რომ ადგილობრივი მედიაც აღარ არის კატეგორიული – საკუთარ ნაკრებს საქართველოს ეროვნული გუნდის დამარცხებას აღარ სთხოვს. ერთი კვირის წინ ირლანდიურ პრესაში ქვეყნდებოდა მეტისმეტად ოპტიმისტური წერილები. მაგალითისთვის მოვიტან ერთ სათაურს: "ირლანდიელთა ტრიუმფალური სვლა დუბლინში იწყება". პუბლიკაციაში საუბარი იყო იმაზე, რომ ნიჭიერი ახალი მთავარი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ აღმავლობის გზაზე შემდგარ ირლანდიის ნაკრებს საქართველოში გამარჯვება არ გაუჭირდება. მით უმეტეს, რომ "ქართველებს არ ეყოლებათ გუნდის კაპიტანი და საუკეთესო ფეხბურთელი, "მილანის" მცველი კახა კალაძე". მაგრამ დღეს ყველაზე პოპულარული ადგილობრივი გამოცემის, "SAN"-ის ავტორიტეტული სპორტული რეპორტიორი, ნეილ ო`რიორდანი ვითარებას ასეთ ანალიზს უკეთებს: "ირლანდიის ბოსის, კერის დავალება სრულიად უბრალო, ნათელი და მარტივია. მან თბილისიდან და ტირანადან ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (6) უნდა წამოიღოს. ეს შესანიშნავი თეორიაა, მაგრამ პრაქტიკაში ცოტა ძნელი განსახორციელებელია. მით უმეტეს, რომ კერის უსერიოზულესი საკადრო პრობლემები აქვს, საიდანაც გამოსავალს, პირადად მე, ვერ ვხედავ. თუ მომდევნო ორ მატჩში მთავარ მეთოქეს, საქართველოს ნაკრებს კალაძე არ ეყოლება, ჩვენი დანაკარგი გაცილებით მნიშვნელოვანია".

მართლაც, სწორედ საკადრო პრობლემებია ის გორდიას კვანძი, რომლის გადაჭრაც, თბილისში ჩამოსულმა კერიმ, წესით, ვერ უნდა მოახერხოს. მას გამოაკლდა 7 არათუ ძირითადი შემადგენლობის, არამედ ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი, რომლებიც, ერთად, გუნდის ხერხემალს წარმოადგენენ. თავად განსაჯეთ: კლინტონ მორისონი ("ბირმინგემი"), ჯეისონ მაკატიერი ("სანდერლენდი"), გარი კელი ("ლიდსი"), იან ჰარტე ("ლიდსი"), სტივ ფინანი ("ფულემი"), სტივ რეიდი ("მილუოლი"), რური რედნაპი ("დერბი"). თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ გუშინ რობი კინს მამა გარდაეცვალა და, სავარაუდოდ, ისიც დუბლინში დარჩება, ბრაიან კერი, ადამიანურად, შეიძლება შეგეცოდოს კიდეც, რადგან ოფიციალურ მატჩში, დებიუტის წინ, ის თითქმის დარწმუნებულია, რომ მისი ნაკრები დამარცხდება. გასაგები მიზეზების გამო, ის მგლოვიარე ფეხბურთელს თამაშს ვერ აიძულებს, მაგრამ, წყალწაღებულივით, მაინც ხავსს ეჭიდება: "რობის ველაპარაკე. მკითხა, როგორ მოვიქცეო. მე ვუთხარი, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა. რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს რობიმ, ჩემი სიმპათიები მის მიმართ არ შეიცვლება", - განაცხადა თბილისში გამოფრენის წინა დღეს კერიმ.

ჩამოვა თუ არა რობი კინი საქართველოში, დღეს შეიტყობთ.

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ირლანდია ისეთი გუნდით ჩამოდის, რომლის დამარცხება საქართველოს ჩემპიონატის კარგ გუნდსაც არ უნდა გაუჭირდეს. ირლანდიელთა ეს სუბიექტური პრობლემები ქართველთა გამარჯვების ერთ-ერთ ობიექტურ მიზეზად უნდა იქცეს. სხვა უფლება საქართველოს ნაკრებსა და ალექსანდრე ჩივაძეს არც აქვთ.

ჩოგბურთი

ფავორიტები წინ მიიწევენ

მაიამი (აშშ). ვაჟები. საპრიზო ფონდი 3 250 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი (აშშ). მეოთხე წრე.
ანდრე აგასი (აშშ, 2) - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:2
როჟე ფედერერი (შვეიცარია, 4) - სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 14) 6:3, 6:2
კარლოს მოია (ესპანეთი, 5) - ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (10:8)
ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 9) - გილიერმო კორია (არგენტინა, 26) 7:5, 3:6, 6:3
პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 13) - მარსელო რიოსი (ჩილე, 28) რიოსმა თამაში შეწყვიტა.
იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 19) - ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:0, 7:6 (9:7)
რობი ჯინეპრი (აშშ) - ლი იუნ ტაიკი (ს. კორეა) 6:3, 6:2
ტოდ მარტინი (აშშ) - რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:2

ქალები. საპრიზო ფონდი 2 960 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი სერენა უილიამსი (აშშ). მეოთხედფინალი.
სერენა უილიამსი (აშშ, 1) - მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:1, 6:2
კიმ კლიისტერსი (ბელგია, 3) - ელენა დოკიჩი (სერბეთი, 9) 6:2, 6:0

ერაყში საომარი მოქმედებების თემა საჩოგბურთო ტურნირებსაც არ სცილდება და მას, მოწინააღმდეგეებთან ერთად, მომხრეებიც გამოუჭნდა. კი ბისკაინში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე ჯენიფერ კაპრიატიმ ამერიკელი მეომრებისადმი მხარდაჭერა ორიგინალურად გამოხატა. თავისი მორიგი მატჩის წინ მან ორგანიზატორებს სთხოვა, ჩაერთოთ სიმღერა "ბომბები ბაღდადის თავზე" – თავისი საკმაოდ გასაგები სიუჟეტით. ორგანიზატორებმა მყისვე დააკმაყოფილეს ჩოგბურთელის თხოვნა.

თუმცა, ცოტა ხანში მაყურებელთა ამაღლებული პატრიოტული განწყობილება მეოთხედფინალის დაძაბულობამ შეცვალა. უფრო სწორად, დაძაბულობამ მატჩის წინ, რადგან ერთი დღით ადრე ტურნირს გამოეთიშა ვინუს უილიამსი და მაყურებელი გუშინაც სიურპრიზს ელოდა, მაგრამ ფრანგი მარიონ ბარტოლი არ აღმოჩნდა იმ კალიბრის ჩოგბურთელი, რომელსაც სერენა უილიამსის დამარცხება შეუძლია. თამაშის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ ტურნირის პირველი ნომერი უპრობლემოდ გაიმარჯვებდა. ბარტოლიმ მეტოქეს მხოლოდ სამი გეიმი მოუგო და ასე დაასრულა თავისი გამოსვლა.

როგორც ჩანს, კი ბისკაინის წლევანდელი ტრიუმფატორის ვინაობა სერენა უილიამსისა და ბელგიელი კიმ კლიისტერსის დაპირისპირებაში უნდა გამოვლინდეს. ორივე ჩოგბურთელი დამაჯერებლად თამაშობს და ნახევარფინალს ისე მიაღწიეს, პრობლემა არ შექმნიათ. უილიამსისა არ იყოს, კიმ კლიისტერსიც იოლად გაუსწორდა მეცხრე ნომრად განთესილ, გამოცდილ სერბ ჩოგბურთელ ელენა დოკიჩს და განაცხადა: "ტურნირის დაწყების წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ უილიამსებთან შეხვედრა არ ამცდებოდა. ეს, მართლაც, საინტერესო დაპირისპირება იქნება და გამოავლენს, რამდენად დიდია უილიამსებსა და დანარჩენ ჩოგბურთელებს შორის არსებული უფსკრული".

ფავორიტებისთვის იღბლიანი გამოდგა ვაჟთა ტურნირის მეოთხე წრე. ყველა ფავორიტი მომდევნო ეტაპზე გავიდა. აგასიც, მოიაც, ფედერერიც და ალბერტ კოსტაც მეოთხედფინალში ითამაშებენ. თუმცა, ანდრე აგასის შედარებით გაუჭირდა მარკ ფილიპუსისის დამარცხება. პირველ სეტში ამერიკელმა უამრავი შეცდომა დაუშვა, რაც დამარცხებად დაუჯდა. მეორე სეტში უკვე ფილიპუსისმა უმატა შეცდომებს. "მარკს აშკარად ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა, რაც მის მოწოდებებზეც აისახა. ეს ჩემთვის უპირატესობა იყო", - თქვა ანდრე აგასიმ. ეისების ოსტატმა ვერც ერთი თავისი საფირმო მოწოდება ვერ განახორციელა და აშკარად გატყდა. აგასი მეოთხედფინალში ითამაშებს. რაც შეეხება ფედერერსა და მოიას, მათ დამაჯერებლად ითამაშეს. ალბერტ კოსტამ კი განსაკუთრებით ძლიერად მესამე სეტი ჩაატარა.

მოკლედ

ფიგურული ციგურაობა. ვაშინგტონში გუშინ დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოდიან რუსი მოციგურავეები. სპორტულ ცეკვებში ლიდერობა ხელთ იგდო ტატიანა ტოტმიანინასა და მაქსიმ მარინინის დუეტმა. მეორე ადგილზე ჩინელი მოციგურავეები არიან, მესამეზე - რუსები. ამერიკელი მიმომხილველები თანამემამულეთა ჩავარდნაზე საუბრობენ. საუკეთესო ათეულში ვერც ერთი ამერიკელი ვერ მოხვდა.

ვაჟთა შორის მოკლე პროგრამის შემდეგ დაწინაურდა ევგენი პლუშჩენკო (რუსი მოციგურავე ტრავმირებული ასპარეზობს). მეორე ადგილზეა ამერიკელი ტიმ გეიბლი, თუმცა, ჩამორჩენა პლუშჩენკოსთან იმდენად დიდია, რომ, საეჭვოა, მისი გაბათილება მოახერხოს. სამაგიეროდ, მესამე ადგილზე მყოფ იაპონელ ტაკეში ჰონდას აქვს მეორე ადგილზე გადასვლის შანსი - ის გეიბლს ოდნავ ჩამორჩება.

მოცეკვავე წყვილები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. A ჯგუფში ლიდერობენ რუსები ირინა ლობაჩევა და ილია ავერბუხი, B ჯგუფში კი კანადური წყვილი - შელინ ბურნი და ვიქტორ კრაატცი.

■ ■ ■

ფიგურული ციგურაობა. ფიგურული ციგურაობის სამყაროში განხეთქილებაა. ამერიკელი არბიტრის რონ პფენინგის თავკაცობით ახალი, ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ფედერაცია ჩამოყალიბდა. აქამდე ფიგურულად მოციგურავეები, ციგურებით მორბენლები და შორტ-ტრეკის ოსტატები მოციგურავეთა საერთაშორისო ფედერაციაში იყვნენ გაწევრიანებულნი. ამიერიდან, ამერიკელის თქმით, ამ ფედერაციას ფიგურული ციგურაობა გამოაკლდება. ახალი ფედერაცია შშ-ში, პენსილვანიის შტატშია რეგისტრირებული. ფედერაციის წარმომადგენლებმა უკვე გაუგზავნეს სათანადო მიმართვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჟაკ როგეს.

■ ■ ■

ჰოკეი. ამერიკელთა სამხედრო აქცია ერაყში კანადელთა დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ადგილობრივი ნაციონალისტები, "მეზობელ იანკთა" ჯინაზე, უკან არაფერზე იხევენ და პირველი შემთხვევისთანავე, რბილად რომ ვთქვათ, აკრიტიკებენ ამერიკელებს. კანადაში ჰოკეი ლამის რელიგიად არის ქცეული და, შესაბამისად, ჰოკეისტებსაც ამ ქვეყანაში უდიდეს პატივს სცემენ, თუმცა, ჩანს, პოლიტიკამ სპორტის ამ სახეობაშიც გაიდგა ფესვები.

ჰოკეის ლეგენდამ, უეინ გრეცკიმ, ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას ბუშს "უდიდესი ლიდერი" უწოდა და ამერიკელთა სამხედრო აქციასაც მხარი დაუჭირა. ამის საპასუხოდ ედმონტონში გრეცკის ძეგლზე უცნობმა პირებმა დიდი პლაკატი გამოფინეს წარწერით: "ამერიკელთა ლაქია". კანადელთა აზრით, ეროვნულ გმირებს მართებთ, წოდებას გაუფრთხილდნენ და, სანამ რამეს იტყოდნენ, დაფიქრდნენ.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ხორვატიის ჩოგბურთის ფედერაციის განცხადებით, გორან ივანიშევიჩი ვერ მიიღებს მონაწილეობას დევისის თასის შეხვედრაში ხორვატიისა და ესპანეთის ნაკრებებს შორის, რომელიც აპრილის დასაწყისში გაიმართება. ამის მიზეზია ჩოგბურთელის ტრავმა, რომელიც მან მაიამიში, პლაჟზე სეირნობისას მიიღო. თავისუფალი დროის გასატარებლად პლაჟზე წასულმა ივანიშევიჩმა ფეხი გაიჭრა. თავდაპირველად ექიმები ვარაუდობდნენ, რომ ჩოგბურთელი რამდენიმე დღეში მომჯობინდებოდა და თამაშსაც შეძლებდა, მაგრამ ივანიშევიჩს ჭრილობა გაურთულდა და ორკვირიანი მკურნალობა მოუწევს.

■ ■ ■

კალათბურთი. "მაიამი ჰიტის" ყოფილი კალათბურთელი, ამჟამად სპორტული არხის ESPN-ის საკალათბურთო ანალიტიკოსი ტიმ ჰარდუვეი, უახლოეს დღეებში "ინდიანა პეისერსთან" კონტრაქტის გაფორმებას ელის - განაცხადა ცნობილი კალათბურთელის აგენტმა. შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ცნობილია, რომ ჰარდუვეი გუნდს მოთამაშის რანგში შეუერთდება. ამას წინათ კლუბის პრეზიდენტმა დონი უოლშმა განაცხადა, რომ სურს, კონტრაქტის გაფორმებამდე დაიცადოს. "მე, უბრალოდ, მინდა, ჩვენი გუნდი დამშვიდდეს, - თქვა უოლშმა. - არა მგონია, რომ გუნდში რეორგანიზაციის დრო დადგა. ჯერ ხომ ჩვენი ყველა საუკეთესო კალათბურთელი მწყობრში არ ჩამდგარა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სირთულის გადალახვა მოგვიწევს და ასეთ პირობებში რეორგანიზაციაზე საუბარი სწორი არ იქნებოდა". ამჟამად "ინდიანა" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზეა.

■ ■ ■

ფორმულა 1. ავსტრიის გრან-პრის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ, თამბაქოს პროდუქციის რეკლამირების აკრძალვის მიუხედავად, 2005 წელს მათ ქვეყანაში "სამეფო რბოლები" კვლავ დაბრუნდება. შტირიას პროვინციის სპორტულმა ჩინოვნიკმა (სადაც გრან-პრი იმართებოდა), გერჰარდ ჰირშმანმა, ავსტრიის რადიოს განუცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის ტრასის კონფიგურაცია შეიცვლება, რაც 2005 წელს გრან-პრის მასპინძლობის საშუალებას მოგვცემს. "მომავალ წელს A1-Ring-ი რამდენადმე შეიცვლება, რაც რბოლების აკრძალვის მთავარი მიზეზია. 2005-2006 წლებში კი ფორმულა 1 შტირიაში დაბრუნდება", - განაცხადა ჰირშმანმა.

■ ■ ■

ველოსპორტი. "ტურ დე ფრანსის" 4-გზის გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი, შესაძლოა, წლევანდელ ტურნირში საასპარეზოდ საფრანგეთში არ წავიდეს. მიუხედავად იმისა, რომ არმსტრონგი ერაყში საომარ მოქმედებებს მხარს არ უჭერს, თავისი უსაფრთხოების გამო მაინც შიშს განიცდის. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის დასრულდება ომი ერაყში.

სპეციალური ათლეტების მონაწილეობით საქართველო-ირლანდიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრებების მატჩის წინ სტადიონზე აქცია გაიმართება

საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ფეხბურთის გუნდის მონაწილეობით 29 მარტს თბილისში დაგეგმილ ევროპის 2004 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საქართველოსა და ირლანდიის მატჩის წინ, 19 საათზე, "ლოკომოტივის" სტადიონზე სპეციალური აქცია ჩატარდება.

მატჩის დაწყების წინ ქართველი სპეციალური ათლეტების საფეხბურთო გუნდი გამოვა სტადიონზე და ირლანდიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებთან სიმბოლურ ფოტოსურათს გადაიღებს.

ამ აქციით ფეხბურთელები თავის მხარდაჭერას გამოხატავენ სპეციალური ოლიმპიური მოძრაობისა და, კერძოდ, ამ მოძრაობაში ფეხბურთის განვითარების მიმართ.

აქციის თბილისში გამართვას მხარი დაუჭირეს საქართველოსა და ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციებმა და ეროვნულ ნაკრებთა ხელმძღვანელობამ.

სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ფეხბურთის გუნდმა, რომელიც 29 მარტს სტადიონზე გამოვა, შარშან, ივლისში, ჩეხეთის ქალაქ ზლინში გამართულ ევროპის ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა.

გუნდს ფორმა შეუძინა ირლანდიურმა კომპანია "ESBI Georgia"-ამ. სიმბოლურია ისიც, რომ ამ ფორმით ქართველი სპეციალური ფეხბურთელები 21-29 ივნისს დუბლინში (ირლანდია) დაგეგმილ ზაფხულის მსოფლიოს სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ.

საქართველოს სპეციალური ათლეტები წლეულს უკვე მეოთხედ მიიღებენ მონაწილეობას ზაფხულის მსოფლიოს სპეციალურ თამაშებში. სპეციალური ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის მიერ ამ მოძრაობის განვითარებისთვის ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობა და წლეულს საქართველოს დამატებით გამოუყვეს კვოტა ფეხბურთის გუნდისთვის.

სპეციალური ოლიმპიური მოძრაობა მსოფლიოს უდიდესი პროგრამაა გონებრივი დეფექტების მქონე ადამიანებისთვის. ფიზიკური ვარჯიშებითა და სპორტული შეჯიბრებებით ის ხელს უწყობს მათ ფიზიკურ რეაბილიტაციას და სოციალურ ინტეგრაციას.

1994 წლიდან საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი ამ საერთაშორისო მოძრაობის წევრია. სულ სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ათლეტებს მოპოვებული აქვთ 15 ოქროს, 8 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი სპორტის ექვს სახეობაში. დღეს ეს მოძრაობა საქართველოში 450 სპეციალურ ათლეტს აერთიანებს.

საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი

კალათბურთი

"დინამო" ხორვატულად დატრიალდება

ჰაატა თოთაძე

ზედიზედ ორი დღეა, ქართული მედიის წარმომადგენლები ხორვატ დრაჟენ ბრაიკოვიჩს პრესკონფერენციებზე ხვდებიან. გუშინწინ "24 საათის" რედაქციაში ის საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელად წარუდგა საზოგადოებას, გუშინ კი თბილისის "დინამოს" მწვრთნელად მოგვევლინა.

გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, თუ რომელიმე კლუბი ბრაიკოვიჩთან მუშაობას მოინდომებს, ფედერაციასთან გაფორმებული კონტრაქტი ამაში ხელს არ შეუშლის, პირიქით, მოხარული ვიქნებით, ასეთი რამ თუ მოხდებაო. მართალია, გუშინდელ პრესკონფერენციაზე "დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ბაჩო სხიერელმა და თავად დრაჟენ ბრაიკოვიჩმა განაცხადეს, გადაწყვეტილება გუშინწინ, ღამით, უცებ მივიღეთო, მაგრამ, როგორც ჩანს, მოლაპარაკებები ამის თაობაზე მხარეებს შორის მანამდეც მიმდინარეობდა, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ნაუცბათევად, რამდენიმე საათში მიიღო. ასეა თუ ისე, საკითხი გადაწყვეტილია და ამიერიდან ფეხბურთელ და კალათბურთელ დინამოელებს ხორვატები გაწვრთნიან. პრესკონფერენციაზე არც ის დაკონკრეტებულა, თუ რომელმა მხარემ გამოიჩინა ინიციატივა ბრაიკოვიჩის "დინამოში" მისვლის თაობაზე. სხიერელის თქმით, ამის მომხრე ყოფილა კლუბიც და ფედერაციაც, ანუ საქმე გვაქვს ინტერესთა თანხვედრასთან. რაც შეეხება თბილისელთა აწ უკვე ყოფილ მწვრთნელს, ლევან მოსეშვილს, ის კლუბში დარჩება და მის მმართველ დირექტორად გააგრძელებს მუშაობას.

ბევრმა აღნიშნა და დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბრაიკოვიჩის მიერ "დინამოს" გაწვრთნა ნაკრებს უთუოდ წაადგება. ორი დღის წინ ხორვატმა განაცხადა, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებს არ ვიცნობ და როცა მათ საქმეში ვნახავ, მერე ვიტყვი, ნაკრებს რისი მიღწევა შეეძლებაო. "დინამოში" მუშაობით მას ადგილობრივ კადრებზე დაკვირვების, მათი სათამაშო დონის ამაღლების მეტი შესაძლებლობა ექნება, რაც, თავისთავად, ნაკრებზეც დადებითად იმოქმედებს. "სიმართლე გითხრათ, "დინამოს" მწვრთნელობას თავიდანვე დავთანხმდი. საქართველოსა და აქ მოთამაშე კალათბურთელების შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, აქაური კლუბის გაწვრთნით კი ამ ინფორმაციულ ვაკუუმს შევავსებ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ "დინამოს" მწვრთნელობა ნაკრებთან მუშაობაში ხელს შემიწყობს. მე ვიცი კლუბის ისტორია, მისი ტრადიციები და ხელმძღვანელობის სურვილი, "დინამოს" ძველი სახელი დაუბრუნოს. მეც ჩემი ამბიციები მაქვს. ასე რომ, ვეცდებით, ერთობლივი ძალებით წარმატებებს მივაღწიოთ ევროასპარეზზე", - აღნიშნა ბრაიკოვიჩმა.

ვახო ბესელია, "ფორტი"

დრაჟენ ბრაიკოვიჩი და ამირან სხიერელი

კლუბის დირექტორის ინფორმაციით, მწვრთნელთან გაფორმდა წლიწადნახევრიანი კონტრაქტი, თუმცა, არც მისი გაგრძელებაა გამორიცხული. "ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა შედეგებს მიაღწევს კლუბი ამ ხნის განმავლობაში, - განაცხადა ბაჩო სხიერელმა. - ჩვენი პროგრამა მინიმუმი საქართველოს ჩემპიონობაა, მაქსიმუმი - ევროსარბიელზე ღირსეულად გამოსვლა. ფედერაციასთან მოვილაპარაკეთ და გადაწყდა: "დინამო" ნაკრების საბაზო გუნდად ჩამოყალიბდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინც საქართველოში კარგად თამაშობს და ნაკრების კანდიდატია, ყველამ ჩვენთან ითამაშოს. ბოლო დროს ქართული საკლუბო კალათბურთი წინსვლას განიცდის და არ ვაპირებთ, სხვა გუნდებიდან წამყვანი კალათბურთელების მოწვევით ეს წინსვლა შევაჩეროთ".

უცხოელი მწვრთნელის მოსვლასთან ერთად, ბუნებრივია, იზრდება კლუბში ლეგიონერთა რიცხვის მატების ალბათობა. ბრაიკოვიჩის თქმით, მისი უმთავრესი მიზანი ადგილობრივი კადრების მომზადებაა: "უცხოელთა მოწვევა კლუბის გაძლიერების მიზნით, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, მაგრამ ჩვენი მიზანი ეს არ არის. უმთავრესია, ადგილობრივი კადრები მოვიძიოთ, მათი სათამაშო დონე ავამაღლოთ, რომ მომავალში ისინი ნაკრებსაც გამოადგნენ, თორემ უცხოელი როგორც მოვა, ისევე წავა. ამით ნაკრები ვერაფერს მოიგებს".

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9^{00}-დან 20^{00}-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი მოქალაქეთა კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ბალანსის

შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.

ფირმების რეგისტრაცია

შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.

1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე

მის: კოსტავას 76. (საკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხის სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

კომერც. ფართი

იყიდება 18 კვ.მ. მინიმარკეტი 27 კვ.მ. სარდაფით რუსთაველზე, შევჩენკოს №5-ში. 93 22 09, 8(99) 96 37 51

ქირავდება კეთილმოწყობილი სარდაფი 100 კვ.მ. ალ. ყაზბეგის 37-ში. 39 85 94

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთდან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გაათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

მანქანები

იყიდება !

ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პრაქტიკა, ფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

სხვადასხვა

მოვუვლი მოხუცს, ბავშვს ან დავაალაგებ სახლს. არ ინანებთ. 32 30 92, დილით 9-დან 12-მდე, საღამოს 8-დან 23-მდე. მარინა

შევიძენ 15 ტონიდან 100 ტონამდე სასწორს ავტომობილებისა და ჯართის ასაწონად. 70 60 99, 8(99) 55 91 70

იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410

იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$
ტელ: 30-56-90 ზურა.

სასწრაფოდ იყიდება "ბისტროს" ახალი ხაზი. 39 63 20, 8(99) 56 77 81

იყიდება კომპიუტერის კატრიჯები იაფად. ალ. ყაზბეგის ქუჩა № 14. 91 18 81

გვესაჭიროება თანამშრომლები დაცვის სამსახურში. 8(77) 79 06 61 გიორგი

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22

კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:

ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
"იუმორინა - 2003"
დას: 19:00 სთ; ფასი 5-9 ლარი

თეატრები

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„
"მარტოობის ბინადარი", რეჟ. ნანა მჭედლიძე; მთავარ როლში, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

თავისუფალი თეატრი
"სამი პიესა", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

თეატრალური სარდაფი
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

საგამოფენო დარბაზები

TMS
გიორგი შენგელაიას ფოტონამუშევრების გამოფენა

„ძარვასლა„
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ხალხური რეწვა

კინოთეატრები

„ამირანი„
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 13:00; 19:00; 22:30 სთ; ფასი 6-9 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

„რუსთაველი„
"განძთა კუნძული"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 21:30; ფასი 7 ლარი

„ელისო„
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

TV პროგრამა 27 მარტი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ძვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ძვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.00 სერიალი „კუსტოს წყალძვეშა ოდისეა"
19.55 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ანდრეი რუბლიოვი" რ-ში: ანატოლი სოლონიცინი
02.30 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „იტალიელი ხალხის სახელით"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „შმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „ეგვიპტოლოგიის პიონერები"
15.15 მხ. ფილმი „სიჩუმის მიღმა"
17.05 დოკ. სერიალი „ყველანი ორგიტაზე"
17.15 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.30 შემეც.ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.30 გასტი-გუგუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.45 შეხვედრები ფიქრის გორაზე
22.10 საქართველო არის ესე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „ბრიგადა"
01.30 ქართული ენის გაკვეთილი

ПЯТЬ პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ჯაშუშთა შვილები 2"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „მე დინა ვარ"
01.45 ფილმი ღამურა „მეცამეტე მებრძოლი"
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი

იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „მოგზაურობა ძვეყნის დასალიერზე"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „ისევ კოლეჯში"
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (ბანმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ველური დასავლეთის ლეგენდები"
00.55 მხ.ფ. „სასტიკი პოლიციელი"
02.10 ღამის ფილმი

ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური
12.00, 21.30 სალონი
13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სპორტის სამყარო"
20.30 მულტფილმი
23.00 „ერთი ერთზე"
23.30 მუსიკალური პაუზა
23.50 მხ. ფილმი „მარვინის ოთახი"

მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
11.55 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.40 მხ. ფილმი „დაბრუნება"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.10 მხ. ფილმი „ხვალ მომკალი"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ძვეყნის კიდეზე" 1-ლი ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 დოკ. ფილმი „დროის მოკლე ისტორია" 1-ლი ნ.
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ჩემი ძვეყანა". „ირაკლი".
22.15 მხ. ფილმი „საჰაერო ბანბაში"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „შეუპოვართა რაზმი"

იმედი

17.00, 01.05 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.55 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი"
21.00 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1 2 „ორტ-ბულვარი" შოუ ბიზნესი
22.45 კინოვარსკვლავთა ღამე „სისხლი და ღვინო" (ჯეკ ნიკოლსონი)

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 სათავგადასავლო ფილმი „ინდიანა ჯონსი"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 მხატვრული ფილმი „ესენია"
14.20 კომედია „კრამერი კრამერის წინააღმდეგ"
16.10 მულტფილმი „პრინცესა ბედი -შუშა"
17.20 მელოდრამა „მიწიერი სურვილები"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.35 „პირისპირ" საავტორო გადაცემა
20.30 კომედია „ფული ყოვლისშემძლეა"
22.50, 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.55, 00.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი „მოურჯულებელი ანჟელიკა"
03.30 მელოდრამა „საბრალო, პატარა, მდიდარე, გოგონა" 2 ს.

VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მოგზაურობები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.10 „ბიორითმი" -
12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 კომპიუტერული თამაშები
13.40 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.45 პაემანი
21.10 კომპიუტერული თამაშები
21.15 ღამის კაპარიზი" - თემა: „ „.
22.10 რაგბი - ზე12 კანგერა - პრეტორია
23.45 მოგზაურობები
00.25 „კინოკლუბი „ - „სასამართლო და შეცდომა".
02.00 აუდიო-ვიდეო-ტელე
02.45 „ბიორითმი" - .
03.05 კომპიუტერული ტექნიკა

1 ORT

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10, 22.40 Сериал „Антикиллер"
12.05, 19.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Базз и его команда"
13.15 Детектив „Вещественное доказательство"
15.00 „Новый день". „Формула власти"
15.30 „Новый день". „Русский экстрим"
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.50 Фигурное катание. Чемпионат мира. Пары. Произ. программа.
18.00 „Большая стирка"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
23.45 Человек и закон
01.10 „Новый день". „Крылья"
01.40 „Новый день". Майя Плисецкая.
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Беглец"
04.05 Фигурное катание. Чемпионат мира.

PTP

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „Провинциалы"
10.45, 23.00 Сериал „Кобра. Антитеррор"
11.45, 18.20, 20.50, 05.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Вся Россия
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 05.05 „АГЕНТСТВО ОДИНОКИХ СЕРДЕЦ"
18.50, 04.05 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
00.00 „Вести +"
00.40 Худ. фильм „Приключение трупа"
02.45 Фигурное катание. Чемпионат мира.
04.20 „ТВИН ПИКС"

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო 'ინფოზავრის' წებართვით

სცენა კლონირების ეპოქაში

დღეს თეატრის დღეა

პასუხობს კი თეატრი თანამედროვეობის მოთხოვნებს? – თეატრალური სამყარო თეატრის ტრადიციულ დღეს, 27 მარტს ამ კითხვით ხვდება. პროფესიული დღესასწაული, რომელსაც თეატრალები 1961 წლიდან აღნიშნავენ, მრავალ საერთაშორისო ღონისძიებას მოიცავს. მათ შორის, უმნიშვნელოვანესი გახლავთ ე.წ. საერთაშორისო მესიჯის გაგზავნა. წერილს მსოფლიოს მიმართ ყოველ წელს თეატრის სამყაროში გამოჩენილი პირი წერს. 1962 წელს პირველი მესიჯი დედამიწას ჟან კოკტომ გაუგზავნა. მას არტურ მილერი მიჰყვა, მერე კი ლორენს ოლივიეს, პაბლო ნერუდას, ლუკინო ვისკონტის, რიჩარდ ბარტონის, ეჟენ იონესკოს, კირილ ლავროვის და სხვათა გზავნილები იყო.

წელს თეატრალებს ტანკრედ დორსტი წარმოადგენს, ცნობილი დრამატურგი, რეჟისორი, რადიო-პიესების ავტორი და მთარგმნელი. ძალზე ზოგად, მაგრამ აქტუალურ კითხვასაც მსოფლიოს და, უპირველეს ყოვლისა, კოლეგებს სწორედ ის უსვამს – მართალია, მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში სწორედ თეატრი ახედებდა დედამიწას სარკეში და ადამიანებს საკუთარ ადგილზე მიუთითებდა, მაგრამ ახლა – კლონირებული ახალშობილების მომავალში – რჩება კი მისთვის ადგილი?

“დღეს სულ მესმის ხოლმე, რომ თეატრს აღარ ძალუძს, ცხოვრებას წამოეწიოს, ის საკუთარ შესაძლებლობებში მოიხელთოს და ცხოვრებისეული ამბები მოგვიყვეს. დღეს სხვაგვარი ტექსტები სჭირდებათ, დიალოგებით კი არა, მშრალი განცხადებებით სავსე. არსად ჩანს დრამა. ჰორიზონტზე ახლებური ადამიანი ჩნდება, ისეთი, რომლის კლონირება და გენეტიკურად გამრავლება შეიძლება. აბა, ასეთს რაში სჭირდება თეატრი. ეს ადამიანი ვერაფრით ჩაწვდება იმ კონფლიქტებს, რომლებიც თეატრს ამოძრავებს”.

თუმცა, იქვე გერმანელი დრამატურგი შეგვახსენებს, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვიცით, თუ რას გვთავაზობს მომავალი და ამიტომაც სწორედ ჩვენზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ცოდვიანი, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი აწმყოს გადარჩენა.

“თეატრი არაერთგვაროვანი ხელოვნებაა და სწორედ ამ არასწორხაზოვნებაშია მისი დიდი ძალა. მეტიც, თეატრი იქცევა ძალიან უპრინციპოდ და იყენებს ყველა ხერხს, რასაც გზაზე გადაეყრება. ის გამუდმებით ღალატობს თავის პრინციპებს, იოლად ცდუნდება მოდური ტენდენციებით, ითვისებს მეთოდებს ხელოვნების სხვა ფორმებიდან, ის ერთდროულად ექსტრავაგანტური და ბანალურია, ანადგურებს ნაწარმოებებს და პარალელურად თავად ქმნის ახლებს”, - წერს დორსტი და სწორედ ცნება თეატრის ამგვარი განსაზღვრებით ამტკიცებს, რომ თეატრი ყოველთვის შეძლებს, იკვებოს ცხოვრებით – **“თეატრი ისაზრდოებს ცხოვრებით მანამ, სანამ ჩვენ გვექნება სურვილი, დავანახოთ ერთმანეთს, რანი ვართ, რანი – არა და საერთოდ, რანი უნდა ვიყოთ.** ასე რომ, დღეგრძელობა ჰქონოდეს თეატრს! ის კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა, ზუსტად ისეთი გრანდიოზული გამოგონება, როგორიც ბორბლის აღმოჩენა და ცეცხლის დანთებაა”.

ამ მესიჯს დღეს ყველა თეატრალური ორგანიზაცია მიიღებს. მისი წაკითხვა მსურველებს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ვებ-გვერდზეც შეეძლებათ. უცნობია, 27 მარტს დაემთხვა თუ არა, მაგრამ ფაქტია – “ნიუ იორკ ტაიმსიც” თეატრის შესახებ რამდენიმე საინტერესო ესეს აქვეყნებს. მათგან ერთი არტურ მილერს ეკუთვნის. დიდი დრამატურგი წერილს მოკრძალებულ ქვესათაურს ურთავს: “პატარა ფიქრები დიდ პრობლემაზე”. დიდი პრობლემა კი შოუბიზნესში გათქვეფილი ამერიკული თეატრი, კერძოდ კი ბროდვეი, დემოკრატიულიდან იმპერიულ ღირებულებებზე გადართული ამერიკა და ზოგადად თეატრის მომავალია.


არტურ მილერი

ტანკრედ დორსტი

“ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, რამდენად დროულია ამ კითხვის კვლავ დასმა, მაგრამ სულ მაინტერებს, რას უნდა აკეთებდეს თეატრი ჩვენს დროში? შეიძლება მხოლოდ მოხუცი კაცის ავადმყოფური ახირება იყოს, მაგრამ რა ვქნა, მაინც ვეჭვობ ხოლმე, პასუხობს კი ბროდვეი რეალურ ცხოვრებას?

ჩემი მეგობარი, მეაფთიაქე, მეულღესთან და პატარა ბიჭუნასთან ერთად, კონექტიკუტიდან ნიუ იორკში ორ საათს მგზავრობდა, რათა “მეფე ლომი” ენახა. ძალიან მოეწონათ. მათ მაგალითზე მივხვდი, რომ ბროდვეის სხვა შოუებიც ბევრს უნდა ართობდეს. **მაგრამ კაცი იკითხავს, ნუთუ უფრო ცხოვრებისეული თემები არ უნდა აირეკლებოდეს იმ საერთო მხიარულებაში, რომელსაც ბროდვეი ჰქვია? ...ასე კი არ ხდება და ამიტომაც მგონია, თეატრი და მისი ერთ-ერთი ნაწილი, ბროდვეი, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბოლომდე ყრის ფარ-ხმალს ბრჭყვიალა და დიდებული შოუბიზნესის წინაშე”**.

არტურ მილერი ამ ბრჭყვიალა შოუბიზნესის ნაწილად ბოლომდე ვერ გაიხილავს მხოლოდ ბრიტანულ თეატრს, ისიც მისი შინაგანი კომპლექსების გამო: “ბრიტანული თეატრი ყოველთვის ხვდებოდა, რომ სოციალური კრიტიკა საზოგადოების გართობის მშვენიერი ხერხია. მაგრამ ამის მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ ინგლისი წარმატებულ ამერიკას ადარებს თავს და ჰგონია, რომ თვითონ, როგორც დამარცხებული, ჩრდილში დგას. ჩრდილში დგომა, მარცხის განცდა კი ყოველთვის აიძულებს ადამიანს, ცხოვრება იკვლიოს. წარმატებულობის შეგრძნება კი, პირიქით, საკუთარი მიღწევების გამო ადამიანს ზეიმს ამართვინებს” – მიიჩნევს მილერი.

სწორედ თვითკმაყოფილების ეს ზეიმია გამართული ამერიკული ბროდვეის სცენაზე. ბრიტანული თეატრი კი ცხოვრებას სწორედ ჩრდილში მდგომის კომპლექსის გამო იკვლევს...

დღეს, როდესაც თეატრი ტექნოკრატიულ მომავალში თავის დამკვიდრებას ცდილობს, ბუნებრივია, არტურ მილერისა და ტანკრედ დორსტის ანალიზი მეტ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, პრობლემები არა მხოლოდ ულოგიკოდ მხიარულ ბროდვეის აქვს. “გარდიანის” გუშინდელ ნომერში ჩნდება წერილი, სათაურით: “უესტ ენდის სიკვდილი”, შესავალში კი ვკითხულობთ: “1963 წელს თეატრს ო`ტული და ოლივიე ჰყავდა. დღეს კი... ბრიტანული სცენა ნოსტალგიით შთაგონებულ 21 მიუზიკლს გვთავაზობს”.

ბუნებრივია, მიუზიკლის საწინააღმდეგო თეატრის მიმომხილველებს არაფერი აქვთ – ის ფინანსური პრობლემების ფონზე დარბაზში მაყურებლის შეტყუების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ ექსპერტებს ადარდებთ ის, რომ არ იქმნება არაფერი ახალი: მიუზიკლები ხან ჯგუფს “ქუინის” ეპოქას მისტირიან, ხან – ABBA-ს და ხანაც ლას ვეგასის კაბარეს. სწორედ ამიტომ ასკვნის “გარდიანის” მიმომხილველი, რომ თანამედროვე უესტ ენდში “ნოსტალგია და ნეკროფილია” მეფობს.

თუმცა, მოდით, ნუ დავუკარგავთ, თეატრს მცდელობას – გადაირჩინოს თავი და თანამედროვეობაში ხსნისთვის საჭირო საზრდო იპოვოს. ძველი ინგლისური თეატრისთვის – “ოლდ ვიკისთვის” ეს ხსნა, ალბათ, ჰოლივუდელი კინო-მსახიობის კევინ სპეისის დირექტორად მიწვევა და ანუ პიესების “გაჰოლივუდურებაა”, ამერიკული თეატრისთვის კი – ისეთი დონის პიესების შექმნა, როგორიც მილერის ნაწარმოებები და ან “ტრამვაი სახელად სურვილი” იყო.

დღეს, სწორედ ამ იმედით უნდა შეხვდეს თეატრალური სამყარო თავის პროფესიულ დღესასწაულს და აუცილებლად იმედიანად უნდა შესძახოს დორსტის სიტყვები: “დღეგრძელობა ჰქონოდეს თეატრს!”

p.s. ის, რომ საერთაშორისო თეატრალური საზოგადოება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისადმი ფეხის აწყობას ცდილობს, მის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშიც ჩანს. პატარა და ფორმალური ტექსტით ხელოვანები გმობენ ომს და პოლიტიკოსებს პრობლემების მოგვარებას პოლიტიკური ხერხებით სთხოვენ. თუმცა, რაღა დროსია...

ქართული "სალომეა" ვაშინგტონში

გუშინ “ვაშინგტონ პოსტი” ქართველ თეატრალებზე წერდა. უილიამ ტრიპლეტის რეცენზია “სინეტიკის” თეატრში გამართულ პრემიერას, ოსკარ უაილდის “სალომეას” ეძღვნებოდა. სპექტაკლის პრემიერა, რომლის რეჟისორიც პაატა ციქურიშვილია და რომელშიც მთავარ როლს მისი მეუღლე ირინა ციქურიშვილი ასრულებს, ახლახან გაიმართა.

აშკარა დამთხვევა გახლდათ ის, რომ გუშინვე გაზეთ “გარდიანის” ტრადიციულ ციკლი, სწორედ “სალომეას” დადგმის ისტორიას მოგვითხრობდა. უაილდმა ნაწარმოები 1891 წელს დაწერა, მაგრამ მის ლონდონურ პრემიერას ვერ მოესწრო. ავტორს სურდა, ბიბლიური სალომეას როლი ლონდონის ოპერის სცენაზე სარა ბერნარს შეესრულებინა, დიდებული კოსტუმებითა და რატომღაც ლურჯი თმით. თუმცა, რეპეტიციებიდან ორი კვირის თავზე, ლორდა ჩემბერლენმა ყველაფერი ჩაშალა, მიზეზად კი გაიხსენა კანონი, რომელიც ბიბლიაზე დაფუძნებული პიესების დადგმას კრძალავდა. მიუხედავად იმისა, რომ ოპერამ ლიცენზია 1910 წელს მოიპოვა, “სალომეა” ბოლომდე ლეგალური 1931 წლამდე მაინც ვერ გახდა. ამ პერიოდში კი მისი პირველი სრულიად ლეგალური პრემიერა სავოის თეატრში გაიმართა...

მას შემდეგ უალდის ნაწარმოების დადგმა ბევრმა სცადა. “ვაშინგტონ პოსტის” მიმომხილველი ციქურიშვილების მცდელობას საკმაოდ დადებითად აფასებს. გთავაზობთ, ნაწყვეტებს მისი რეცენზიიდან:

“თავად უიალდი ფიქრობდა, რომ პიესა უფრო კითხვისთვის იყო განკუთვნილი, ვიდრე სცენისთვის. სწორედ ასეთ დასკვნას გამოიტანთ, როცა “სინეტიკში” “სალომეას” იხილავთ... ეს სპექტაკლი მთელ განწყობასა და ემოციას უფრო მეტად მოძრაობებისა და ხმის საშუალებით ქმნის და არა სიტყვებით.... სცენები, რომელსაც პაატა ციქურიშვილი წარმოსახვიდან სცენაზე აცოცხლებს უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. მომნუსხველად ცეკვავს მისი მეუღლე ირინაც. მისი მგრძნობიარე, მსუბუქი ქორეოგრაფიული ილეთები მაყურებელს აშკარად აჯადოებს. თუმცა, სპექტაკლს აშკარად აზარალებს ტექსტი, რომელიც რიგ ეპიზოდებში ძალიან გადატვირთულია

...სცენა საშიშ, იდუმალ სამყაროს ემსგავსება: ჭერიდან დაბლა დაშვებული წითელი თოკები, ქანქარას მსგავსი მოწყობილობა, რომელიც შავი, თითქმის ცარიელი სცენის ცენტრშია მოთავსებული... საგნები ეპიზოდიდან ეპიზოდამდე სულ იცვლება. ერთ-ერთი პირველ სცენაში რეჟისორი მიმართავს საცეკვაო ილეთებსაც, პანტომიმასაც, ხმასაც (იქვეა გიორგი ალექსი-მესხიშვილის საცირკო კოსტუმებიც), რათა შექმნას ჰეროდეს ამორალური კარის სრული სურათი.

თუმცა, რეჟისორ ციქურიშვილის სუნთქვისშემკვრელი სტილურობა მაინც ვერ აღწევს იმ კულმინაციურ წერტილს, რაც “სინეტიკის” “ჰამლეტს” აქვს. პრობლემას ქმნის ისიც, რომ მსახიობების დასიდან ოსტატურად ვერავინ ახერხებს უაილდის მაღალფარდოვანი წინადადებების მაყურებლამდე მიტანას. არც თამაშია დიდად დამაჯერებელი.

სცენა სპექტაკლიდან

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, “სალომეა” კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ციქურიშვილების კომპანია ქალაქში ყველაზე მეტად გამორჩევა თეატრალური შემოქმედებითობითა და ფანტაზიით. მათი საოცარი ნიჭით – ხმითა და სცენებით ბოლომდე აიყვანონ პუბლიკა (ეს კი უდავოდ მუნჯი ფილმების გავლენად შეიძლება ჩავთვალოთ), ისეთი განცდა რჩება, რომ “სინეტიკი” მალე რამეს საშინელებათა ჟანრიდან დადგამს, მაგალითად, როგორიც “დოქტორ კალიგარის კაბინეტია”.

ბროდვეის თეატრალური ჰიტები

ახალი თეატრალური სეზონის მთავარი სალაპარაკო თემა სალმან რუშდის “შუაღამის შვილების” დადგმა გახლდათ. ამ სპექტაკლზე საუბარი არც დღეს წყდება. თუმცა, მიმომხილველები არანაკლები ინტერესით ელიან საგაზაფხულო სპექტაკლების გამოჩენას და უკვე რამდენიმე პრიორიტეტსაც გამოყოფენ. ამერიკელი თეატრთმცოდნეების ვარაუდით, ბროდვეის მთავარი სენსაცია სცენაზე ჯერ ალმოდოვარის ფილმების, შემდეგ კი ჰოლივუდის კინო-სურათების ვარსკვლავის, ანტონიო ბანდერასის გამოჩენა იქნება. ის მთავარ როლს შეასრულებს მიუზიკლში “ცხრა”, რომელიც პირველად 1982 წელს დაიდგა.

“უკვე 14 წელი გავიდა – ვერ ვიჯერებ, რომ უთეატროდ ამდენ ხანს გავძელი. კინოს სხვა სტიმული აქვს, ვგულისხმობ დიდ ჰონორარებს, მსოფლიო აღიარებას. მაგრამ თეატრთან მაინც გამორჩეული ვნება მაკავშირებს, განსაკუთრებით კი – მიუზიკლთან. მართალია, ბროდვეიზე არასდროს მითამაშია, მაგრამ თავს მაინც ისე ვგრძნობ, თითქოს შინ დავბრუნდი” – ასეთი ესპანური ტემპერამენტით საუბრობს ბანდერასი თავის ახალ პროექტზე, რომლის შედეგსაც ამერიკელები ოფიციალურად 10 აპრილს – პრემიერის დღეს იხილავენ.

მანამდე კი ანტონიო ბანდერასი ყოველ დღე ბეჯითად ცხადდება რეპეტიციებზე და ცდილობს გვიდო კონტინის როლი კარგად გაითავისოს. უფრო ზუსტად კი, ფედერიკო ფელინის ალტერ ეგოდ გარდაიქცეს – პიესა “ცხრა” ხომ ფელინის “8 ”-ს ეფუძნება. ასე რომ, როლი მართლაც რთულია. სპექტაკლის თითქმის ყოველ ეპიზოდში მაყურებლის ყურადღების ცენტრში სწორედ გვიდო ექცევა. ის გახლავთ მიუზიკლის ერთადერთი მამაკაცი, იგივე მზე, რომლის გარშემოც ქალები – პლანეტები ბრუნავენ. გვიდო, ბუნებრივია, მზის ფუნქციის გარდა, მომღერლობასაც ითავსებს. ბანდერასს სპექტაკლში მსუბუქი პოპის გარდა, საოპერო ნომრების შესრულებაც უწევს. სწორედ ამ მიზეზების გამო დამდგმელი რეჟისორი მის გმირს ამერიკულ მიუზიკლებში ყველაზე მნიშვნელოვან მამაკაც პერსონაჟად აღიარებს და ამტკიცებს, რომ ბანდერასი შესანიშნავად მღერის.

ანტონიო ბანდერასი

ვანესა რედგრეივი

სპექტაკლის რადიო-რეკლამებში (ასე უწოდებს ბანდერასი კულისებს) ისმის ცნობილი ჰოლივუდელის ხმა: “ჩემი ფანტაზიები რეალობად იქცევა”. ეს მართლაც ასეა. თეატრი ხომ მის უპირველეს ფანტაზიად რჩება: პირველად, რამაც ის “სარკის მიღმა” შეიყვანა, მიუზიკლი “თმა” გახლდათ. მაშინ ქალაქს მოხეტიალე მსახიობები სტუმრობდნენ. 14 წლის ანტონიოსაც – პოლიციელი მამის, პედაგოგი დედის შვილსა და ფრანკოს რეჟიმის თინეიჯერს სწორედ მათ შეაცნობინეს თეატრის ნამდვილი ბუნება. “ვგიჟდებოდი, როდესაც სცენაზე მსახიობებს ვხედავდი. ვხვდებოდი, ისინი პუბლიკას თავიანთ თამაშს ეთამაშებოდნენ, თამაშს, რომელშიც მთავარია, მაყურებელს დააჯერო. დღემდე ასე ვფიქრობ, რომ სცენასა და დარბაზს შორის უჩინარი დიალოგი მყარდება. სწორედ ეს მხიბლავს თეატრში”, - აცხადებს ბანდერასი და იხსენებს წარსულს, როდესაც, ჯერაც 19 წლისა სცენიდან გარსია ლორკას ლექსებს კითხულობდა მგზნებარედ, ანდა “იულიუს კეისარში” თამაშობდა.

თუმცა, შემდეგ ბანდერასი ჯერ ალმოდოვარმა აღმოაჩინა, შემდეგ – ჰოლივუდმა მიისაკუთრა და დღეს მის კინო-ფანებს მსახიობი ბროდვეიზე გასაშვებად არც ემეტებათ. პრინციპში, არც ბანდერასი აპირებს ამერიკული კინოდან წასვლას. თეატრთან 14-წლიანი განშორების შემდეგ ის “ცხრაში” მიიღებს მონაწილეობას, ანუ სცენის მონატრების გრძნობას დაიკმაყოფილებს და შემდეგ ისევ გადასაღებ მოედანს დაუბრუნდება. დერ მას “ზოროს ნიღბის” მეორე სერიაზე მუშაობა ელის წინ, შემდეგ კი თავის ესპანურ ფესვებს დაუბრუნდება და ალმოდოვართან ერთად “ტარანტულას” გააკეთებს.

ნიუ იორკული სიახლე №2 იქნება იუჯინ ო`ნილის პიესის – “გრძელი დღის მოგზაურობა ღამეში” მეხუთე ბროდვეული დადგმა. სპექტაკლი, რომელიც ამერიკაში 1956 წელს, ო`ნილის გრადაცვალების შემდეგ პირველად დაიდგა, ამჯერად ფლაიმაუთის თეატრში 6 მაისს გაიმართება. თეატრალური საზოგადოების ინტერესს კი ამ სპექტაკლის მიმართ, პირველ რიგში, მასში დაკავებული მსახიობები იწვევს: ბრაიან დენეჰი, ფილიპ სეიმურ ჰოფმანი, რობერტ შონ ლეონარდი და ვანესა რედგრეივი. ეს უკანასკნელი მართალია, ბოლო ხანს ჩეჩნებთან კონტექსტში გვამახსოვრებს თავს (ის ორიოდე დღის წინ მსოფლიო პრესამ “ოსკარის” ცერემონიალზე წარმოთქმული ანტიპალესტინური გამოსვლის გამოც გაიხსენა), მაგრამ, როგორც ჩანს, მალე რედგრეივზე კვლავ პროფესიული კუთხით ალაპარაკდებიან... მართლაც საინტერესოა, როგორი გამოვა ო`ნილის პიესა, რომელსაც თავად ავტორი უწოდებდა “ძველ მწუხარებს, სისხლითა და ცრემლით დაწერილს”.



კინოსურათი სუპერმოდელის შესახებ

ნაომი კემპბელი



ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალი, ნაომი კემპბელი, განრისხებული გახლავთ, რადგან მისი არაოფიციალური ბიოგრაფიის, Naomi: The Rise And Rise Of The Girl From Nowhere-ის მიხედვით ფილმის გადაღებას აპირებენ. ამბობენ, რომ ფილმში მთავარ როლს ჯუდი შეკონი შეასრულებს.

ნაომის უკმაყოფილება სავსებით გასაგებია: ამ წიგნის ავტორმა, ლესლი-ენ ჯონსმა დეტალურად აღწერა მისი სასიყვარულო თავგადასავლები მაიკლ ტაისონთან და რობერტ დე ნიროსთან, დაწვრილებით მოჰყვა თვითმკვლელობების მცდელობების ამბებს, სილვესტერ სტალონესთან ბინძური სატელეფონო საუბრების შინაარსს და მეორე შავკანიან მოდელთან, ტაირა ბენქსთან მტრობის ისტორიას.

საერთოდ, კემპბელს, მისი თქმით, "მედია ცუდად ექცევა". მოდელი მუდამ რაღაც გაუგებრობასა და აურზაურშია გახვეული, ხან საკუთარი დაუდგომელი ხასიათის გამო, ხანაც მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება მის შესახებ ყველანაირ ინფორმაციას "ყლაპავს" და პრესაც დაუზარლად იგონებს ხოლმე ერთიმეორეზე პიკანტურ ამბებს.

ასე, შარშან საქმე კინაღამ სკანდალამდე მივიდა: ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტი, ბილ კლინტონი, მასთან სექსუალურ კონტაქტში იყო ეჭვმიტანილი. ამის საბაბი ყოფილი პრეზიდენტისა და ტოპ-მოდელის სასტუმრო "რიცის" ნომერში ორსაათიანი შეხვედრა გახდა.

თითქოს, სრულიად უწყინარი ამბავი იყო: ერთ კლუბში გამართული დახურული საღამოს შემდეგ კლინტონმა მშვენიერი ნაომი, რომელსაც მანამდეც იცნობდა, თავის ნომერში დაპატიჟა. პრესაში ატეხილი ხმაურის გამო თავად ექს-პრეზიდენტი ძალიან შეწუხდა და ჭორები კატეგორიულად უარყო. მან თქვა, ნაომისთან მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებს და იმ საღამოს საინტერესოდ ვისაუბრეთო. როგორც ჩანს, ეს ახსნა არასაკმარისი გამოდგა – ვერავინ დაიჯერა, რომ ასეთ ლამაზ ქალთან, საერთოდ, რამეზე შეიძლება საუბარი.

ეს ამბავი მიწყნარებული არ იყო, და ნაომიზე შეტევა უკვე სხვა მხრიდან მიიტანეს, თან კიდევ უფრო მაღალი ინსტანციიდან: ვატიკანმა სასტიკად გაკიცხა ტოპ-მოდელი ნაომი კემპბელი იმის გამო, რომ მას უზარმაზარი ჯვრების მდიდარი კოლექცია აქვს, რომ ეს ჯვრები ძვირფასი თვლებითაა მოჭედილი და ნაომი ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს სამკაულად იყენებს. მართალია, ასეთ "სულწამწყდართა" რიგებში ნაომი მარტოდ არ იდგა, ის მაინც ძალიან აღშფოთებული იყო და გასაგებიცაა: მისი ჯვრებისადმი მიდრეკილება "გაუგებრად და საზიზღრად" იყო შერაცხული, მადონას კი, რომელიც ჯვრებსა და სხვა ქრისტიანულ სიმბოლიკას როგორც ექცევა, თავადაც მოგეხსენებათ, ხმა არავინ გასცა!

ამ მოვლენების ფონზე ნაომიმ განაცხადა, რომ ხანგრძლივი თერაპიის მიუხედავად, ის ნარკოტიკებს თავს ვერ დაანებებს და გული უგრძნობს, რომ სულ მალე "ჰეროინი კვლავ მისი საუკეთესო მეგობარი გახდება". ნაომი ანონიმურ ნარკომანთა საზოგადოების წევრია და თუმცა, ამ ამბის "გაბაზრებისთვის" მას მორალური ზარალი 5 ათასი ამერიკულ დოლარად აუნაზღაურეს, ის მაინც თავისას განაგრძობს: "მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, დღეს რას ვშვრები. მე ვერ დაგპირდებით, რომ მომავალში ნარკოტიკებს არ მივეკარები. ყველა ადამიანი სხვადასხვანაირია, ზოგს შეუძლია ნარკოტიკების გარეშე იცხოვროს და მშვენივრად იგრძნოს თავი. მე ეს არ შემიძლია".

მშვენიერი კემპბელი ხშირად იმეორებს ხოლმე, რომ მისი ყოველი სიტყვა და ყოველი ნაბიჯი არასწორად ესმით. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ცხოველთა უფლებებისთვის მებრძოლთა საზოგადოება იმიტომ დატოვა, რომ ერთ-ერთმა აქტივისტმა "გულისამრევი სიტყვები თქვა: ჯანი ვერსაჩეს მკვლელი, ენდრიუ კუნანი ჩემში აღფრთოვანებას იწვევს იმიტომ, რომ ვერსაჩემ, როგორც იქნა, ბეწვის ხმარება შეწყვიტაო". ამის შემდეგ ნაომიმ თვითონ დაიწყო ბეწვის ტარება – უსულგულო ცხოველთა დამცველების გულის გასახეთქად. იმათაც არ დაახანეს და რა აღარ უწოდეს ნაომის.

თუნდაც ამ ამბების ფონზე ნაომი კემპბელს, ცხადია, სულ არ უხარია, რომ მისი ცხოვრების ამბავი კინოფირზე იქნება უკვდავყოფილი. მით უმეტეს, ის დარწმუნებულია – და არცთუ უსაფუძვლოდ – რომ ნამდვილ ამბავს არავინ არასოდეს იტყვის.

ქრონოგორდი



ბრიტანეთის საბჭოს განცხადება

ზედმეტი ნივთების აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ

ბრიტანეთის საბჭო საქართველოში ითანამშრომლებს:

მეორად საოფისე ავეჯსა და აპარატურას აუქციონის წესით შესაძენად.

ნივთების დათვალიერება და აუქციონი გაიმართება კვირას, 30 მარტს, 10:00-18:00 საათამდე, მისამართზე: ჭავჭავაძის 13 (უნივერსიტეტის მე-8 კორპუსი), მორე სართული.

შეძენაზე განაცხადის შემოტანა ხდება აუქციონის დღეს 30 მარტს, 18:00 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელ: 250407; 988014; 923402

NMCP
Netherlands Management Cooperation Programme
ნიდერლანდის მართვის თანადგომის პროგრამა

მოიწვიეთ თქვენს კომპანიაში პოლანდიელი მენეჯერი!

ნიდერლანდის სამეფოს სამთავრობო პროგრამა მენეჯმენტის განვითარების და თანამშრომლობის დარგში (NMCP), კერძო წარმომადგენლებს გაძლევთ საშუალებას, ერთი ან ორი კვირით, უფასოდ მოიწვიოთ თქვენს ფირმაში გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტი. ჰოლანდიელი ექსპერტი დაგეხმარებათ თქვენი კომპანიის მენეჯმენტის, მარკეტინგის, PR-ის განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი და საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოში NMCP პროგრამის კოორდინატორს (ტელ: 899-931454). აგრეთვე, შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით (www.nmcp.nl). გისურვებთ წარმატებებს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.